

თამარ ოთხმეზური – ფილოლოგი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. იკვლევს და გამოსცემს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს. მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტში „გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების კრიტიკული გამოცემა“ (ბელგია, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი); გამოცემული აქვს მონოგრაფიები გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების ქართული თარგმანების შესახებ. არის ავტორი სტატიებისა ძველი ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების, შუა საუკუნეების მნიგნობრული კერების შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ პერიოდულ გამოცემებში. მისი კვლევის სფეროა ასევე საქართველოში დაცული ბერძნულენოვანი მასალა, კერძოდ, ძველი ბერძნული ხელნაწერები და წარწერები.

THAMAR OTKHMEZURI – Philologist, Senior Research Fellow at K. Kekelidze National Centre of Manuscripts (Tbilisi, Georgia). She works on the publication of Old Georgian ecclesiastic texts; participated in an international project *The Critical Edition of the Writings of Gregory the Theologian* (Catholic University of Leuven, Belgium); has edited several works on the Georgian translations of the commentaries on writings by Gregory the Theologian. She has also published articles in both Georgian and foreign periodicals on the problems of Byzantine-Georgian literary relations, old Georgian translation tradition, the literary activities of medieval monastic centres. She also studies Greek materials in Georgia, namely, old Greek manuscripts and inscriptions.



კორნელი კეკელიძის სახელობის
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

თამარ ოთხმეზური

მაქსიმა აღმსარებლის

Ambiguorum liber

ქართულ მთარგმნელობით ტრადიციასში

თბილისი 2016



KORNELI KEKELIDZE
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

Thamar Otkhmezuri

MAXIMUS THE CONFESSOR'S
Ambiguorum liber
IN THE GEORGIAN TRANSLATION TRADITION

Tbilisi 2016

რედაქტორი **ნინო მელიქიშვილი**
რეცენზენტი **დამანა მელიქიშვილი**
დაკაბადონება **ვიოლა ტულუში**
ყდის დიზაინი **ელენე დადიანი**

Editor **Nino Melikishvili**
Reviewer **Damana Melikishvili**
Text layout **Viola Tugushi**
Book cover design **Elene Dadiani**

გარეკანზე: მაქსიმე აღმსარებელი საეპისკოპოსო სამოსში სოფ. ლაშთხვერის გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესიიდან (მესტიის მუნიციპალიტეტი). მადონა ჩამგელიანის ფოტო, 2016.

Cover: Maximus the Confessor dressed as a bishop in the Church of Archangel Gabriel in Lashtkhveri (Mestia Municipality). Photo: Madona Chamgeliani, 2016.

საავტორო უფლებები დაცულია.

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირის გადაღებით და მაგნიტურ მონოტიპობაზე ჩანერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლებების მფლობელის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

All rights reserved.

No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means electronic, mechanical, photocopying, recording or otherwise, without the prior permission of the publisher.

ISBN 978-9941-9452-4-3

© თამარ ოთხმეზური, 2016

შინაარსი

შესავალი

თავი I

AMBIGUA AD IOHANNEM ათონურ ტრადიციაში

- ხელნაწერები.....10
- ხელნაწერი *Ivir. geo.* 6811
- თხზულების შედგენილობა43

თავი II

AMBIGUA AD THOMAM და AMBIGUA AD IOHANNEM

გალათურ ტრადიციაში.....53

- ხელნაწერი A-5255

თავი III

ათონური და გალათური თარგმანების თავისებურებებისათვის.....67

- ქართული თარგმანების შინაარსობრივი მიმართება ბერძნულთან69
- ქართული თარგმანების ენობრივი მიმართება ბერძნულთან79

დასკვნა.....88

MAXIMUS THE CONFESSOR'S *Ambiguorum liber*

IN THE GEORGIAN TRANSLATION TRADITION91

ტექსტები

ტექსტებისათვის99

***Sigla*101**

- გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავი.....103
- თარგმანებაჲ ძნიად გულისწმისსაყოფელთა სიტყუათა
„ქრისტეს შობის“ საკითხავისათა121
- *Ambigua ad Thomam: In epistolam S. Dionysii Areopagitae Athenarum
episcopi ad Gaium monachum* (დიონისე არეოპაგელის ეპისტოლე
გაიოსის მიმართ).....187

- *Ambigua ad Iohannem: Epistula ad Iohannem* (ეპისტოლე იოანეს მიმართ).....194
- *Ex sermone de hospitalitate* ([გრეგოლ ღვთისმეტყველის] „გლახაკთმოყვარების“ საკითხავიდან).....197
- *Ejusdem ex eodem sermon* (ამავე საკითხავიდან).....200

ლექსიკონები202

გამოყენებული ლიტერატურა245

საკუთარ სხელთა საძიებელი.....255

შესავალი

ადრექრისტიანული საეკლესიო მწერლობის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, მაქსიმე აღმსარებლის (VII ს.) ორი თხზულება *Ambigua ad Iohannem* და *Ambigua ad Thomam*, რომლებიც ბიზანტიურ ტრადიციაში ერთიანი სათაურით – *Ambiguorum liber*-ით არის ცნობილი,¹ IV საუკუნის კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებისა და არეოპაგიტული კორპუსის რამდენიმე პასაჟის განმარტებებს წარმოადგენს, თუმცა საღვთისმეტყველო თუ ფილოსოფიური სიღრმის გამო ისინი მკვლევართა მიერ მაქსიმეს დამოუკიდებელ ნაშრომებად არის მიჩნეული.

Ambigua ad Iohannem (CPG Supplementum 7705 [2])² – გრიგოლ ღვთისმეტყველის ჩვიდმეტი ჰომილიის, ერთი ეპისტოლისა და ერთი ლექსის კომენტარებია (*Orationes*: 7, 14, 21, 23, 25, 27, 28, 29, 30, 34, 38, 39,

¹ ადრინდელ პუბლიკაციებში ეს ორი თხზულება წარმოდგენილია ერთიანი სათაურით: Maximou peri; diaforwn aporiwn twñ ađiwn Dionusiou kai; Grhgoriou pro- Qwmañ ton hgasmenon (*PG* 91, col. 1032-1418); იხ. ასევე Combefis-ის (1675/1679) და Öhler-ის (1857) პუბლიკაციები (უკანასკნელი ეფუძნება ხელნაწერს *Gudianò Gr.* 39). მაქსიმეს შემოქმედების მკვლევართა მიერ შენიშნულია, რომ *Ambiguorum liber* მოუხერხებელი საერთო სათურია ამ ორი თხზულებისათვის, იხ. Bracke, *Some Aspects of the Manuscript Tradition of the Ambigua of Maximus the Confessor*, p. 97; თუმცა, მათი აზრით, ტერმინი *Ambigua* უნდა შენარჩუნდეს თითოეული თხზულების სათაურში: *Ambigua ad Thomam* და *Ambigua ad Iohannem*, იხ. Jeauneau, *Jean l'Érigène et les Ambigua ad Iohannem de Maxime le Confesseur*, p. 348. თავად ტერმინი *ambiguum* მაქსიმეს ამ ნაშრომთან მიმართებაში პირველად გამოიყენა იოანე სკოტ ერიუგენამ ბერძნული ἄποριον-ის შესატყვისად მაქსიმეს ამ თხზულების ლათინურ ენაზე თარგმნისას, Jeauneau (ed.), *Maximi Confessoris Ambigua ad Iohannem*, p. ix.

² *PG* 91, 1061A-1417C (იმეორებს Öhler-ის [1857] გამოცემას). კრიტიკული ტექსტი ჯერჯერობით გამოცემული არ არის. მომზადებულია ამ თხზულების კრიტიკული გამოცემის I ტომი, რომლის გამოცემაც უახლოეს მომავალში ივარაუდება: C. Laga (ed.), *Maximus Confessor, Ambigua ad Iohannem I, Prologus et Ambigua I-V* (Corpus Christianorum, Series Graeca 84).

40, 41, 43, 44, 45; *Epist.*: 101; *Carm.*: II, 2).³ შეიცავს 66 განმარტებას. წინ უძღვის მაქსიმეს ეპისტოლე კიზიკოსის მთავარეპისკოპოს იოანეს მიმართ, რომელთან საუბრებსა და დისკუსიაშიც ჩაისახა ამ თხზულების შექმნის იდეა; დაინერა 628-630 წლებში, მაქსიმეს აფრიკაში მოღვაწეობის პერიოდში, იოანეს მითითებითა და დავალებით.⁴ ძირითადი თემები: წმინდა სამება, ქრისტოლოგია, ანთროპოლოგია, ლოგოსი – ქრისტი; დიდი ადგილი ეთმობა ორიგენეს მოძღვრების კრიტიკას.⁵ თხზულებას შემდეგი აგებულება აქვს: გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიებიდან შერჩევით, თანამიმდევრულად არის ამოკრებილი განსამარტავი პასაჟები, რომლებსაც ერთვის მაქსიმეს განსჯანი. გრიგოლისეული ტექსტის კომენტირებისას ზოგ შემთხვევაში ჩართულია არეოპაგიტული კორპუსის ამა თუ იმ პასაჟის განმარტებაც. საგულისხმოა, რომ მაქსიმეს აინტერესებს არა იმდენად არეოპაგელი, არამედ იგი მის აზრს იყენებს, რათა განმარტოს გრიგოლ ღვთისმეტყველი.⁶

*Ambigua ad Thomam (CPG Supplementum 7705 [1])*⁷ – გრიგოლ ღვთისმეტყველის „დასამშვიდებელი მეორის“, თეოლოგიური სიტყვების „ძისათვის პირველისა“ და „ძისათვის მეორის“ (*Orationes* 23, 29, 30), ასევე არეოპაგელის ეპისტოლის *Epistola IV. Eidem Gaio Monacho* კომენტარებია. შეიცავს ხუთ განმარტებას. ამ თხზულებას წინ უძღვის ეპისტოლე თომას მიმართ; სტრუქტურულად აქვს ისეთივე აგებულება, როგორც *Ambigua ad Iohannem*-ს. შეთხზვის თარიღად 634 წელია მიჩნეული. ადრესატია ბერი თომა კონსტანტინოპოლის მახლობლად მდებარე ფილიპიკუსის მონასტრიდან. ამ მონასტერში უნდა გაეტარებინა მაქსიმეს თავისი

³ ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში მაქსიმე აღმსარებლის სახელი, საზოგადოდ, მჭიდროდ უკავშირდება კაპადოკიელ მამათა, განსაკუთრებით კი გრიგოლ ღვთისმეტყველის ნააზრევს. თავის ნაშრომებში მაქსიმე გრიგოლ ღვთისმეტყველს იხსენიებს, როგორც თავის მასწავლებელსა და წინამძღვარს თეოლოგიასა და ქრისტოლოგიაში. *Opusc.* 19 (PG 91, 221 A); *Amb. Th.* (PG 91, 1044 B). მაქსიმეს შესახებ შექმნილ თანამედროვე გამოკვლევებში საუბარია კაპადოკიელ მოაზროვნეთა დიდი გავლენის შესახებ მის მსოფლმხედველობაზე, იხ. Berthhold, *The Cappadocian Roots of Maximus the Confessor*, p. 51-59.

⁴ Sherwood, *An Annotated Date-list of the Works of Maximus the Confessor*, p. 3-5.

⁵ Sherwood, *The Earlier Ambigua of St. Maximus the Confessor*, p. 10.

⁶ Geanakoplos, *Some Aspects of the Influence of the Byzantine Maximus the Confessor*, p. 154, n. 16.

⁷ PG 91, 1032-1060 (იმეორებს Öhler-ის [1857] პუბლიკაციას); არსებობს ამ თხზულების კრიტიკული გამოცემა, რომელიც ეფუძნება 19 ხელნაწერს, იხ. Janssens (ed.), *Maximi Confessoris Ambigua ad Thomam*.

სამონაზვნო ცხოვრების გარკვეული პერიოდი, რასაც მოწმობს მის მიერ თავის სულიერ მამად და მოძღვრად თომას მოხსენიება.⁸

მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა ქართულად თარგმნა ორ მთარგმნელობით კერას, ათონისა და გელათის მნიგნობრულ სკოლებს უკავშირდება. X საუკუნის ბოლოსათვის ათონის ლიტერატურული სკოლის ცნობილმა წარმომადგენელმა, ექვთიმე ათონელმა ქართულად თარგმნა მაქსიმე აღმსარებლის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები: „თალასეს მიმართ“, „პიროსის მიმართ სიტყვსება“ და სხვ., რომლებიც დაცულია 20-მდე ხელნაწერში და ექვთიმესათვის ჩვეული თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული. გელათის მნიგნობრულ სკოლაში ხელახლა, განსხვავებული, ელინოფილური მთარგმნელობითი პრინციპებით ითარგმნა ექვთიმეს მიერ დაახლოებით საუკუნეზე მეტი ხნის წინ ნათარგმნი მაქსიმეს თხზულებები, რასაც მაქსიმეს სხვა თხზულებათა თარგმანებიც დაემატა. გელათური თარგმანების ძირითადი ნაწილი XII-XIII საუკუნეების ორ ხელნაწერში (გელ. 14 და A-39) არის დაცული.

დღეისათვის გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, იყო თუ არა შუა საუკუნეებში მაქსიმეს *Ambigua ad Iohannem* და *Ambigua ad Thomam* ქართულად მთლიანად ნათარგმნი, თუმცა ჩანს, რომ ძველი ქართული მთარგმნელობითი ტრადიცია, როგორც ათონური, ისე გელათური, იცნობდა მაქსიმე აღმსარებლის ამ თხზულებებს. კერძოდ, ნაკვეთები *Ambigua ad Iohannem*-იდან წარმოდგენილია კომენტარული ხასიათის თხზულებაში „თარგმანებაჲ ძნიად გულისჯმისსაყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობის საკითხავისათა“, რომელიც ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ ჰომილიას (*Oratio* 38) ამ ავტორის საკითხავთა შემცველ ქართულ კრებულებში; თარგმანი ექვთიმე ათონელს ეკუთვნის. ხოლო ფრაგმენტები *Ambigua ad Iohannem*-იდან – „ეპისტოლე იოანეს მიმართ“ და გრიგოლ ღვთისმეტყველის „გლახაკთმოყვარების“ საკითხავის (*Oratio* 14) ორი პასაჟის კომენტარი, ასევე, *Ambigua ad Thomam*-დან – დიონისე არეოპაგელის „გაიოსის მიმართ ეპისტოლის“ კომენტარის ფრაგმენტი – დასტურდება XII-XIII საუკუნეების კრებულში, A-52-ში; ამ კრებულში წარმოდგენილი თარგმანები გელათური სკოლის ანონიმი მნიგნობრის მიერ არის შესრულებული.

⁸ Janssens (ed.), *Maximi Confessoris Ambigua ad Thomam*, p. xxii-xxiv.

თავი I

AMBIGUA AD IOHANNEM ათონურ ტრადიციაში

ხელნაწერები

„თარგმანებაჲ ძნიად გულისწმისსაყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობის საკითხავისათა“ – გრიგოლ ღვთისმეტყველის 38-ე საკითხავის „შობის“ კომენტარი, რომელიც შეიცავს ნაკვეთებს მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-იდან, გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავთა ექვთიმე ათონელის თარგმანების შემცველ ხელნაწერებშია დაცული.

ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ექვთიმესეული თარგმანები უმეტესწილად კრებულის – კორპუსის სახითაა წარმოდგენილი.¹ ესენია:

- A-80 (XIII ს.) – გრიგოლ ღვთისმეტყველის 12 ლიტურგიკული საკითხავის ექვთიმესეული თარგმანების კრებული.
„თარგმანება“: 40r-65v.
- A-518 (1708 წ.) – გრიგოლ ღვთისმეტყველის 12 ლიტურგიკული საკითხავის ექვთიმესეული თარგმანების კრებული; გადანერილია A-80-დან.
„თარგმანება“: 47r-52v.
- A-1 (1030-1031 წწ.) – გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ექვთიმე ათონელისეული თარგმანების კრებული. დასტურდება დავით ტბელის ერთი თარგმანიც. გადანერის ადგილი: კონსტანტინოპოლი; გადამწერი: ბასილი.²
„თარგმანება“: 100r-128r.

¹ ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 59-60, 61-114; Bregadzé, Répertoire des manuscrits de la version géorgienne, p. 67-74.

² ეს არის კონსტანტინოპოლში მოღვაწე ცნობილი გადამწერი ბასილი მალუშის ძე, რომელსაც XI საუკუნის 30-იან წლებში არაერთი ხელნაწერი აქვს გადამწერილი ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი დიდგვაროვნის, ზაქარია ვალაშკერტელის დავალებით.

- S-413 (XI ს.) – გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ექვთიმე ათონელისეული თარგმანების კრებული. გადამწერი: ილარიონი.
„თარგმანება“: 11v-45v.
- P-3 (1040 წ.)³ – გრიგოლ ღვთისმეტყველისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა კრებული. გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავები თარგმნილია ექვთიმე ათონელის და დავით ტბელის მიერ. გადანერის ადგილი: სირია; გადამწერები: გაბრიელ და იოანე ივანენმიდელსაფარელნი. ხელნაწერი გადანერილია ჯვრის მონასტრისათვის.
„თარგმანება“: 31v-41r.
- S-383 (XI ს-ის I ნახ.) – გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების კრებული. მთარგმნელები: ექვთიმე ათონელი და დავით ტბელი.
„თარგმანება“: 6r-27r.
- A-87 (XI ს., გადანერილია 1071 წლის შემდეგ)⁴ – გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების კრებული. მთარგმნელები: ექვთიმე ათონელი, დავით ტბელი, გრიგოლ ოშკელი. ხელნაწერის დამკვეთი: მარიამ, აფხაზთა მეფის, ბაგრატ IV-ის ასული.
„თარგმანება“: 24v-40r.

გამონაკლია ერთი ხელნაწერი – *Ivir. geo.* 68, რომელიც არ წარმოადგენს კორპუსს, ის შეიცავს მხოლოდ გრიგოლ ღვთისმეტყველის 38-ე საკითხავსა და მის „თარგმანებას“.

ხელნაწერი *Ivir. geo.* 68

Ivir. geo. 68-ზე განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ, რადგან ის მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანდის არა მარტო გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობისა“ და მისი კომენტარის ექვთიმესეული თარგმანის შესახებ, არამედ საყურადღებოა ექვთიმესა და, ზოგადად, შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის კვლევის თვალსაზრისითაც.

³ ხელნაწერი ინახება პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლური ხელნაწერების ინსტიტუტში (Институт восточных рукописей РАН).

⁴ ხელნაწერის A-87 დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. მაჭავარიანი, დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები, გვ. 106-114.

ხელნაწერი აღწერილია აღ. ცაგარლის,⁵ რ. ბლეიკისა⁶ და თ. ბრეგაძის⁷ მიერ.

Cod. Ivir. geo. 68

კოდიკოლოგიური აღწერილობა: ⁸

156 ფ.⁹ ზომა: 22x15; ნაწერის ზომა: 15x8,5; ეტრატი. სტრიქონთა რაოდენობა 13; ნაწერია ერთ სვეტად. თავ-ბოლონაკლულია, აქვს რვეულებრივი სათვალავი; იწყება გ (მესამე) რვეულიდან. ბოლოშიც აკლია, სავარაუდოდ, ექვსი ფურცელი. სათაურები შესრულებულია წითელი მელნით. ხელნაწერი განკანონებულია. ჩასმულია მედალიონებით შემკულ ყავისფერ ტყავგადაკრულ ხის ყდაში.

შედგენილობა:

1. [გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ (38-ე) საკითხავი] – 1r-39v.
Inc. ... ხოლო რაჟამს ესევეთარნი ვიქმნეთ ... τοιούτοι~ de; genomev noi~... (*PG* 36, 317 C 10).
 შენიშვნა: ტექსტი ორჯერ არის გამოცემული: *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. III, p. 50-118; მელიქიშვილი (გამოც.), *ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკური ძეგლები*, I, გვ. 86-97.
2. მცირე ზომის ტექსტი, ე. წ. სადიდებელი (*Doxologia*) – 40v-42r.
Inc. ჰ აჟუსებაო, დიდო და პატიოსანო ... All j wλ Πατσα, το; mega kai; ieron ...

⁵ Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности*, I, с. 92-93 (№ 75); ცაგარელს არასწორად აქვს იდენტიფიცირებული ხელნაწერში დაცული მასალა.

⁶ Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Ivion*, p. 149-150.

⁷ ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 61-62.

⁸ ხელნაწერის კოდიკოლოგიური აღწერილობა ძირითადად ეყრდნობა რ. ბლეიკის აღწერილობას. მცირე დეტალები დამატებულია ფოტოპირის მიხედვით.

⁹ *Ivir. geo.* 68-ის ფოტოგრაფირებისას თავს იჩენს ხარვეზი, რის გამოც ტექსტს ფოტოფირში აკლია ორი ნაკვეთი: 58v-59r და 109r-v. ჩვენს გამოცემაში ნაკლული ადგილები (დასაწყისსა და ბოლოში), ასევე *Ivir. geo.* 68-ის ფოტოფირში გამოტოვებული ნაკვეთები აღნიშნულია – ► ... ◀. იხ. გვ. 103-108, 129-130, 150, 173-175.

des. ... პატივი და სიმტკიცე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ ... timh; kai; krato~, eij- tou~ aijwna~ twñ aijwnwn. ꝥAmhn (PG 36, 664 A8-C1).

შენიშვნა: გრიგოლ ღვთისმეტყველის 45-ე საკითხავის ექვთიმესეული თარგმანის ფრაგმენტი, მცირედ პარაფრაზირებული (PG 36, 664 A 8-C1); ტექსტი გამოცემულია: *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. I, p. 157-159.

3. თარგმანებაჲ ძნიად გულისწმისსაყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობის საკითხავისათა – 43r-155v.

des.: ... კეთილსა მოვიღებთ სასყიდელსა უვნებელობასა – kalon lambanonte~ misqon thñ apaq̄eian (PG 91, 1300 B 1).

შენიშვნა: გრიგოლ ღვთისმეტყველის 38-ე საკითხავის კომენტარი; კომპილაციური ტექსტი, რომლის ძირითადი წყარო არის მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*, კერძოდ, გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ (38-ე) საკითხავის კომენტარი (PG 91, 1273D-1301 A 13);¹⁰ ტექსტი გამოცემულია: *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. III, p. 121-219.

ხელნაწერში დასტურდება სამი, ხელნაწერის თანადროული, მინანერი: ¹¹

- ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს (39v) – შესრულებულია ნუსხურით. მოთავსებულია 38-ე საკითხავის ბოლოს.

- შემინდევით უცბად ჩხრეკისათჳს (42r) – შესრულებულია ნუსხურით. მოთავსებულია „სადიდებლის“ ბოლოს.

- ქრისტე, ადიდე მამაჲ იოვანე და ეფთჳმე, ლოცვა-ჰყავნ (32v) – შესრულებულია მხედრულით. მოთავსებულია გვერდის ქვედა აშიაზე.

¹⁰ ამ თხზულების შესახებ იხ. ოთხმეზური, მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem* ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, გვ. 236-252; Otkhmezuri, Maximus the Confessor's *Ambigua ad Iohannem* within the Georgian Translation Tradition, p. 73-85.

¹¹ ხელნაწერში ასევე წარმოდგენილია გვიანდელი, XIX სს. მინანერები, რომლებიც ეკუთვნის ვენედიქტე ბერს, ათონის ქართველთა მონასტრის კარის ეკლესიის უკანასკნელ დეკანოზს (2r) და მის მოსწავლეს, ბესარიონ ქიქოძეს, გაბრიელ ეპისკოპოსის ძმას (152r, 156r). XIX საუკუნის 30-იანი წლებით დათარიღებულ მათ მინანერებს ვხვდებით სხვა ათონურ ხელნაწერებშიც (*Ivir. geo.* 6, 9, 17, 20, 21, 32, 37, 40 და სხვ.), იხ. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ათონური კოლექცია)* I. 1r-ს ქვედა აშიაზე გვიანდელი ხელით შესრულებულია ბერძნული წარწერაც: tou` aq̄iou maximou omologhtou.

პ ა ლ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ე ბ ი

ხელნაწერის ძირითადი ტექსტი შესრულებულია მნიგნობრული, საკმაოდ დახვეწილი ნუსხურით; სპეციფიკას ქმნის, ერთი მხრივ, გრაფემათა ჩვეულებრივზე უფრო დიდი ზომა, ხოლო, მეორე მხრივ, ნაწერის განლაგება ხელნაწერის გვერდზე (*mise-en-page*), კერძოდ, გრაფემათა, ასევე სტრიქონთა შორის დატოვებული უჩვეულოდ დიდი მანძილი და ჩვეულებრივზე მეტად განიერი აშეები. ხელნაწერს ეტყობა რედაქტირების კვალი – რამდენიმე ადგილას (3v, 4r, 10v, 14r, 21r, 22v, 24r, 27v, 36r, 37r, 39r-v, 47v, 50v, 51r, 72v, 90r) ძირითად ტექსტში ჩამატებულია სიტყვები თუ ფრაზები, რომლებიც სტრიქონთა შორის დატოვებულ ადგილებსა და განიერ აშეებზე თავისუფლადაა განთავსებული (სურ. I, III).

თ. ბრეგადის აზრით, ხელნაწერის ძირითადი ტექსტი, ჩამატებები და მასში დაცული მინაწერები ერთი და იმავე პირის მიერ არის შესრულებული, მათგან ნაწილი, კერძოდ, მინაწერი (*ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმესტჳს*, 39v) და ჩამატებები – უფრო ნაჩქარევი ხელით. ეს პიროვნება, მისი ვარაუდით, ექვთიმე ათონელი უნდა იყოს.¹² ექვთიმე ათონელს უნდა ეკუთვნოდეს, მისი აზრით, მხედრულით შესრულებული მინაწერიც: *ქრისტე, ადიდე მამაჲ იოვანე და ეფთჳმე, ლოცვა-ჰყავნ* (32v). ალ. ცაგარელისა და რ. ბლეიკისა და აზრით, ექვთიმეს უნდა ეკუთვნოდეს მინაწერი – *ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმესტჳს* და ხელნაწერში დადასტურებული ჩამატებები.¹³

Ivir. geo. 68-ში ჩვენ სამ ხელს გამოვეყოფთ:¹⁴

I ხელი, რომლითაც შესრულებულია ძირითადი ტექსტის ნაწილი (1r-92v) (სურ. I, II, III) და მინაწერი: *უფალო, შემინყალე უცბად ჩხრეკისათჳს* (42r) (სურ. II);

¹² ბრეგადე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 6-7.

¹³ Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности*, I, с. 93; Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Ivion*, p. 150;

¹⁴ ვერაფერს ვიტყვით მხედრულით შესრულებულ მინაწერზე: *ქრისტე, ადიდე მამაჲ იოვანე და ეფთჳმე, ლოცვა-ჰყავნ* (32v). თ. ბრეგადის აზრი ამ მინაწერის ექვთიმე ათონელისადმი მიკუთვნების შესახებ უფრო შთაბეჭდილების ხასიათს ატარებს, რომლის საწინააღმდეგოდ თუ მხარდასაჭერად არგუმენტი, ვფიქრობთ, არ არსებობს.

II ხელი, რომლითაც შესრულებულია ძირითადი ტექსტის ნაწილი (93r-155v) (სურ. IV);¹⁵









III ხელი, რომლითაც შესრულებულია ჩამატებები (სურ. I, III) და მინაწერი – *ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმესტჳს* (39v) (სურ. I).

სხვაობა I-სა და II ხელს შორის ერთი შეხედვით შეუმჩნეველია. ორივე ფორმალური, მნიგნობრული ხელია; სტილის თვალსაზრისით, ისინი ერთგვაროვანია, კერძოდ, ხელწერათა შეცვლისას ნაწერის ხელნაწერ გვერდზე განლაგების პრინციპი იგივე რჩება, ანუ, არ იცვლება პროპორცია – სტრიქონთა რაოდენობა და მათ შორის მანძილი, აშიების ზომები; ნაწერი ორივე შემთხვევაში შესრულებულია ჩვეულებრივზე მეტად დიდი გრაფემებით, ოდნავ მარჯვნივაა გადახრილი; გრაფემები ორივე შემთხვევაში კუთხოვანია. ლიგატურა, ფაქტობრივად, არ გვხვდება; შემოკლებათა სისტემა ერთგვაროვანია – დაქარაგმებულად ორივე ნაწილში წარმოდგენილია, ძირითადად, *nomina sacra*; ტექსტი მთლიანად სასვენი ნიშნების ერთი სისტემითაა გამართული; ეს ნიშნებია ორწერტილი (:) და სამწერტილი (::).

I და II ხელის ინდივიდუალობას ქმნის ცალკეულ გრაფემათა მორფოლოგია, ფორმობრივი თავისებურებები. კერძოდ, იმ გრაფემებში, რომლებიც ღერძს შეიცავს, II ხელწერაში შეინიშნება ღერძების გადახრის ტენდენცია. მაგალითად, უნ-ის დანერილობაში ღერძი მარჯვნივ არის გადაზნექილი ¶ (სურ. IV, l. 4, 12, 13), მაშინ, როდესაც I ხელი ღერძს შედარებით სწორად, ვერტიკალურად გამოსახავს ¶ (სურ. I, l. 5, 6; II, l. 2, 3 და სხვ.); I ხელის დანერილობაში ქან-ს აქვს მეტ-ნაკლებად სწორი ღერძი † (სურ. I, l. 7; III, l. 5), ჰორიზონტალურად გადამკვეთი ხაზით, რომლის ბოლოები ზევით და ქვევითაა მიმართული; II ხელი ქან-ს გამოსახავს მარჯვნივ მკვეთრად გადაზნექილი ღერძით, რომლის ჰორიზონტალურად გადამკვეთი ხაზი მარცხნივ ბურთულით, ხოლო მარჯვნივ ქვემოთ მიმართული პატარა ხაზით არის დაბოლოებული †.

II ხელი მარჯვნივ გადაზნექს ზენ-ის ღერძს – 2, მაშინ, როდესაც I ხელის მიერ გამოსახულ ზენ-ს ღერძი შედარებით ვერტიკალური აქვს – 2. ზენ-ის დანერილობაში I-სა და II ხელს შორის სხვა სხვაობაცაა: I ხელის შემთხვევაში ზენ-ს აქვს მომრგვალებული თავი (სურ. II, l. 5, 8), ხოლო II ხელი ზენ-ს თავის გარეშე გამოსახავს (სურ. IV, l. 5, 7). თავის

¹⁵ *Ivir. geo.* 68-ის ძირითად ტექსტში ორი ხელის არსებობა შენიშნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომელმა ნათია მიროტაძემ, რომელიც გვეხმარებოდა ტექსტების *Ivir. geo.* 68-თან შეჯერებაში.

მომრგვალების ტენდენცია ზოგადად იჩენს თავს I ხელის ნაწერში; მაგალითად, მან-ს აქვს ორგვარი დანერვილობა: მომრგვალებული თავით –  (სურ. II, l. 4, 5, 11 და სხვ.), ან თავის გარეშე –  (სურ. I, l. 6, 7; II, l. 9 და სხვ.), მაშინ როდესაც II ხელის ნაწერში მანი ყოველთვის თავის გარეშეა –  (სურ. IV, l. 1, 6, 10, 11). ამ ორ ხელს შორის სხვაობას ქმნის, ასევე, გრაფემათა გაფორმების ელემენტი – სერიფი. მერჯვნივ მიმართულ გრაფემებს, როგორებიცაა – ცან, ტარ, ხარ – მარცხენა, ანუ ზურგის მხარეს, მოხაზულობის დასაწყისში, I ხელის შემთხვევაში უმეტესწილად არა აქვს სერიფი, და თუ აქვს, ის ჰორიზონტალურია   (სურ. I, l. 2; II, l. 1, 5, 6 და სხვ.); II ხელის ნაწერში კი სერიფების გამოყენების სიხშირე თვალშისაცემია, თანაც ისინი ყოველთვის ქვევით არის მიმართული:   (სურ. IV, l. 11). სერიფითაა გაფორმებული, ასევე, გრაფემა . გრაფემათა ეს თავისებურებანი იდიოსინკრეტულია, ხელნაწერში წარმოდგენილი ხელწერების ინდივიდუალური მახასიათებლებია. აშკარაა, რომ *Ivir: geo.* 68-ის ძირითად ტექსტზე ორი მნიგნობარი მუშაობდა; ხოლო ის ფაქტი, რომ ხელნაწერი მთლიანობაში ერთ სტილშია შესრულებული, იმას მიანიშნებს, რომ ეს ორი გადამწერი ერთი და იმავე სკრიპტორიუმიდან, ერთი და იმავე მნიგნობრული სკოლიდანაა.

რაც შეეხება მინაწერს – *უფალო, შემინყალე უცბად ჩხრეკისათვს* (42r) – ეს ძველ ქართულ ხელნაწერებში ფართოდ გავრცელებული გადამწერისეული მოსახსენებელია. შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის გადამწერები ამ თავმდაბლური ფორმულით (*უცბად ჩხრეკა* = ცუდად წერა, ჯღაბნა¹⁶) ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე თავიანთ თავს. ნიშანდობლივია, რომ ზოგ შემთხვევაში ერთი და იმავე პირის ხელწერა ძირითადი ტექსტისა და გადამწერისეული მოსახსენებლის შესრულების შემთხვევაში სხვადასხვაგვარად „გამოიყურება“: ძირითადი ტექსტი, როგორც წესი, კალიგრაფიის კლასიკური ნორმების მიხედვით არის ხოლმე შესრულებული გადამწერის მიერ, ხოლო გადამწერისეული მინაწერი ზოგ შემთხვევაში არაფორმალური ხელწერის ნიშნებს ატარებს; მისი ადგილ-

¹⁶ ჯავახიშვილი, *ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია*, გვ. 50-51. უცბად ჩხრეკის მნიშვნელობა კარგად იკვეთება სინური კოლექციის ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში, სადაც ერთმანეთთან არის დაპირისპირებული უცბად ჩხრეკა (თავმდაბლური თვითშეფასება – ჯღაბნა) და მწერალი (გადამწერი – საპატიო ნოდება): *შემინდვეთ, წმიდანო ღმრთისანო, უცბად ჩხრეკისათვს, არაჲს თუ მწერალი ვიყავ* (*Sin. geo.* 11, 360r).

րդրդժ փղպոտ փուռ քր
 շուր շուր ծա պիտպոհ ծղե
 ինչն փուռ րժդի ցղու
 փաղպղառ փն ծու
 փնդնդ կփալառքու փո
 կփալաղպղառ րժոռպա
 ղոռ օռ : շի շի սեհե սոռնդն ծե րոս փղպժ փոռակ ղըս
 փղպժն փղպալն ծիղն դղն ծի
 առնուր ինուր փոռնուր
 ր. փն ծղն քր ծե ծն ծե
 աղտո աղղրհ : - :

Նալուր քր քո շուր քր կրն քր փոլղն տն :



շինքս յիճիտ շքաւի գրեցեալ
 թոն շին քո ժեռե՛ծ եպփորո
 թոն ե իհոն ե ցղ շպրոպի
 ւ ժղի ե ցա քղա տաւ ժտ
 ճղղոն ե տաւ ժեռ ժեռ ժեռ
 շք ցղր թոն ժա տ ցճե ցղ
 ե թոն ժե քոն ե տհա յ թե
 ե կիտ շղրոն ե ժեռ ցե
 Ե՛ ժճա ժե ե շքա ժե ե նա
 թա ժ ցճե ցաղի հոն գրո
 քղ ժցո շքրոն ժե ե ոճ
 շկողղա թ ժեռ ժե՛ ժե աղի
 տո. աղի ժեռ : ցղճոն աղ ժեռ ժեռ ժեռ :

Ճղատփո՛ն Էղ՛ Տղկոն նոյն
Եւ փճղ փոյն Եւ Վ
ժն նոյն ալ Տղ՛ Տա Եղ
Նոն՛ մա Ճղտ ցա ցո
տա Տա ալ Ճա փ
ալ դգհոն Նոն : Տա
Ճղտ եւ Նոն ցղկ
ցղցոն ր՛ճ փոյն Եւ
ժն եւ Նոն ալ տղ ցալ տ
Եւ Նոն նոյն Ճղատփո՛ն
Տղկոն : **Նոն Տղցոն**

Սի ալ տնոյ ցալնոյ ցոն
նոն Տա ալ Էղ ցոն

Ճղատփոն
Եւ փճղ
ժն նոյն
տա Տա
ալ Ճա
փալ դգհոն
Նոն
Ճղտ եւ
Նոն ցղկ
ցղցոն
ր՛ճ փոյն
Եւ
ժն եւ
Նոն ալ
տղ ցալ
տ
Եւ Նոն
նոյն
Ճղատփոն
Տղկոն
Նոն Տղցոն

տի : յ՞ճ ծաւ բժի Ե ք
դչրու Ե Ե ժողոկոս
քճու : զի Կչրու
ճի Ե քի քաժի ք դչճի
ճու : Ե Նու Նի ճի Ե
Ե ճու զի ճի դի ոչ ճի :
Ե ո Նի Ե Ե Ե դի Ե
ճի Նու Ե Կի Ե : Ե Ե
ճու զու քի ոչ ճի ճու
ճու ճա աժի դչի Ե Ե : զի
Ե ճու թի ոչ ճի ճի ճի
աժի ճու : ճի ճի : *ճի ճի*
Ե ճա ճու ճի ճու ճի

მდებარეობაც ხელნაწერში (აშია, ტექსტის დიდი მონაკვეთის დასასრული და მისთ.) განაპირობებს იმას, რომ გადამწერისეული მოსახსენებელი უფრო წვრილი გრაფემებით, გაკრული ხელით არის ხოლმე ნაწერი, ნაკლებად ოფიციალურია. *Ivir. geo.* 68-ის გადამწერისეული მინაწერიც ერთი შეხედვით განსხვავდება ძირითადი ტექსტისაგან, თუმცა ამ შემთხვევაში ისიც მწიგნობრული, ოფიციალურია; გრაფემათა მოხაზულობით ის, ფაქტობრივად, I ხელის იდენტურია, ოღონდ სხვა პროპორციებით არის წარმოდგენილი, რაც ქმნის სწორედ ვიზუალურ სხვაობას ამ ორ ნაწერს შორის; კერძოდ, ძირითადი ტექსტის შემთხვევაში ეს არის დიდი შუალედებით, მეჩხრად ნაწერი გადიდებული გრაფემები, ხოლო მინაწერის შემთხვევაში – ერთმანეთთან მიჯრით მიწყობილი, წაგრძელებული გრაფემები. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ გადამწერისეული მინაწერი ასახავდეს ამ გადამწერის ნამდვილ ხელწერას, ხოლო ძირითადი ტექსტი პროპორციულად გარკვეული მიზნით (ამის შესახებ ქვემოთ) იყოს შეცვლილი – გაშლილად, მეჩხრად, გადიდებულად დანერილი.

დანერილობა, რომლითაც შესრულებულია მინაწერი: *ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმესტჳს* (39v) და ხელნაწერის ძირითად ტექსტში შეტანილი ჩამატებები შესრულებულია I და II ხელისაგან განსხვავებული, III ხელით. ეს არის არაოფიციალური ხელწერა არათანაბარი, სხვადასხვა ზომის გრაფემებით; სტრიქონის ხაზი დაცული არ არის. გრაფემათა მოხაზულობით ეს არაფორმალური ხელი ჩამოჰგავს *Ivir. geo.* 68-ის ფორმალურ ხელწერებს (სხვათა შორის, ამ ნაწერშიც დასტურდება სერიფები), რაც იმაზე მეტყველებს, რომ მინაწერი და ჩასწორებები იმავე მწიგნობრული სკოლის წარმომადგენელს ეკუთვნის, რომელშიც ეს ხელწერა შექმნილი, ოღონდ არაპროფესიონალს. განსაკუთრებული ინდივიდუალობა ჩანს ნარ-ის დანერილობაში; ის გამოირჩევა თავისი გადმოხრილი, თითქმის სტრიქონის ხაზამდე ძირს დაშვებული მორკალული თავით (სურ. I, III). აშკარაა, რომ მინაწერიც და ჩანართებიც ეკუთვნის *Ivir. geo.* 68-ზე მომუშავე კიდევ ერთ მწიგნობარს, მესამე პირს.

ძველ ხელნაწერში არაფორმალური ხელის გამოჩენას უმეტესწილად მოსდევს ხოლმე ვარაუდი ხელნაწერის შექმნაში იმ მწიგნობრის უშუალო მონაწილეობის შესახებ, რომელთანაც დაკავშირებულია მასში წარმოდგენილი მასალა. ეს შეიძლება იყოს ცნობილი ავტორი თუ მთარგმნელი, რომელიც თავად წერს ან იწერს თავის ნაშრომს, თუ რედაქტირებას უკეთებს მას. ასეთი მწიგნობრები, თავიანთი ძირითადი საქმიანობის გამო (შემოქმედებითი საქმიანობა – შეთხზვა, თარგმნა),

კალიგრაფიის ხელოვნებას ნაკლებად არიან დაუფლებულნი,¹⁷ შესაბამისად, მათი ხელნერა უმეტესწილად არაფორმალურია, მნიგნობრულობით არ გამოირჩევა.

ასეა ჩვენი ხელნაწერის შემთხვევაშიც. მასში დადასტურებული არაფორმალური ხელწერის გამო *Ivir. geo.* 68-ის აღმწერლები, მართალია, სხვადასხვაგვარად, მაგრამ სამივე, ხელნაწერს ექვთიმეს უკავშირებს. თ. ბრეგაძის ვარაუდით, ის მთლიანად ექვთიმეს ავტოგრაფს წარმოადგენს, ხოლო ალ. ცაგარელის და რ. ბლეიკის აზრით, ავტოგრაფულია ხელნაწერის ძირითად ტექსტში შეტანილი ჩანართები და ექვთიმეს მოსახსენებელი. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ხელნაწერში აშკარად შეინიშნება ექვთიმე ათონელის მუშაობის კვალი, კერძოდ, ჩვენი აზრითაც, ექვთიმეს მოსახსენიებელი და ძირითად ტექსტში შეტანილი ჩამატებები *Ivir. geo.* 68-ში უშუალოდ ექვთიმეს მიერ უნდა იყოს შესრულებული.

იმისათვის, რომ ვარაუდს ხელნაწერში ექვთიმეს ხელწერის არსებობის შესახებ მეცნიერული ღირებულება მიეცეს, ცხადია, არ არის საკმარისი ხელნაწერში მხოლოდ არაფორმალური ხელის დადასტურება. ნაწერი არაფორმალური ხელით სხვა მიზეზითაც შეიძლება იყოს შესრულებული; ეს შეიძლება იყოს გადამწერის გამოუცდებლობა, გადამწერის პროცესის აჩქარება და სხვ. მაგალითად, ხელნაწერი *Ivir. geo.* 79-ის ნაწილი არაფორმალური ხელით არის შესრულებული, რის გამოც ის რ. ბლეიკისა და ალ. ცაგარელის მიერ ექვთიმეს ავტოგრაფად იყო მიჩნეული,¹⁸ თუმცა დეტალური შესწავლის შედეგად, ხელნაწერის კოლოფონზე დაყრდნობით, გაირკვა, რომ ეს ასე არ არის.¹⁹ ჩვენ შემთხვევაშიც მხოლოდ პალეოგრაფიული კვლევა ბევრს არაფერს მოგვცემს იმის დასასაბუთე-

¹⁷ არსებობს გამონაკლისიც, მაგალითად, გიორგი ათონელი, რომელიც მთარგმნელობით საქმიანობასთან ერთად ხელნაწერთა გადამწერა-გავრცელებითაც იყო დაკავებული: „*მე ჴელთსაქმარსა ჩემსა ვერ ვჰყიდდი, ღონე არა იყო და ღმრთისმოყუარეთა კაცთა მოღუანებითა ვიზარდებოდეცა და ეტრატსაცა ვიყიდდი...*“ (ფრაგმენტი გიორგი ათონელის კოლოფონიდან, *Ivir. geo.* 45, 8v). თუმცა გიორგის ხელწერას კალიგრაფიულს ვერ ვუნოდებთ, ეს არის უფრო სწავლულის საქმიანი ხელწერა, შესრულებული წვრილი, მკაფიო ნუსხურით. გიორგი ათონელის ავტოგრაფულ ხელნაწერებთან დაკავშირებით იხ.: ბრუნი, წმინდა გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფების იდენტიფიცირებისათვის, გვ. 113-120.

¹⁸ Цагарели, *Сведения о памятниках грузинской письменности*, I, с. 92; Blake, *Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos*, p. 157-159.

¹⁹ დოლაქიძე, ათონური 79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ, გვ. 3-20.

ბლად, რომ ჩანართები და ექვთიმეს მოსახსენებელი ექვთიმეს ხელითაა შეტანილი *Ivir. geo.* 68-ში, რადგან დღეისათვის ჩვენთვის არ არის ცნობილი ხელნაწერი, რომელიც დანამდვილებით ექვთიმეს ავტოგრაფია და რომელთანაც შედარების საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი ჩვენი თვალსაზრისის დასაბუთება. ასეთ ვითარებაში მეტი დახმარება შეიძლება გაგვინიოს გარეშე არგუმენტების მოყვანამ, როგორცაა:

I. ხელნაწერის დათარიღება, რადგან თუ *Ivir. geo.* 68 ექვთიმეს თანადროულია, მეტი ალბათობაა, რომ მასთან ექვთიმეს უშუალო შეხება ჰქონოდა.

II. მინაწერის – ექვთიმეს მოსახსენებლის – განხილვა მისი ავთენტურობის წარმოჩენის მიზნით.

III. ჩანართების შინაარსობრივი ანალიზი ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდის გათვალისწინებით.

I. *ხელნაწერის დათარიღება.*

Ivir. geo. 68 რ. ბლეიკს X-XI საუკუნეებით აქვს დათარიღებული; ალ. ცაგარელი და თ. ბრეგაძე ხელნაწერს X საუკუნის ბოლო პერიოდით ათარიღებენ. ე. მეტრეველის აზრით, *Ivir. geo.* 68 1002 წლამდე უნდა იყოს შექმნილი და ექვთიმეს მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმნის ერთი ძირითადი ეტაპის დასრულებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.²⁰

ექვთიმე ათონელის შრომების ჩამონათვალში, რომელიც წარმოდგენილი იყო 1002 წლის ხელნაწერში,²¹ იოანე ოქროპირის „მათეს სახარების“ კომენტარის ექვთიმესეული თარგმანის იოანე ათონელისეულ „წინათქმაში,“ მეცამეტედ (იგ) დასახელებულია: „ცხოვრება წმიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და თქუმულნი მისნი“. ე. მეტრეველის აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს გრიგოლის 12-სიტყვიანი კორპუსი, რომელიც

²⁰ *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica.* I, p. ix.

²¹ შანიძე (გამოც.), წმ. იოანე ოქროპირი, *თარგმანება მათეს სახარებისა*, I, გვ. 14. ექვთიმეს შრომათა ჩამონათვალი წარმოდგენილია ამ თხზულების შემცველ არაერთ ხელნაწერში, რომელთაგან აღსანიშნავია 1008 წლით დათარიღებული ათონური კრებული (წარმოდგენილია სამ ნაწილად: *Ivir. geo.* 13, 4, 10) და ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი 20 (1048 წ.). სწორედ ქუთაისურ ხელნაწერშია დაცული სრულად ექვთიმესეული ანდერძი, რომელიც მასში ექვთიმეს ავტოგრაფიდან არის გადმოსული და რომელშიც მითითებულია ავტოგრაფის შექმნის თარიღი – 1002 წელი, იხ. *ხელნაწერთა აღწერილობა (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი)*, გვ. 95.

ინყება გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრებით“ და შეიცავს გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავებს: 43, 40, 38 კომენტართურთ, 19, 39, 45, 44, 41, 11, 21, 16, 14. ეს კორპუსი დღეისათვის წარმოდგენილია XIII საუკუნის ხელნაწერში, A-80-ში. მას ზედმიწევნით იმეორებს გვიანდელი ხელნაწერი A-518 (1708 წ.). მკვლევარი ამ კორპუსს პირობითად „მცირეს“ უწოდებს, რადგან შემდგომში ის შეივსო და გამდიდრდა ექვთიმესა და სხვა მწიგნობართა თარგმანებით და ვრცელ კორპუსად იქცა.²²

გრიგოლის ლიტურგიკულ საკითხავებზე მუშაობა, მისი თხზულებების მცირე კორპუსის შექმნა 1002 წლამდე, X საუკუნის ბოლო მეოთხედში უნდა დაწყებულიყო. 977 წელს გადანერილ ხელნაწერში, ბასილი დიდის „სწავლანში“ (cod. *Ivir. geo.* 32), უკვე ჩანს გრიგოლის ორი საკითხავის – 43-ისა და მე-15-ის – ექვთიმესეული თარგმანი.²³ ბასილი

²² გრიგოლ ღმრთისმეტყველის საკითხავების „მცირე“ კორპუსის შედგენის შემდეგ ექვთიმე ათონელი ინყებს გრიგოლის ვრცელ კრებულზე მუშაობას. ხელნაწერებში A-92 (XI ს.) და S-413 (XI ს., ნაკლული) „გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრებასა“ და უკვე ნათარგმნ ლიტურგიკულ საკითხავებს ემატება კიდევ ორი ლიტურგიკული (1, 42) და ოთხი არალიტურგიკული საკითხავი (20, 29, 30, 31). ექვთიმეს გარდაცვალების შემდეგ გრიგოლის საკითხავების ექვთიმესეული თარგმანების შემცველ კრებულებზე მუშაობა, მათი შევსება გრძელდება. ხელნაწერში A-1, რომელიც გადანერილია კონსტანტინოპოლში 1030-31 წლებში (გადამწერი ბასილი ეტრატა, მომგებელი ზაქარია ბანელი), გრიგოლის ლიტურგიკული საკითხავების ციკლის შევსების მიზნით, ექვთიმეს ნათარგმნ საკითხავებს ემატება დავით ტბელის მიერ თარგმნილი გრიგოლის 24-ე ლიტურგიკული საკითხავი. 1040 წელს ანტიოქიაში ჯვრის მონასტრისათვის გადანერილი გრიგოლ ღმრთისმეტყველის კრებული (P-3), ექვთიმეს თარგმანებთან ერთად, შეიცავს დავით ტბელის მიერ თარგმნილ შვიდ არალიტურგიკულ საკითხავს; ამ კრებულიდან ჩანს, რომ ექვთიმეს ნათარგმნი ჰქონდა ასევე გრიგოლის მე-3 და 37-ე საკითხავები. ხელნაწერში S-383 (XI ს.) გრიგოლის ექვთიმესეულ თარგმანებთან ერთად ტბელის მიერ თარგმნილი თერთმეტი არალიტურგიკული საკითხავია დაცული, ხოლო S-1696-ში (XI ს.) – ორტომედის II ნაწილში, გრიგოლ ღმრთისმეტყველის ექვთიმესეულ და დავით ტბელისეულ თარგმანებთან ერთად, გრიგოლ ოშკელის მიერ ნათარგმნი გრიგოლის ერთი საკითხავიც არის წარმოდგენილი.

²³ *Ivir. geo.* 32 (977 წ.) კრებულის მომგებელია იოანე ათონელი, გადამწერი – საბა. ბასილი დიდის ჰომილიებს წინ უძღვის გრიგოლ ღმრთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავი: „ცხოვრება და შესხმა ნმიდისა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისი“ (43-ე სიტყვა); ბასილი დიდის „სწავლანში“ 24-ე თავად კი ჩართულია გრიგოლის „შესხმა ნმიდათა მაკაბელთა“ (მე-15

დიდის ამავე თხზულების შემცველ ხელნაწერში – H-2251 (X საუკუნის ბოლო²⁴) – გრიგოლის საკითხავთა ექვთიმესეული თარგმანების რიცხვი უკვე სამია: 43, 40, 15.²⁵

რაც შეეხება *Ivir. geo.* 68-ს, ე. მეტრეველის აზრით, მასშიც ასახული უნდა იყოს 12-სიტყვიანი კორპუსის შექმნის ერთ-ერთი წინარე, მოსამზადებელი ეტაპი, როდესაც ხდება ექვთიმეს მიერ გრიგოლისეული კორპუსისათვის მასალის დაგროვება, გრიგოლის საკითხავების ჯგუფ-ჯგუფად თარგმნა და მათი თავმოყრა სხვა ავტორთა ნაშრომების შემცველ კრებულებში, როგორებიცაა ბასილი დიდის „სწავლანი“-ს ხელნაწერები – *Ivir. geo.* 32 და H-2251, თუ დამოუკიდებელ, მცირე ზომის ხელნაწერებში, როგორიცაა *Ivir. geo.* 68. ე. მეტრეველის ვარაუდით, *Ivir. geo.* 68-ში, გრიგოლის 38-ე საკითხავთან და მის კომენტართან ერთად, ხელნაწერის დასაწყისში შეიძლება ყოფილიყო ჩართული „გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრება“ და საკითხავები 43, 40, 15, რომლებიც ამ ხელნაწერის შედგენის დროისათვის უკვე ნათარგმნი უნდა ჰქონოდა ექვთიმეს.²⁶ რამდენად დაიტევდა *Ivir. geo.* 68 38-ე საკითხავთან და მის კომენტართან ერთად სხვა მასალასაც, ძნელი სათქმელია. ხელნაწერი საშუალოზე მცირე ზომისაა და საკმაოდ დიდი მოცულობის ტექსტების ჩართვის შემთხვევაში (ასეთებია სწორედ გრიგოლის 43-ე და მე-40 საკითხავები), მისი აკინძვა გართულდებოდა; ასევე ნაკლები ა და ბ რვეულები მხოლოდ გრიგოლის 38-ე საკითხავის დასაწყისს თუ დაიტევდა და ნამდვილად არ იქნებოდა საკმარისი „გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრების“ საკმაოდ ვრცელი ტექსტისათვის; მაგრამ ერთი რამ ცხადია: *Ivir. geo.* 68-ში მართლაც წარმოდგენილია გრიგოლის მცირე კორპუსის შედგენის ერთ-ერთი წინარე ეტაპი, რაზეც შემდეგი არგუმენტებიც მიანიშნებს:

სიტყვა). ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 191-192.

²⁴ ც. ქურციკიძე ხელნაწერს H-2251 ათარიღებს 994-1001 წწ-ით ხელნაწერის ანდერძში მოხსენიებული დავით კურაპალატის ტიტულის – „ქართველთა მეფის“ – მიხედვით, იხ. ქურციკიძე (გამოც.), *ბასილი კესარიელის „სწავლანი“*, გვ. 018-021.

²⁵ ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 190-191.

²⁶ *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. I, p. viii-ix.

(ა) ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში გრიგოლის 38-ე საკითხავი კომენტართურთ ჩვეულებრივ ჩართულია კორპუსში – გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ექვთიმესეული თარგმანების შემცველ კრებულებში; ეს ორი ტექსტი დამოუკიდებლად მხოლოდ *Ivir. geo.* 68-შია წარმოდგენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ *Ivir. geo.* 68 ამ ფორმატით არ ყოფილა შედგენილი გავრცელებისათვის, ის სამომავლოდ კორპუსში შესატანად იყო შექმნილი;

(ბ) თვალშისაცემია ხელნაწერში დაცული ტექსტების – „შობის“ საკითხავისა და მისი „თარგმანების“ – გაუმართავი ორთოგრაფია (ამის შესახებ დეტალურად – ქვემოთ), რომელიც თითქმის მთლიანად გამართული და გასწორებულია ამ ტექსტების შემცველ გრიგოლ ღვთისმეტყველის დანარჩენ ხელნაწერებში – კორპუსებში.

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ ხელნაწერი *Ivir. geo.* 68 არ იყო შექმნილი გავრცელებისა თუ საყოველთაო ხმარებისათვის, ის სამუშაო ეგზემპლარს, ე. წ. „შავ“ მასალას წარმოადგენდა.

ხელნაწერში დასტურდება გაფორმების ელემენტები – მეტ-ნაკლებად დეკორატიული საზედაო გრაფემები, რაც, ერთი შეხედვით, შეუფერებლად შეიძლება გვეჩვენოს სამუშაო ეგზემპლარისათვის, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ ეტრატისა და, ზოგადად, ხელნაწერ წიგნთა დეფიციტის პირობებში სამუშაო ეგზემპლარი შიდა ხმარებისათვის ყოფილიყო განკუთვნილი, თანაც, ჩვენი ხელნაწერი პროფესიონალი გადამწერების ხელიდან არის გამოსული. ასე რომ, არ არის გამორიცხული, მათ გაფორმების გარეშე არ დაეტოვებინათ თუნდაც შიდა მოხმარების ხელნაწერი.

როგორც აღვნიშნეთ, *Ivir. geo.* 68-ში 38-ე საკითხავსა და კომენტარს შორის ჩართულია მცირე ზომის ტექსტი – სამადლობელი შინაარსის ე. წ. „სადიდებელი“ (40v-42r). რ. ბლეიკისა და თ. ბრეგადის აზრით, ეს ტექსტი ექვთიმე ათონელს უნდა ეკუთვნოდეს. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ეს არის ფრაგმენტი გრიგოლ ღვთისმეტყველის 45-ე საკითხავიდან.²⁷ საიდან და რატომ გაჩნდა ის ამ ხელნაწერში? კონტექსტის მიხედვით, გრიგოლ ღვთისმეტყველი ამ პასაჟში მადლობას სწი-

²⁷ Kourtsikidze, La composition du manuscrit Iviron 68 et le colophon d’Ephrem Mtsiré, p. 429-437.

რავს უფალს, რომლის შემწეობით მან არა მარტო დაიწყო, არამედ დაასრულა კიდევ მნიშვნელოვანი საქმე: „ან შეინირე ჩუენ მიერ ესე თქუმულნი სიტყუანი, არა დანყებაჲ, არამედ აღსასრულიცა ჩუენისა ნაყოფთა შენრვისაჲ“. როგორც ცნობილია, ქართველი მთარგმნელები ხშირად მიმართავენ წმ. მამათა თხზულებების საკუთარ თარგმანებს თავიანთი კოლოფონების მხატვრული გამშვენებისათვის. მაგალითად, ეფრემ მცირის წინაშესავალში, რომელიც ნამძღვარებული აქვს მის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს, ვხვდებით რემინისცენციებს გრიგოლის საკითხავებიდან.²⁸ დაახლოებით მსგავსი ვითარება უნდა იყოს ამ შემთხვევაშიც. ექვთიმე საკუთარი მადლიერების გამოსახატავად ესესხება გრიგოლს, გრიგოლის საკითხავიდან იღებს პასაჟს იმისათვის, რომ გამოხატოს საკუთარი მადლიერება უფლის მიმართ მნიშვნელოვანი საქმის დასრულებისათვის. რა საქმეზე შეიძლება იყოს აქ საუბარი? საფიქრელია, რომ არცთუ მცირე (40v-42r) სამადლობელი ტექსტის დართვა მნიშვნელოვანი, დიდი სამუშაოს დასრულებისას არის მოსალოდნელი, მაგალითად, ისეთის, როგორც გრიგოლის საკითხავთა კორპუსის თარგმნაა. აქ მხოლოდ *Ivir: geo.* 68-ში წარმოდგენილი მასალის – გრიგოლის 38-ე საკითხავისა და მისი კომენტარის თარგმნა რომ იგულისხმებოდა, „სადიდებელი“ ამ ტექსტების ბოლოს იქნებოდა მოთავსებული ხელნაწერში და არა 38-ე საკითხავის შემდეგ, როგორც ეს *Ivir: geo.* 68-შია. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 38-ე საკითხავისა და მასთან ერთად მისი კომენტარის თარგმნა ექვთიმესათვის იყო მნიშვნელოვანი სამუშაოს – გრიგოლის 12-სიტყვიან კორპუსზე მუშაობის დამასრულებელი, დამაგვირგვინებელი ეტაპი. საფიქრელია, რომ 38-ე საკითხავისა და მისი კომენტარის თარგმნამდე მას 43-ე და მე-40 საკითხავებთან ერთად უკვე ნათარგმნი ჰქონდა 12-სიტყვიანი კრებულის დანარჩენი საკითხავებიც: 19, 39, 45 (რომლიდანაც ვრცელი პასაჟია ციტირებული *Ivir: geo.* 68-ში), 44, 41, 11, 21, 16, 14. ამის შემდეგ, 1002 წლისათვის, ექვთიმეს უკვე შეეძლო მთელი თავისი ნამუშევრის ერთ კორპუსად შეკვრა. ეს კორპუსია სწორედ იოანე ათონელის „წინათქმაში“ დასახელებული „ცხორებაჲ წმიდისა გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ და თქუმულნი მისნი“, რომელიც A-80 ხელნაწერშია წარმოდგენილი.

²⁸ ოთხმეზური, კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, გვ. 84-93.

ამგვარად, ხელნაწერი, რომელშიც ასახულია 1002 წლისათვის უკვე დასრულებული სამუშაო – გრიგოლის მცირე კორპუსის შექმნის წინარე ეტაპი, ექვთიმეს თანადროულია და, შესაბამისად, მასში ექვთიმეს მუშაობის კვალის არსებობა სრულიად დასაშვები შეიძლება იყოს.

II. მოსახსენებლის ფორმულირება.

მოსახსენებლებში, რომლებსაც უხვად ვხვდებით ქართულ და, ზოგადად, ქრისტიანული აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ხელნაწერებში, მოხსენიებულნი არიან ხოლმე ის პირები, რომლებიც მოცემულ ხელნაწერთან არიან დაკავშირებულნი. ეს შეიძლება იყოს გადამწერი, ხელნაწერის მომგებელი, ან იმ თხზულებ(ებ)ის მთარგმნელი, რომელიც ხელნაწერშია წარმოდგენილი. მოსახსენებელთა ავტორი და მათი დამწერიც, უმეტესწილად, ხელნაწერის გადამწერია ხოლმე, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ეს შეიძლება თავად მომგებელი, ან მთარგმნელიც იყოს.

Ivir. geo. 68-ში 39r-ზე წარმოდგენილი მინაწერი – *ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს* – ჩვენი აზრით, ექვთიმე ათონელის პირადი მოსახსენებელია, ანუ ის თავად ექვთიმეს მიერ არის შეთხზული. შინაარსობრივად ამ ტიპის მოსახსენებლები სხვადასხვა ვარიაციით, როგორც I, ისე III პირში, ხშირად დასტურდება ექვთიმეს მიერ თარგმნილ თხზულებათა შემცველ ხელნაწერებში, მაგალითად:

- ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს, რომელმან ესე ვთარგმნე (*Ivir. geo.* 32, 47v);

- ლოცვა-ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს, წმიდანო ღმრთისანო (A-96, 164r);

- ... ლოცვასა მომიწსენეთ გლახაკი ეფთჳმე, რომელმან ვთარგმნე ესე ბერძულიდან ქართულად (A-96, 99v).

საკუთარი თავის, საკუთარი ნამოღვაწარის დამცრობა, თავმდაბლობა – *მნიგნობარი, როგორც გლახაკი, ცოდვილი, უცბად მჩხრეკალი* – შუა საუკუნეების კოლოფონებში ფართოდ გავრცელებული ტოპოსია. თუმცა, როდესაც საქმე ეხება არა პირად, არამედ სხვა პირის მოსახსენებელს, უარყოფითი შინაარსის ეპითეტებს დადებითი ეპითეტები და შეფასება ენაცვლება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ექვთიმე ათონელის მოსახსენებლების მაგალითზე, რომლებსაც მისი თხზულებების გადამწერები, მისი თანამოღვაწენი ურთავენ მის თარგმანებს, მაგალითად:

- მამაო, ძეო და სულო წმიდაო, ადიდე მამაჲ ეფთჳმე, შემამკობელი შენი და ქართველთა ენასა გამომთარგმანებელი სუფევათა დაუსრულებელთა (A-92, 182v).

მეტიც, ექვთიმეს პირად მოსახსენებლებს, რომლებშიც ექვთიმე „გლახაკად“ მოიხსენიებს თავს, ხელნაწერებში ერთვის გადამწერისეული მოსახსენებლები, რომლებშიც მნიგნობრები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ უარყოფითი ეპითეტები ექვთიმეს თვითშეფასებას წარმოადგენს და თავად, ამის საპირისპიროდ, ქებით ამკობენ მას:²⁹

- ლოცვა-ყავთ გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ეფთჳმესთჳს, მონანო ქრისტესნო (ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი) – ესე თ ჳ თ და უ ნ ე რ ი ა . მე ესრეთ ვიტყვ: ღმერთმან ადიდენ მამაჲ ეფთჳმე (გადამწერის მიერ შედგენილი მოსახსენებელი), (A-92, 203r).

- ლოცვა-ყავთ გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ეფთჳმესთჳს (ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი) – წმიდაო, მ დ ი დ ა რ ი ხ ა რ შ ე ნ , ა რ ა გ ლ ა ხ ა კ ი წინაშე უფლისა (გადამწერის მიერ შედგენილი ექვთიმეს მოსახსენებელი), (A-1103, 11v).

- ლოცვა-ყავთ გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ეფთჳმესთჳს (ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი) – ესე მამისა ეფთჳმის და ნ ე რ ი ლ ი ა . ლოცვა-ყავთ და აკურთხეთ, რომელმან ესე სულთა განმანათლებელი გვთარგმნა, დ ი დ ის ა და წ მ ი დ ის ა მამისა ეფთჳმისთჳს (გადამწერის მიერ შედგენილი ექვთიმეს მოსახსენებელი), (A-1103, 58r).

- ლოცვა-ყავთ ც ო დ ვ ი ლ ის ა ეფთჳმესთჳს. წმიდაო გრიგოლ, შენ მიერ აღწერილთა ამათ წმიდათა მამათა თანა მეოხ-გუეყვენით წინაშე უფლისა (ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი) – ესე ზ ე მ ო ნ ე რ ი ლ ი წ მ ი დ ის ა მ ა მ ის ა ეფთჳმესთჳს . ხოლო ჩუენ მიერ ა რ ა ც ო დ ვ ი ლ ი , ა რ ა მ ე დ ღ მ ე რ თ შ ე მ ო ს ი ლ ი და უკუანათა ჟამთა მეორე ოქროპირი ... (გადამწერის მიერ შედგენილი ექვთიმეს მოსახსენებელი), (A-1103, 64r).

- ლოცვა-ყავთ გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ეფთჳმესთჳს, მთარგმნელისა, და შემინდვეთ (ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი) – ესე თჳთ წმიდასა მამასა ეფთჳმეს დაუნერია, ხოლო მე, გლახაკი იოანე გრძელისძე ამას დავსწერ, ვითარმედ ა რ ა გ ლ ა ხ ა კ ი , ა რ ა მ ე დ მ დ ი დ ა რ ი და სულითა დიდებული წინაშე ღმრთისა ... (გადამწერის მიერ შედგენილი ექვთიმეს მოსახსენებელი), (A-1103, 117v).

ხელნაწერებში ეს ორი ტიპის მოსახსენებელი შესრულებულია ერთი და იმავე, გადამწერისეული ხელწერით. ექვთიმეს პირადი მოსახსენებ-

²⁹ ამ ტიპის მოსახსენებლების შესახებ იხ. მეტრეველი, იოანე და ეფთჳმე ათონელებისადმი მიძღვნილი „სამახსოვრო წიგნები“.

ლები, ცხადია, ექვთიმეს ავტოგრაფებიდან არის გადატანილი გადამწერთა მიერ კრებულებში.³⁰

მეტიც, გადამწერები მიუთითებენ კიდევ, რომ პირადი მოსახსენებლები მათ სწორედ ექვთიმეს ავტოგრაფული ხელნაწერებიდან – „*ნუსხებიდან*“³¹ – აქვთ გადმოტანილი. „ნუსხას“, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ავტოგრაფის მნიშვნელობა ჰქონდა, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ათონის მნიგნობრულ წრეში შექმნილი ექვთიმესა და გიორგი ათონელების თარგმანების შემცველი ხელნაწერების კოლოფონებიდან. მაგალითად:

- ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, გ ლ ა ხ ა კ ი ს ა ეფთვმესთეს, რომელმან ესე ბერძულისაგან გამოვთარგმნე (ექვთიმეს პირადი მოსახ-

³⁰ ნიშანდობლივია, რომ რ. ბლეიკისა და ალ. ცაგარელის მიერ ექვთიმეს ავტოგრაფად *Vir: geo.* 79-ის მიჩნევის საფუძველი ამ ხელნაწერში დადასტურებული ექვთიმესეული კოლოფონის ავთენტურად მიჩნევა იყო; მათი ყურადღების მიღმა დარჩა იქვე წარმოდგენილი ხელნაწერის იმ ნაწილის გადამწერის, ვინმე იოანეს კოლოფონი, რომელიც იმავე ხელწერით იყო შესრულებული, რითაც ექვთიმეს კოლოფონი, იხ. დოლაქიძე, ათონური 79 ხელნაწერის შედგენილობის შესახებ, გვ. 3-20.

³¹ ლექსიკური ერთეულის, „*ნუსხის*“ მნიშვნელობის შესახებ შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა კოლოფონებში საუბრობს ივ. ჯავახიშვილი (*ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია*, გვ. 65-68). ის მიუთითებს „ნუსხის“ არაბულ წარმომავლობასა და მის მნიშვნელობაზე: „ნუსხა“ – არაბულად: *დედანი, თავდაპირველი ტექსტი, პირველი ხელნაწერი*. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს მაგალითები ექვთიმე და გიორგი ათონელების კოლოფონებიდან, რომლებშიც, კონტექსტის მიხედვით, *ნუსხა* ავტოგრაფს ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ამ ტერმინს იმთავითვე „ემჩნეოდა რყევა“, „ავტოგრაფის“ გარდა, ის ზოგ კონტექსტში „დედანს“ აღნიშნავდა, მოგვიანებით კი – „ჩქარად აღწერილს“ (სულხან-საბა), ასევე, ზოგადად – *ნანერს, ხელნაწერს*. ჩვენი მხრივ, დავამატებთ ერთ მაგალითს შავი მთის მნიგნობრული სკოლიდან, კერძოდ, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეფრემ მცირის კოლოფონს, სადაც ეფრემი საუბრობს ამ წიგნის დანიშნულებაზე: „*გარდამოცემა*“ *ენოდების წიგნსა ამას, რამეთუ არა საკითხავთა სახე აქუს შესავლიანი და დაბოლოებული, არამედ მსგავს არს გარდაცემულსა მას მნიგნობრისასა, რომელსა შეიქმან ნ უ ს ხ ა დ და დასდებენ ნივთად პირად-პირადთა წიგნთა დაწერისა, იხ. მიმინოვილი, რაფაჟა (გამოც.), წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმინევენიითი გადმოცემა*, გვ. 33; ამ კონტექსტის მიხედვით, ნ უ ს ხ ა (ასევე ნ ი ვ თ ი) არის *ნიმუში, მოდელი*, რომლითაც სარგებლობენ მნიგნობრები თავიანთი წიგნების შექმნისას. აშკარაა, რომ *ნუსხის* მნიშვნელობები ძირითადად ერთი სემანტიკური ველის სიტყვებია, რომლებსაც მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვთ თავდაპირველი შინაარსი.

სენებელი) – ესე სიტყუანი თვთ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესია. ვითა ნუსხასა ეწერა, მეც ეგრე დავწერე ... (გადამწერის მიერ შედგენილი ექვთიმეს მოსახსენებელი), (A-1103, 219r).

- ლოცვა-ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ცოდვისა ეფთჳმესთჳს (ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი) – ესე სიმდაბლითა სავსენი სიტყუანი თვთ ეფთჳმესია, ვითა თარგმანებულსა მათსა ნუსხასა ეწერა, ეგრეთვე მე, უღირსმან არსენიმ, აღვწერე. ან ვინ აღმოიკითხავთ წმიდასა ამას წიგნსა, ყოველნი აკურთხევდით უსხეულოთა მიმსგავსებულსა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს, რომელმან აღავსო ყოვლითა სულიერთითა კეთილითა ესე წიგნი და ყოველნი ქართველთა ენანი თარგმანებითა მათითა (გადამწერის მიერ შედგენილი ექვთიმეს მოსახსენებელი), (A-1103, 285v).

ნიშანდობლივია, რომ A-1103-ის კოლოფინში (285v) ერთმანეთისაგან გამიჯნულია „ნუსხა“ – ექვთიმეს ხელნაწერი, ანუ ავტოგრაფი, და „წიგნი“ – არსენის მიერ გადაწერილი ხელნაწერი.

ყოველივე ეს ადასტურებს, რომ *Ivir. geo.* 68-ის მოსახსენიებელი – „ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს“ – არის ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი; ამ ფორმულით იხსენიებს ის თავის თავს „ნუსხებში“ – საკუთარ, ავტოგრაფულ ხელნაწერებში. *Ivir. geo.* 68-ში მოსახსენებელს არ ახლავს გადამწერისეული მოსახსენებელი, რომელიც, როგორც ვნახეთ, უმეტესწილად დასტურდება ხოლმე მისი ავტოგრაფებიდან გადმოწერილ ხელნაწერებში. მოსახსენებლის ხელწერა პალეოგრაფიულად განსხვავდება *Ivir. geo.* 68-ის I და II გადამწერების ხელწერისაგან, არაფორმალური, ნაკლებად მნიგნობრულია. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას, მივიჩნიოთ, რომ ეს მოსახსენებელი ავთენტურია, ექვთიმესეულია, ის თავად ექვთიმეს მიერ არის ჩაწერილი ხელნაწერში.

III. ჩანართები.

Ivir. geo. 68-ში, როგორც გრიგოლის 38-ე საკითხავის, ისე „თარგმანების“ ტექსტში, შეტანილია ჩანართები. ჩანართი ერთი სიტყვა, ან მცირე ზომის ფრაზაა, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის აშიაზე, ან სტრიქონებს შორის; ჩანართების უმეტესობას ახლავს ტექსტში ჩართვის ნიშანი – ნერტილებისაგან შემდგარი ვერტიკალური ხაზი, რომელიც ჩანართს ტექსტში მისთვის შესაბამის ადგილს აკავშირებს. ჩანართები, როგორც აღვნიშნეთ, შესრულებულია I და II ხელისაგან განსხვავებული, არაფორმალური, III ხელით, რომლითაც დაწერილია ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი. ეს გარემოება უკვე გვაძლევს იმის საშუალებას, ჩამა-

ტებები უშუალოდ ექვთიმეს მიერ შეტანილად მივიჩნით ხელნაწერში, თუმცა პალეოგრაფიული ხასიათის არგუმენტს აქ „ფილოლოგიური“ შეიძლება დაემატოს.

ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, მისი მთარგმნელობითი მეთოდი კარგად შესწავლილი საკითხია ქართულ მეცნიერებაში. ეს არის ე. წ. კლება-მატების მეთოდი,³² რომლის შედეგიც თავისუფალი, მკითხველზე ორიენტირებული, დინამიკური ეკვივალენტობის ტიპის თარგმანია. ამგვარ თარგმანში, ერთი მხრივ, შეინიშნება ორიგინალისეული ტექსტის შემოკლების შემთხვევები, ხოლო, მეორე მხრივ, დასტურდება ჩანართები, რომლებიც მთარგმნელის მიერ არის შეტანილი თარგმანში. ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდის მკვლევართა მიერ, ექვთიმეს სხვადასხვა თარგმანის შესწავლის საფუძველზე, ექვთიმესეული ჩანართები სისტემატიზებულია შინაარსისა და ფუნქციის მიხედვით.

Ivir. geo. 68-ში წარმოდგენილი ტექსტები – გრიგოლის 38-ე სიტყვა და მისი კომენტარი – ექვთიმეს მიერ კლება-მატების მეთოდითაა შესრულებული;³³ ამ ტექსტებში დასტურდება არაერთი ჩანართი, რომელთაგან ნაწილი არაფორმალური (III) ხელითაა შეტანილი ძირითად ტექსტში. ნიშანდობლივია, რომ *Ivir. geo.* 68-ში არაფორმალური ხელით შეტანილი ჩანართები თავიანთი ფუნქციითა და შინაარსით უმეტესად ექვთიმეს სხვა თარგმანებში გამოვლენილი ჩანართების ანალოგიურია.

1. ექვთიმეს თარგმანებში ხშირად ვხვდებით ჩანართებს, რომლებშიც ჩანს მთარგმნელის უარყოფითი დამოკიდებულება წარმართთა თუ ერეტიკოსთა მიმართ. მაგალითად, წარმართთა ღმერთებს ექვთიმე უწოდებს *არადღმერთებს* (ბერძნულშია οὐ θεοὶ – *ღმერთები*);³⁴ ერეტიკოსებს ახასიათებს ამგვარად: *უცხოე იგი, მბრძოლი და მტერი ყოვლისა*

³² ეფრემ მცირე თავის კოლოფონებში რამდენიმე ადგილას იძლევა ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის დახასიათებას. მაგალითად, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეფრემ მცირისეული თარგმანის წინასიტყვაობაში ეფრემი აღნიშნავს, რომ ექვთიმეს „*მაღლითა სულისა წმიდისათა ჴელენიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა*“, რაფავა (გამოც.), *იოანე დამასკელი, დიალექტიკა*, გვ. 67.

³³ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 69-74.

³⁴ Otkhmezuri (ed.), *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. xxxv.

კეთილისაჲ (ბერძნულშია მხოლოდ *ajlotrio*~ – უცხო).³⁵ მეორე მხრივ, ექვთიმეს თარგმანებში ხშირად ვხვდებით მიმართევებს, რომლებიც ექვთიმეს მიერ არის ჩართული ტექსტში სათქმელისათვის მეტი ემოციურობის მინიჭების მიზნით. მაგალითად, ამგვარი მიმართევები დასტურდება გრიგოლ ნოსელის „ქალწულებისათჳს“ ექვთიმესეულ თარგმანში: *ჰოჲ საყუარელნო, ნუ იყოფინ!*³⁶ რაც ტექსტს დინამიურობას ჰმატებს, ემოციურ ელფერს ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ მიმართევები ექვთიმეს მიერ ჩართულია ხოლმე ერეტიკოსებსა თუ წარმართებთან დაკავშირებულ კონტექსტებშიც და ასეთ დროს მათ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი შინაარსი აქვთ; მაგალითად, მიმართვა სევეროსისადმი ექვთიმეს მიერ ნათარგმნ „წინამძღუარში“: *უშჯულოო და მედგარო!*³⁷ მიმართევები ერეტიკოსებისადმი ექვთიმეს მიერ ნათარგმნ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ექვთიმესეულ თარგმანებში: *შენ უკუე, ბოროტისა მეტყუელო!*³⁸ *უგუნურო!*³⁹ და სხვ. არაფორმალური ხელით შესრულებული ანალოგიური ჩანართი დასტურდება *Ivir. geo.* 68-ში, გრიგოლის 38-ე საკითხავში:

- რაჲსათჳს აბრალებ ღმერთსა, უ გ უ ნ უ რ ო, ქველისმოქმედებისათჳს-ა?⁴⁰

2. ექვთიმეს თარგმანებში ხშირია განმარტებითი ხასიათის დამატებების ჩართვის შემთხვევები, რომლებიც შინაარსობრივად ავსებენ და აზუსტებენ კონტექსტს. ამგვარი განმარტებები იწყება ხოლმე ფრაზით: „ესე იგი არს“, „რომელი-იგი არს“.⁴¹ ამ ტიპისაა *Ivir. geo.* 68-ის ძირითად ტექსტში არაფორმალური ხელით ჩამატებული განმარტებითი ფრაზა:

- *aiſqhsi*~ *Gr. (PG 36, 321 C 4) : add.* ესე იგი არს უხილავნი და ხილულნი.⁴²

³⁵ *Oratio 14 (PG 35, 896 A 5)*; ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 437.

³⁶ ზვიადაძე (გამოც.), *წმ. გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა*, გვ. 30, 43.

³⁷ ჩიკვატია, ჭყონია (გამოც.), *წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი*, გვ. 108.

³⁸ *Oratio 41 (PG 36, 441D1)*, ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 437.

³⁹ საკითხავი „ძისა მიმართ“ (*PG 36, 328 A 6*); ქართული ტექსტი გამოცემული არ არის.

⁴⁰ იხ. აქვე, გვ. 116, §14, *l.* 6.

⁴¹ ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 436.

⁴² იხ. აქვე, გვ. 111, §11, *l.* 1-2.

3. ექვთიმეს მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის დამახასიათებელია სინონიმური წყვილების ხმარება. ექვთიმეს ბერძნულსაგან დამოუკიდებლად შემოაქვს ეს წყვილები. მასთან ერთი ბერძნული სიტყვა ქართულად ორი ალტერნატიული ლექსიკური ერთეულით არის ხოლმე გადმოტანილი.⁴³ გრიგოლის 38-ე საკითხავსა და მის „თარგმანებაში“ დასტურდება ამ ხერხის გამოყენების 10-მდე ნიმუში.⁴⁴ ამათგან ორი არაფორმალური ხელით არის შეტანილი *Ivir. geo.* 68-ში:

- οἰπν ti cronikon kinhma, kai; diasthma (*PG* 36, 320 B 3): არს და ჰ გ ი ე ს.⁴⁵

- proskirthson (*PG* 91, 1293 A 10): იმღერედ და წინა-ჰკრთებოდე.⁴⁶

4. ყურადღებას იპყრობს „თარგმანების“ მე-19 განმარტებაში არაფორმალური ხელით ჩართული ორი შედარებით ვრცელი პასაჟი:

იტყვს მოციქული, ვითარმედ მელქიზედეკ უმამო, უდედო, ნათესავ მოუწესნებელ ამის თ ვ ს , რამეთუ წერილი მისთვის არა აწსენებს, თუ ვინ იყო მამაჲ მისი, ვითარ-იგი სხუათა წმიდათათჳს, ანუთუ ოდეს მოკუდა, ანუ ვინაჲ იწყო მღდელობად. და მიაშგავსებს მას მოციქული ძესა ღმრთისასა, ან უკუე ვითარცა-იგი თქუმულ არს მისთვის, ვითარმედ უმამო, უდედო, რამეთუ არა წსენებულ არს მამაჲ და დედაჲ მისი, არა თუ უმამო იყო და უდედო. ეგრეთ შეკრბების მელქიზედეკის იგი საქმე ქრისტეს ზედა, რამეთუ არს იგი უდედო ზეცისაჲთა მით შობითა და უმამო – ქუეყანისაჲთა. და ამით სახითა შეკრბების, ვითარმედ ქრისტეს ზედა არს აღსრულებულ სახე იგი მელქიზედეკისი. ხოლო მელქიზედეკ კაცი იყო მართალი და აღესრულა, ვითარცა სხუანი კაცნი. არამედ სახედ ქრისტესა აწსენა იგი მოციქულმან.⁴⁷

ამ განმარტების დასაწყისი ნაწილი: *იტყვს მოციქული... ძესა ღმრთისასა* აშკარად ატარებს გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავის X საუკუნის კომენტარის, *Sylloge*-ს გავლენის კვალს.⁴⁸ საზოგადოდ,

⁴³ ქურციკიძე (გამოც.), *ბასილი კესარიელის „სწავლანი“*, გვ. 060, 062, ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა* გვ. 429 და სხვ.

⁴⁴ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ.

⁴⁵ იხ. აქვე, გვ. 109, §8, l. 14.

⁴⁶ იხ. აქვე, გვ. 170, განმ. 95, l. 68-69.

⁴⁷ იხ. აქვე, გვ. 126-127, განმ. 19.

⁴⁸ ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 45.

მელქისედეკი თავისი გაურკვეველი წარმომავლობის გამო ერთ-ერთი იდუმალებით მოცული პატრიარქია ძველ აღთქმაში. ის ამ კონტექსტში ხშირად არის მოხსენიებული წმ. მამათა ტექსტებში; მის შესახებ არსებობს ასევე ეგზეგეტიურ-აპოკრიფული ხასიათის ანონიმური თხზულება *Historia de Melchisedech* (CPG 2252; PG 28, 525-230), რომელიც ქართულად ექვთიმე ათონელის ნათარგმნია.⁴⁹ ამ თხზულებასა და „თარგმანების“ მე-19 განმარტებას შორის უშუალო კავშირი არ იკვეთება, თუმცა მეტ-ნაკლები სიახლოვე ამ ორ ტექსტს შორის შეინიშნება:

ნათესავი მელქიზედეკისი არავინ დაშთა ქუეყანასა ზედა, ამისთვის ეწოდების მელქიზედეკს უმამო, უდედო, უნათესაო არცალა დასაბამსა დღეთასა, არცალა შემდგომად ცხოვრებისა მისისა, მსგავს არს იგი ძესა ღმრთისასა და ჰგიეს იგი მღდელად მარადის.⁵⁰

დაბოლოს, გრიგოლის „შობის“ საკითხავისა და „თარგმანების“ ტექსტებში არაფორმალური ხელით შეტანილი ჩანართების ექვთიმესადმი მიკუთვნებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ უკლებლივ ყველა ჩამატება შეტანილია ამ ტექსტების შემცველ ყველა ხელნაწერში, რომლებიც ძირითადად XI საუკუნეში, ზოგი მათგანი ექვთიმეს გარდაცვალებიდან ცოტა ხანში, 10-20 წლის შემდეგაა გადაწერილი. აშკარაა, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ექვთიმესეული კრებულების გადამწერთა წინაშე კითხვის ნიშნის ქვეშ არ იდგა ამ ჩანართების ავთენტურობის საკითხი, ისინი იმთავითვე ექვთიმესეულად იყო მიჩნეული ქართველი მწიგნობრების მიერ.

ამგვარად, *Ivir. geo.* 68 მთარგმნელისა და გადამწერების თანამშრომლობის ამსახველი ხელნაწერია; ის წარმოადგენს პროფესიონალ გადამწერთა მიერ სპეციალურად სწორებისა და რედაქტირებისათვის დანერგულ ტექსტს, რომელზედაც ტექსტების მთარგმნელის მიერ ჩატარებულია სარედაქციო სამუშაო. ხელნაწერის დანიშნულების გარკვევის შემდეგ ადვილი ასახსნელია მისი სპეციფიკაცა: გრაფემათა, ასევე სტრიქონთა შორის დატოვებული უჩვეულოდ დიდი მანძილი და ჩვეულებრივზე მეტად განიერი აშიები აადვილებს ტექსტის რედაქტირებას – სიტყვისა თუ ფრაზის დამატებას სტრიქონებს შორის თუ აშიებზე.

⁴⁹ ქურციკიძე, ბიბლიური მელქისედეკი აპოკრიფულ ლიტერატურაში, გვ. 310; კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 176-177.

⁵⁰ ქურციკიძე, ბიბლიური მელქისედეკი აპოკრიფულ ლიტერატურაში.

შევეცდებით, წარმოვადგინოთ, როგორ შეიძლება შექმნილიყო ეს ხელნაწერი. შუა საუკუნეების ქართული წყაროები მნიგნობრული პროცესების, ტექსტის (ჩვენ შემთხვევაში, თარგმანის) შექმნისა და ჩანერის შესახებ საკმაოდ მწირ ინფორმაციას იძლევა. ამ წყაროთა მიხედვით, ტექსტის შექმნა თუ თარგმნა ხდებოდა წერილობითი გზით – ახლად შექმნილი ან ახლად ნათარგმნი ტექსტის თავდაპირველი ჩამწერი იყო მისი შემქმნელი თუ მთარგმნელი. საკუთარ თარგმანებს თავად, საკუთარი ხელით წერდა ექვთიმე ათონელი,⁵¹ საკუთარ თარგმანებს თავად წერდა და ამრავლებდა კიდევ გიორგი ათონელი.⁵²

ქართულ წყაროებში წარმოდგენილი ინფორმაცია ქართველ მნიგნობართა მიერ საკუთარი თარგმანების შექმნის შესახებ *Ivir: geo.* 68-თან დაკავშირებით შემდეგი სცენარის წარმოდგენის საშუალებას იძლევა: ექვთიმე ათონელმა წერილობით თარგმნა გრიგოლის „შობის“ საკითხავი და „თარგმანება“, რომლებიც გადაწერა ორმა გადამწერმა; შემდეგ ეს ხელნაწერი ექვთიმეს დაუბრუნდა რედაქტირებისათვის, ხოლო შემდეგ რედაქტირებული ტექსტები გადაიწერა და გავრცელდა საყოველთაო ხმარებისათვის.

⁵¹ ექვთიმე ათონელი იოანე ოქროპირის „მათეს თავის სახარების კომენტარის“ კოლოფონში საუბრობს მის მიერ საკუთარი თარგმანის ჩანერის / დანერის, ანუ ავტოგრაფის – „ნუსხის“ შედგენის შესახებ და ამ პროცესთან დაკავშირებულ გარკვეულ სირთულეებზეც მიუთითებს: *აღესრულა ესე ნუსხაჲ თარგმანებისა მათეს თავისაჲ ჴელითა გლახაკისა და მწარედ ცოდვილისა ეფთიმესითა. ვინცა იკითხვიდეთ, შრომისათჳს ლოცვა-ყავთ და ზომად წერისათჳს შემინდვეთ. უცალო ვიყავ და უფროჲსი ღამით მინერია, იხ. ხელნაწერთა აღწერილობა (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი), I, გვ. 98.*

⁵² გიორგი მცირის მიხედვით, გიორგი ათონელი ბერძნულიდან თავისსავე მიერ ნათარგმნ ტექსტს ორჯერ თუ სამჯერაც კი გადაწერდა ხოლმე: *რამეთუ რომელნიმე წიგნი ორკეცად და სამკეცად გარდაწერილ არიან, რომელ-ესე მოსავონებულადცა დიდ არს, ვითარმცა ესოდენნი წიგნი ერთმან კაცმან, მზანი თარგმნილნი, ცხორებასა შინა თჳსსა აღწერნა, იხ. აბულაძე (გამოც.), ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 147.* გიორგი ათონელი პარაკლიტონის თარგმანზე დართულ კოლოფონში თავად გვანვდის ინფორმაციას მის მიერ პარაკლიტონის შემცველი ხელნაწერის გადანერის შესახებ: *დაესრულა ახალთარგმნილი ესე პარაკლიტონი თარგმნით და ნუსხვით ჴელითა ჩემ გლახაკისა გიორგისითა ხუცესმონაზონისაჲთა (Ivir: geo. 45, 8v).* ბრუნი, წმინდა გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფების იდენტიფიცირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეს როგორც მასალის – ეტრატის, ისე ადამიანური რესურსების ხარჯვის თვალსაზრისით (ტექსტის დანერა-გადანერა ხელახალი გადანერისათვის), ტექსტზე მუშაობის საკმაოდ არაეკონომიური და, შესაბამისად, არადამაჯერებელი პროცესია. რა საჭირო იყო მთარგმნელის ხელიდან გამოსული ტექსტის გადანერა ისევ მთარგმნელისეული სწორებისათვის, როდესაც ექვეთიმეს თავისსავე ავტოგრაფში შეეძლო შეეტანა შესწორებები?

Ivir. geo. 68-ის შექმნის განსხვავებულ, უფრო დამაჯერებელ სურათს, ვფიქრობთ, მოგვცემს მნიგნობრულ საქმიანობასთან დაკავშირებული იმ ცნობების გათვალისწინება, რომლებიც დაცულია შუა საუკუნეების ბერძნულ და ლათინურენოვან წყაროებში, კერძოდ, ნმ. მამათა „ცხოვრებებსა“ თუ მათ საკითხავებში.

შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით, ტექსტის შექმნის ტრადიციულ მოდელთან ერთად, რომლის მიხედვით ავტორი თავად ინერდა თავისსავე მიერ შექმნილ ტექსტს ეტრატზე, ან მასალის ეკონომიის მიზნით, ცვილის ფირფიტაზე (ამიტომაც არის, რომ ჩვენამდე შუა საუკუნეების ბევრმა ავტოგრაფმა ვერ მოაღწია), ჩანს მნიგნობრის მიერ ეკლესიაში – ქადაგებისას, თუ აუდიტორიაში – ლექციის დროს, საჯაროდ წარმოთქმული სიტყვის მსმენელთა მიერ ჩანერის, ან პრივატულად თანაშემწე გადამნერისათვის კარნახის შემთხვევები.⁵³

ტრადიციული მოდელის მიხედვით, ავტორი თავად მუშაობს საკუთარ ავტოგრაფზე, რის შედეგადაც მისი ხელით (ძირითადად, ეს არაფორმალური ხელია ხოლმე) ჩანერილ ტექსტში ჩნდება მისივე ხელით შეტანილი შესწორებები. ამის შემდეგ ავტორი თავის მიერ დამუშავებულ ეგზემპლარს გადასცემს გადამნერს, რომელიც ინერს, „ათეთრებს“ ავტორის მიერ გასწორებულ ტექსტს, ზრუნავს მის გამრავლებაზე. რაც შეეხება ზეპირი გზით ჩანერილ ტექსტს, ის უბრუნდება ავტორს რედაქტირებისათვის – ავტორი მასზე მუშაობს. ამ დროს პროფესიონალი გადამნერის ხელით ჩანერილ ტექსტში ჩნდება ავტორის ხელით შეტანილი შესწორებები, რომლებიც უმეტესად არაფორმალურია. რედაქტირებულ ხელნაწერს ავტორი გადასცემს ისევ გადამნერს ხელახალი გადანერისა და გამრავლებისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ თომა აქვინელი (1225-1274) საკუთარ ნააზრევს თავად კი არ ინერდა, არამედ გადამნერს კარნახობდა და შემდეგ თავის ნაკარახევს ურთავდა შენიშვნებს, ანოტა-

⁵³ Hamesse, *Le vocabulaire de la transmission orale des texts*, p.168-194.

ციებს საკმაოდ რთულად გასარჩევი ხელწერით, რომელთა ამოკითხვა და შემდგომი გადანერა მხოლოდ ერთეულ გადამწერებს შეეძლოთ.⁵⁴

ზეპირი გზით ტექსტის ჩანერის არაერთი მაგალითი დასტურდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ქრისტიანულ მნიგნობრულ ტრადიციაში. მაგალითად, გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის ერთ-ერთ საკითხავში ასე მიმართავს მრევლს:

Cairete, twñ ejwñ logwn ejastai; kai; dromoi, kai; sundromai; kai; grafide~ fanerai; kai; lanqanousai – გიხაროდენ, ჩემთა სიტყუათა ტრფიალნო და სარბიელნო და თანამსრობლნო და სანერელნო, ცხადნო და დაფარულნო (ექვთიმე ათონელის თარგმანი).⁵⁵

ნიშნდობლივია მიმართვა „სანერელნო“ (grafide~), რაც ნიშნავს „სანერს“ „კალამს“. ცხადია, ამ მეტაფორაში იგულისხმებიან გრიგოლის სიტყუათა ჩამწერნი, რომლებიც ეკლესიაში ცხადად თუ ფარულად ინერდნენ გრიგოლის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს.

მკვლევრების ყურადღებას იპყრობს ქრისტიანი ავტორების თხზულებათა სათაურებში გამოყენებული ფორმულა: apo; fwnh~, რაც, ზოგ შემთხვევაში (თუმცა არა ყოველთვის) ნიშნავს *თქმულს*, *ზეპირ სწავლებას*. მაგალითად, არისტოტელეს ნაშრომის, „მეტაფიზიკის“ ამონიოს ერმისისეული კომენტარის სათაურში ფრაზა apo; Askhpiou` apo; fwnh~ Askhpiou tou` Ermeiou ნიშნავს: „ასკლეპიოსის მიერ გადმოცემული ამონიოს ერმისის ზეპირად თქმული,“ ანუ ეს არის ალექსანდრიის უნივერსიტეტში ამონიოს ერმისის მიერ წარმოთქმული ლექცია, ჩანერილი ასკლეპიოსის მიერ.⁵⁶

ნიშნდობლივია დასავლეთ ქრისტიანულ ტრადიციაში მნიგნობრულ პროცესთან დაკავშირებით ხშირად გამოყენებული ლექსიკური ერთეული *dictare*, რომელსაც ძირითად მნიშვნელობასთან ერთად (*კარნახი*) აქვს როგორც წერილობითი გზით *შეთხზვის* (*composer*), ისე *ზეპირად შეთხზვის* (*composer oralement*) მნიშვნელობა. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ სიტყვის კიდევ ერთი მნიშვნელობა – *ზეპირად გადაცემა* (*transmettre oralement*) – ერთი ენიდან მეორეზე ტექსტის ზეპირად

⁵⁴ Hamesse, *Le vocabulaire de la transmission orale des texts*, p. 172, n. 9.

⁵⁵ *Oratio 42, PG 36, 492A 2-3; Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. VI, p. 354. იხ. ასევე Carruthers, *The Book of Memory*, p. 255.

⁵⁶ *Coming from Asclepius from the Voice of Ammonius / rédigées par Asclépius d'après l'enseignement oral d'Ammonius*, Richard, *Απο φωνης*, p. 191-222.

გადატანა. ამის მაგალითია რომის პაპის, ინოკენტი III-ის (1198-1216) მიერ მარიამ მაგდალინელისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ყოველგვარი მომზადების გარეშე ლათინურიდან იტალიურად გრიგოლ დიდის ქადაგების ზეპირად გადმოცემა – თარგმნა.⁵⁷

აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებში შეთხზვა წერასთან უშუალო კავშირში არ გაიაზრებოდა; წერა და შეთხზვა ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კომპენტენცია იყო; წერა უფრო ხელობასთან იყო ასოცირებული, ხოლო შეთხზვა – შემოქმედებით პროცესთან.

როგორც ცნობილია, ქართული მნიგნობრული ტრადიცია თავისი განვითარების ყველა ეტაპზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქრისტიანული სამყაროს მნიგნობრულ კულტურასთან. ქართული ხელნაწერი ნიგნის რეპერტუარისა თუ არქიტექტონიკის კვლევა, ასევე წერილობითი ნყაროები – ხელნაწერთა კოლოფონებში წარმოდგენილი ინფორმაცია ქართული ხელნაწერის ბერძნულის ანალოგიით შედგენის შესახებ, ბიზანტიურ მნიგნობრობასთან მის ორგანულ კავშირზე მიუთითებს.⁵⁸ ქართველი მნიგნობრები, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ, ქრისტიანული აღმოსავლეთისა თუ ბიზანტიის სამნიგნობრო ცენტრებში თავიანთი უცხოელი კოლეგების გვერდიგვერდ მუშაობდნენ, ცხადია, იცნობდნენ ხელნაწერ ნიგნზე მათი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს. ამიტომ დასაშვებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შეთხზვის, თარგმნის, ქართული ხელნაწერის შექმნის პროცესი მსგავსი ყოფილიყო ქრისტიანული სამყაროს მნიგნობრული პროცესებისა, ანუ ტექსტის წერილობითი გზით შექმნის პარალელურად, ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაშიც ყოფილიყო ტექსტის ზეპირად შეთხზვისა და კარნახით ჩაწერის შემთხვევები. ცხადია, ამ თვალსაზრისს საფუძველს შესაბამისი მასალის არსებობა უნდა უმაგრებდეს.

⁵⁷ Hamesse, *Le vocabulaire de la transmission orale des texts*, p. 176; Bataillon, *Approaches to the Study of Medieval Sermons*, p. 23-24.

⁵⁸ ბერძნულის მიხედვითა და ანალოგიით ქართული ხელნაწერი ნიგნის აგების შესახებ საუბრობს ევრემ მცირე იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში, იხ. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, გვ. 107-135; Otkhmezuri, *Medieval Sources about Greek Manuscripts: Georgian Prefaces by Ephrem Mtsire to John of Damascus' The Fountain of Wisdom*, მოხსენება ნაკითხულია ბერძნული პალეოგრაფიისადმი მიძღვნილ მე-8 საერთაშორისო კოლოქვიუმზე (*“Greek Manuscripts Yesterday, Today and Tomorrow”*), ჰამბურგი, 22/23 – 28 სექტემბერი; გადაცემულია დასაბეჭდად.

ვფიქრობთ, რომ სწორედ ამგვარ მასალად შეგვიძლია მივიჩნიოთ *Ivir. geo. 68*, შესაბამისად, ასე წარმოვადგინოთ *Ivir. geo. 68*-ის შექმნის პროცესი: გრიგოლის 38-ე საკითხავისა და მისი კომენტარის ქართული თარგმანი ექვთიმეს მიერ ზეპირი გზით შექმნილი ტექსტებია, რომლებიც ექვთიმეს თანაშემწეთა მიერ მთარგმნელის კარნახით არის ჩანერილი და შემდეგ – რედაქტირებული ექვთიმეს მიერ; ამ პროცესის რეზულტატია სწორედ *Ivir. geo. 68*. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პროფესიონალ გადამწერთა ხელით დანერილ ტექსტში დასტურდება ტექსტის რედაქტირების მიზნით, არაფორმალური ხელით შეტანილი ავტორისეული შესწორებები, ანუ ხელნაწერში ტექსტის შექმნის ორი ეტაპია წარმოდგენილი: (1) ტექსტის შეთხზვა – კარნახით ჩანერა და (2) რედაქტირება. შემდგომი, მესამე ეტაპი არის რედაქტირებული ტექსტის გადანერა-გავრცელება, რისი შედეგიც არის გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემცველი ხელნაწერები – კორპუსები, რომლებშიც უკვე გრიგოლის „შობის“ საკითხავისა და „თარგმანების“ რედაქტირებული ტექსტებია წარმოდგენილი. ეს არის სწორედ ის გზა, რომელსაც შუა საუკუნეების წყაროების მიხედვით გადის ზეპირად შეთხზული, კარნახით ჩანერილი ტექსტი. ვფიქრობთ, *Ivir. geo. 68*-ის შექმნის ეს სცენარი, ყველა შესაძლო სცენართან შედარებით, გაცილებით მარტივი და ეკონომიურია.

თანამედროვე ადამიანისათვის შეთხზვის პროცესი ფურცელსა თუ მონიტორზე გამოსახულ ტექსტზე მუშაობასთან, მის მუდმივ სწორება-გადაკეთებასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, თანამედროვე ადამიანისათვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეეძლო შუა საუკუნეების ავტორს ზეპირი გზით შეეთხზა თუ ეთარგმნა ნაწარმოები. საზოგადოდ, ზეპირად შეთხზვის ტრადიცია, რომელიც სათავეს შორეულ წარსულში, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში იღებს, საკმაოდ აქტუალური ჩანს შუა საუკუნეებშიც და უშუალოდ არის დაკავშირებული შუა საუკუნეების ადამიანის აზროვნების ერთ თავისებურებასთან, რომელიც განსაკუთრებით განვითარებულ მეხსიერებას, ვრცელი ტექსტების დამახსოვრება-დაზეპირების უნარს გულისხმობს.⁵⁹

ამის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ქართულ წყაროებში. მაგალითად, ცნობილია, რომ თავისი განსაკუთრებული მეხსიერებით გამოირჩეოდა გრიგოლ ხანცთელი. მას ზეპირად ჰქონდა დასწავლილი

⁵⁹ შუა საუკუნეების ნიგნის ხელოვნებაში ზეპირი ტრადიციის როლის შესახებ იხ. Carruthers, *The Book of Memory*.

„დავითნი“, „წმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ“, „საღმრთონი წიგნნი“, „დღესასწაულთა განგებაჲ“; მან *ზეპირით იცოდა* ახალი და ძველი აღთქმის კანონიკური წიგნები, წმ. მამათა არაკანონიკური თხზულებები, თავისუფლად შეეძლო ზეპირად მათი ციტირება,⁶⁰ იცოდა არაერთი უცხოური ენა; რაც კი რამ ჰქონდა გრიგოლს ნასწავლი, ის დაუვინწყებლად აწსოვდა. აგიოგრაფი გაოცებასა და აღფრთოვანებას გამოთქვამს გრიგოლის ამ ნიჭის გამო (*განსაკვრვებელ იყო წსოვნებაჲ მისი*). მისი შენიშვნით, გრიგოლის ეს უნარი აღემატებოდა ადამიანური შესაძლებლობების ზღვარს (*უმეტეს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა*).

საყურადღებო ცნობა ქართველი ჰიმნოგრაფების განსაკუთრებული უნარის შესახებ წარმოდგენილია გიორგი ათონელის ერთ-ერთ კოლოფონში; როგორც ირკვევა, ქართველები გალობის ბოლოს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარის მხოლოდ დასაწყისს (*თავს*) წერდნენ, რადგან მათ ის ზეპირად იცოდნენ (*ჩუენ, წყალობითა ღმრთისაჲთა, ვიცნით ზეპირით*), განსხვავებით ბერძნებისაგან, რომლებიც ყოველი გალობის ბოლოს ტროპარს სრულად წერდნენ, რადგან მათ *ზეპირით ღმრთისმშობლისაჲ არა იცნიან*.⁶¹

გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ქართული კრებულის ეფრემ მცირისეულ წინასიტყვაობაში, სადაც ეფრემი საუბრობს მის მიერ გრიგოლის თხზულებათა თარგმნის შესახებ, ის ამგვარად განმარტავს თარგმანის დაგვიანების, დაყოვნების მიზეზს: მან ზეპირად იცოდა ამ ავტორის თხზულებათა ადრინდელი თარგმანები (იგულისხმება ექვთიმესეული), რაც მას ხელს უშლიდა მუშაობაში – სიტყვასიტყვითი, ბერძნულის ადეკვატური თარგმანის შექმნაში. ის, მართალია, ძველ თარგმანში არ იყურებოდა, მაგრამ *ძუჴლის ზეპირით წსოვნების ჩუეულება* მას თავისდაუნებურად უბიძგებდა, ძველი ტექსტი დაენერა, შემდეგ შეესწორებინა, დედანთან შეედარებინა და ა. შ.

ამის პირისათვის დიდად დავიყოვნე და ოდეს ძუჴლმან წამზიდნის ზეპირით წსოვნებისა ჩუჴულებამან, რამეთუ ძუჴლი წინა არა

⁶⁰ ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი, არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა, აბუღაძე (გამოც.), ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 5-10 სს., გვ. 281-282.

⁶¹ მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, გვ. 32.

მდებია, გარნა დაღათუ დავწერი რაჲმე, რომელი არა იყვის დედასა, არა დავიცონი კულა აწოცად და მართლად დანერად.⁶²

როგორც ცნობილია, ექვთიმე ათონელი ფლობდა ტექსტებით ოპერირების განსაკუთრებულ, ეფრემ მცირის შეფასებით, ზებუნებრივ ნიჭს (*მას ძალითა სულისა წმიდისაჲთა ჯელ-ენიფებოდა კლებაჲცა და მატებაჲცა*); ის ხშირად ამდიდრებდა თავის თარგმანებს პასაჟებით სხვადასხვა ავტორთა თხზულებებიდან,⁶³ რაც ასევე მის განსაკუთრებულად განვითარებულ მეხსიერებაზე მიუთითებს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების მნიგნობრები, მათ შორის ქართველები, უზარმაზარი „მენტალური ბიბლიოთეკების“ მფლობელები იყვნენ, მათ მეხსერებაში ჰქონდათ აღბეჭდილი ვრცელი თხზულებები, შესაბამისად, მათთვის არ უნდა ყოფილიყო სირთულე, ზეპირად შეეთხზათ თუ ეთარგმნათ მსგავსი ტიპისა თუ შინაარსის ტექსტები.⁶⁴

ეს განსაკუთრებით შესაძლებელი და დასაშვებია ამ კონკრეტულ შემთხვევაში – *Ivir: geo*. 68-ში წარმოდგენილი ტექსტების მიმართებით, და აი, რატომ: როგორც ცნობილია, არსებობს გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავის ადრეული, წინათონური თარგმანი, რომელიც უძველეს „მრავალთავებშია“ დაცული. როგორც ამ ძველი თარგმანისა და ექვთიმესეული თარგმანის შედარებითა კვლევამ ცხადყო, ექვთიმე კარგად იცნობდა ამ ტექსტის წინათონურ თარგმანს.⁶⁵ ფაქტობრივად, ექვთიმეს თარგმანი „მრავალთავში“ წარმოდგენილი თარგმანის პარაფრაზს, ექვთიმესეულ გადამუშავებას წარმოადგენს, რაც თავისუფლად შეიძლება მომხდარიყო ზეპირი გზითაც.

⁶² Cod. Jer. 43, 3r, ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 149.

⁶³ ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 48-87.

⁶⁴ თანამედროვე ადამიანისათვის ეს უფრო ფანტასტიკის სფეროა. გავიხსენოთ თუნდაც ცნობილი ფანტასტი მწერლის, რეი ბრედბერის ცნობილი რომანი „451⁰ ფარენჰაიტი“, რომლის გმირებს, ნიგნების გადარჩენის მიზნით, ზეპირად აქვთ დამახსოვრებული მსოფლიო ლიტერატურის ცნობილი ტექსტები.

⁶⁵ Melikishvili, *Les traductions géorgiennes du Discours 38 de Grégoire de Nazianze dans le Mravaltavi*, p. 477-489.

მრავალთავი (cod. Ivir. geo. 11): ექვთიმე ათონელი:

ქრისტე იშვების, უგალობდეთ!
 ქრისტე ზეცით, მივეგებოდეთ!
 ქრისტესა ქუეყანისანი აღამაღლებ-
 დით! უგალობდით უფალსა ყოველი
 ქუეყანაჲ! რაჲთა ორივე შემოკლ-
 ბულად ვთქუა: იხარებდით ცანი
 და გალობდინ ქუეყანაჲ ზეცისაჲსა
 მისთვის და მერმე ქუეყანისაჲსა.

ქრისტე იშვების, ადიდებდით!
 ქრისტე ზეცით მღვალს, მივეგებო-
 დეთ! ქრისტე ქუეყანასა ზედა არს,
 ამაღლდით! უგალობდით უფალ-
 სა ყოველი ქუეყანაჲ! და რაჲთა
 ორივე იგი შემოკრებულად ვთქუა:
 იხარებდენ ცანი და გალობდინ ქუ-
 ეყანაჲ ზეცისაჲსა მისთვის და მერმე
 ქუეყანისაჲსა.

რაც შეეხება „შობის“ საკითხავის კომენტარს – „თარგმანებას“, მისი დიდი ნაწილი მცირე ზომის მარტივ განმარტებებს წარმოადგენს, რომელთა ავტორი, შესაძლოა, „თარგმანების“ შემდგენელია, რომელმაც საკუთარი განმარტებები და მაქსიმეს განმარტებები ერთ თხზულებად შეკრა. ეს კი უკვე არ გამორიცხავს თავად ექვთიმეს ავტორობას, რადგან, როგორც ცნობილია, კომპილატორობა მისი მწიგნობრული საქმიანობის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა.⁶⁶ რაც შეეხება მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-ის პასაჟების თარგმნას ზეპირი გზით, თუ გავითვალისწინებთ ექვთიმეს მეთოდს – თარგმნის პროცესში *სიჩჩობაში* მყოფი ქართველი მკითხველისათვის ტექსტების გამარტივებას⁶⁷ (ამ მეთოდითაა სწორედ ნათარგმნი მაქსიმეს ტექსტიც), ესეც არ მოგვეჩვენება განუხორციელებელ ამოცანად.

ვფიქრობთ, ამ პროცესს – *ზეპირად შეთხზვას (dictare)* – უნდა ეხმაურებოდეს ეფრემ მცირის გამოთქმა „ზეპირით დაწერა“, რომელიც დასტურდება იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ეფრემისეული თარგმანის შესავალში, სადაც ეფრემი საუბრობს მარგინალურ – „კიდესა ზედა წარწერილ“ – შენიშვნებზე, რომლებიც ძირითადი ტექსტის განმარტებებს წარმოადგენენ.

ვიტყვ ... კიდესა წარწერილთა თარგმანთაცა, რომელთაგანნი ზეპირით დაწერილია და რომელნიმე – დედისაგან. და

⁶⁶ ამის შესახებ უფრო დეტალურად იხ. აქვე, გვ. 50-51.

⁶⁷ ეფრემ მცირის მიხედვით, ექვთიმე *სიჩჩობასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა (Jer. geo. 43, 2v)*, ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 148.

ზეპირობისა მიზეზი ესე არს, ვინაჲთგან ყოველსა თარგმანსა უჴმს შემატებაჲ სიტყვსაჲ რეცა განმაცხადებულად ძალისა.⁶⁸

ამ პასაჟში საუბარია ორი სახის მარგინალურ შენიშვნაზე: ერთია ნყაროდან – დედიდან მომდინარე შენიშვნა, მეორე – ზეპირით დაწერილი, რომელიც შეთხზულია თავად მთარგმნელის მიერ ძირითადი ტექსტის თარგმნის პროცესში ზეპირად, სპონტანურად, იმპროვიზირებულად (*extempore, impromptu*). ეს არის განმარტებითი ხასიათის მთარგმნელისეული შენიშვნები, რომლებსაც ეფრემი ურთავს თავის ზედმინვენით, სიტყვასიტყვით თარგმანებს.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ *Ivir. geo.* 68-ში წარმოდგენილ ტექტებში თავს იჩენს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ზეპირი გზით შექმნილი, კარნახით ჩანერილი ტექსტებისათვის. ეს არის მექანიკურ შეცდომათა (*lapsus calami*) სიუხვე და განსაკუთრებული ორთოგრაფიულ-ფონეტიკური სიჭრელე.

მექანიკური შეცდომების სიუხვე განპირობებულია იმით, რომ კარნახით ტექსტის ჩანერისას გადამწერი დაძაბულია, ის მოკარნახის ტემპს უნდა აჰყვეს, თანამიმდევრულად ვერ მისდევს ტექსტის შინაარსს, რაც ხშირი შეცდომების დაშვების მიზეზი ხდება. ვიზუალური კოპირებისას კი დედანი გადამწერის თვალწინაა, გადამწერი თავად განსაზღვრავს წერის ტემპს, მან იცის, რა გადანერა და რა აქვს გადასაწერი, უფრო მეტად შეუძლია თვალყური მიადევნოს ტექსტის შინაარსს.⁶⁹ მართალია, ძნელია ისეთი მექანიკური შეცდომების გამოყოფა, რომლებიც შეიძლება გამონვეული იყოს მხოლოდ კარნახით ჩანერის გამო, რადგან გადანერაც თავისთავად შეიცავს კარნახის ელემენტს – გადამწერი თავად კარნახობს საკუთარ თავს ტექსტს დედნიდან, თუმცა შესაძლებელია ისეთი შეცდომების გამოყოფა, რომელთა დაშვებაც ფაქტობრივად შეუძლებელია ტექსტის კარნახით ჩანერისას. ეს წმინდა ვიზუალური წარმომავლობის შეცდომებია, როდესაც ხდება მოხაზულობით მსგავსი გრაფემების ერთმანეთში აღრევა, მაგალითად, ნუსხურად ნაწერ ქართულ ტექსტებში ასეთი აღრევა დასტურდება ხოლმე ბ-სა და გ-ს შორის, რის შედეგადაც ტექსტში უადგილოდ ჩნდება ხოლმე ბუნების ნაცვლად გონება და პირიქით. ამგვარი შეცდომები ჩვენს ტექსტში არ დასტურდება. სამაგიეროდ, საკმაოდ უხვად არის შემდეგი სახის შეცდომები – დიტო-

⁶⁸ რაფავა (გამოც.), *იოანე დამასკელი, დიალექტიკა*, გვ. 67.

⁶⁹ Skeat, *The Use of Dictation in Ancient Book-production*, p. 179-208.

გრაფია: აახალ (ახალ), აღსარებისა (აღსარებისა), დაუდგრომეელითა (დაუდგრომელითა), ხრწნილებებისა (ხრწნილებისა), რომელთამე ემონაფეთა (რომელთამე მონაფეთა); ასევე, გრაფემების მექანიკური გამოტოვების (დასაბმიერთა – დასაბ[ა]მიერთა, გამოსახველი – გამო[მ]სახველი, ჰმადლობით – ჰმადლობ[დ]ით) და უადგილოდ ჩართვის (პატივ[მ]ცემული – პატივცემული, ბუნებითა – ბუნებითა) შემთხვევები. სრულიად მოსალოდნელია, რომ ამ სახის შეცდომები ტექსტის ზეპირად კარნახის დროს გაჩენილიყო.

იგივე შეიძლება ითქვას *Ivir. geo.* 68-ში წარმოდგენილი ტექსტების კიდევ ერთ მახასიათებელზე – თვალშისაცემად დიდი რაოდენობის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური ხასიათის „შეცდომებზე“. ორთოგრაფიულ თავისებურებათა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ხშირია სიტყვებში ო-სა და უ-ს, უ-სა და კ-ს, ზოგჯერ ო-სა და კ-ს ურთიერთჩანაცვლების შემთხვევები. როგორც ცნობილია, ეს ჩანაცვლებები სათავეს იღებს მთავრული უ-ს რთული დაწერილობიდან (ორი გრაფემით ოჯ გამოსახვა) და წმინდა ორთოგრაფიულ „შეცდომებადაა“ მიიჩნეული;⁷⁰ ფონეტიკური პროცესებიდან განსაკუთრებით ხშირია ბგერის ამოვარდნა: უკდავება, პირუტყთასა, სიტყუთა, გამოუთქმელისა, გამოუთქმელითა, უვნებლობისაჲ, ნებლობითა. ლექსიკური ერთეული თვნიერ თითქმის სისტემატურად დასტურდება ფორმით თვნიორ.

როგორც ცნობილია, ორთოგრაფიულ-ფონეტიკური ხასიათის „შეცდომები“ – ნორმირებული სალიტერატურო ენიდან გადახრის ნიმუშები – საუკეთესო მასალაა შუა საუკუნეების ცოცხალი (სალაპარაკო) ენის შესწავლისათვის, იქნება ეს იმ რეგიონის ცოცხალი ენა, სადაც ხელნაწერია შექმნილი, თუ იმ მნიგნობრის ინდივიდუალური მეტყველება, რომელმაც გადაწერა ხელნაწერი. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მრავალგზის განმეორებადი სპეციფიკური ჟღერადობის სიტყვები, როდესაც ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულში ერთი ბგერის მეორეთი გადმოცემის შემთხვევები სტაბილურად მეორდება, რაც უკვე გამორიცხავს შემთხვევითობას⁷¹ (მაგალითად, ლექსიკური ერთეული თვნიორ ჩვენს ტექსტში).

ნიშანდობლივია, რომ *Ivir. geo.* 68-ში, რომელიც ორი გადამწერის მიერ არის შესრულებული, დასტურდება ერთი და იგივე ორთოგრა-

⁷⁰ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, გვ. 14-15.

⁷¹ მახარაძე, ძველი ქართული წერილობითი წყაროების მონაცემები, გვ. 223-307.

ფიულ-ფონეტიკური „შეცდომები“, რაც, ვფიქრობთ, ამყარებს ჩვენს თვალსაზრისს ამ ხელნაწერის კარნახით ჩანერის შესახებ. ორივე გადამწერი იწერს იმას, რასაც ის აკუსტიკურად აღიქვამს, რასაც მას კარნახობენ (გადანერის შემთხვევაში, ცალკეული მნიგნობრის მიერ გადანერილი ტექსტის ნაწილში გამოვლინდებოდა თვითკარნახის შედეგად გაჩენილი მეტ-ნაკლებად ინდივიდუალური „შეცდომები“). შესაბამისად, ხმა, რომელიც ამ ტექსტში ისმის, ეკუთვნის მის მოკარნახეს, ექვთიმე ათონელს. მასში ჩანს ექვთიმეს ინდივიდუალური მეტყველების სპეციფიკა, ფონემური თავისებურებები.

ნიშანდობლივია, რომ *Ivir. geo.* 68-ის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური ხასიათის „შეცდომები“ თითქმის მთლიანად არის „გასწორებული“ – ძველი ქართული ენის ნორმირებული ფორმებით შეცვლილი „შობის“ საკითხავისა და „თარგმანების“ შემცველ დანარჩენ ხელნაწერებში; ამკარაა, რომ ამ ტექსტებმა გავრცელებისას განიცადეს საკმაოდ მნიშვნელოვანი რედაქტირება ორთოგრაფიის მხრივ.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი თვალსაზრისი *Ivir. geo.* 68-ის კარნახით ჩანერის შესახებ მრავალ შეკითხვას ბადებს, მაგალითად, არის ეს ერთეული შემთხვევა ქართულ მნიგნობრულ ტრადიციაში, თუ ამ მეთოდით შეიძლება სხვა შემთხვევაშიც ემუშავა ექვთიმეს, ან სხვა ქართველ მნიგნობარსაც? რამდენად შეიძლება განზოგადდეს ზემოთ წარმოდგენილი სურათი? შეიძლება თუ არა ვიმსჯელოთ ამ კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უშუალოდ ექვთიმეს ხელიდან გამოსულ ხელნაწერებზე, მის ავტოგრაფებზე? ექვთიმე სხვა შემთხვევაში თავად აძლევდა ტექსტს ნორმატიულ სახეს ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თვალსაზრისით, ან, იქნებ, ტექსტებისათვის საბოლოო სახის მიცემაზე სხვა მნიგნობრები ზრუნავდნენ?

ათონური კოლექციის ქართული ხელნაწერების სიღრმისეული კვლევა და ექვთიმე ათონელის ამოუწურავი ლიტერტურულ-მთარგმნელობითი მემკვიდრეობის შემდგომი შესწავლა, ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად პასუხს გასცემს ამ შეკითხვებს.

თხზულების შედგენილობა

გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ექვთიმესეული თარგმანების კრებულებში გრიგოლის 38-ე საკითხავზე დართული კომენტარის სრული სათაურია: „თარგმანებაჲ ძნიად გულისწმისსაყოფელთა სიტყუათა „ქრისტეს შობისა“ საკითხავისათა, თქუმული წმიდისა მაქსიმესი აღმსარებლისაჲ“. „თარგმანება“ 101 განმარტებისაგან შედგება. გრიგოლის 38-ე საკითხავიდან ამოღებულია ფრაზა, რომელსაც წინ უძღვის „ღმრთისმეტყველისაჲ“ – მინიშნება, რომ ფრაზა გრიგოლს ეკუთვნის (გამონაკლისს წარმოადგენს პირველი განმარტება, რომელსაც არ უძღვის „ღმრთისმეტყველისაჲ“); ფრაზას გრიგოლის საკითხავიდან მოსდევს თავად განმარტება წინ წამძღვარებული მინიშნებით „თარგმანი“.

სათაურში გრიგოლის 38-ე საკითხავის „თარგმანების“ ავტორად მაქსიმე აღმსარებელია დასახელებული. მაქსიმეს თავის ნაშრომში *Ambigua ad Iohannem*, გრიგოლის სხვა საკითხავებთან ერთად, კომენტირებული აქვს გრიგოლის 38-ე საკითხავი, კერძოდ, რვა პასაჟი ამ საკითხავიდან;⁷² რვავე პასაჟი განმარტებებითურთ წარმოდგენილია „თარგმანებაში“: 20, 21, 23, 43, 52, 91, 95, 101.⁷³ დანარჩენი ოთხმოცდაცამეტი განმარტება, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, წარმოადგენს მოკლე ტექსტებს, რომლებიც კონკრეტულად, უმეტესწილად მარტივად ხსნიან ამა თუ იმ ფრაზას გრიგოლის საკითხავიდან. მათ არ ახასიათებს ის ფილოსოფიური სიღრმე, განყენებული საღვთისმეტყველო მსჯელობები, რითაც გამოირჩევა მაქსიმესეული განმარტებები *Ambigua ad Iohannem*-დან. ამგვარად, ჩვენ წინაშეა კომპილაციური ტექსტი, რომლის

⁷² დღეისათვის გამოვლენილი და შესწავლილია *Ambigua ad Iohannem*-ის შემცველი ბერძნული ხელნაწერები, რომლებშიც ეს თხზულება წარმოდგენილია ან სრული სახით – ჩვიდმეტი ჰომილიის, ორი ეპისტოლისა და ერთი ლექსის კომენტარები, ან არასრული სახით – რამდენიმე ჰომილიის კომენტარი. ყველა შემთხვევაში ეს თხზულება გრიგოლის 38-ე საკითხავის რვა განმარტებას შეიცავს და ის არ დასტურდება გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულებში, იხ. Sajdak, *Historia critica scholiarum*, p. 33-37; Bracke, *Some Aspects of the Manuscript Tradition of the Ambigua of Maximus the Confessor*; ერიუგენასთვისაც, რომელსაც *Ambigua ad Iohannem IX* საუკუნეში აქვს ნათარგმნი ლათინურად, გრიგოლის 38-ე საკითხავის მხოლოდ რვა განმარტებაა ცნობილი, იხ. Jeaneau (ed.), *Maximi Confessoris Ambigua ad Iohannem*.

⁷³ 20 = PG 91, col.1273 D; 21 = PG 91, col. 1281; 23 = PG 91, col. 1285 B; 43 = PG 91, col. 1288 A; 52 = PG 91, col. 1288 D; 91 = PG 91, col. 1289 B; 95 = PG 91, col. 1289 D; 101 = PG 91, col. 1297 C.

ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია გრიგოლის 38-ე საკითხავის მაქსიმე აღმსარებლის კომენტარი *Ambigua ad Iohannem*-დან. როგორც მოცულობით (მაქსიმეს რვა განმარტება „თარგმანების“ მთელი ტექსტის ნახევარს შეადგენს), ისე შინაარსობრივად – თავისი ფილოსოფიური სიღრმითა და მნიშვნელობით, ეს რვა განმარტება თხზულების ძირითად, მთავარ ნაწილს წარმოადგენს. ამით უნდა აიხსნას, ვფიქრობთ, 38-ე საკითხავის კომენტარის ავტორად თხზულების სათაურში მაქსიმეს დასახელება.

ვინ არის დანარჩენი ოთხმოცდაცამეტი განმარტების ავტორი, საიდან მომდინარეობს ეს განმარტებები? მათი წყარო გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარებს შორის, კერძოდ, გრიგოლის 38-ე საკითხავის კომენტარებშია საძიებელი. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების ბერძნული ტექსტების შესწავლის დღევანდელ ეტაპზე გრიგოლის ხელნაწერული ტრადიცია 38-ე საკითხავის ამგვარ კომპილაციურ ტექსტს არ იცნობს. 38-ე საკითხავის კომენტარების XI საუკუნემდელი, ე. ი. ექვთიმემდელი სურათი ამგვარია: არსებობს ამ საკითხავის VI საუკუნის ანონიმი კომენტატორის სქოლიო, რომელიც *Scholia Alexandrina*-ს სახელითაა ცნობილი. 38-ე საკითხავის კომენტარი შეუთხზავს ორ ბიზანტიელ კომენტატორს – იოანე გეომეტრს (X საუკუნე) და ბასილი მინიმუსს (X საუკუნის შუა წლები); არსებობს, აგრეთვე, კრებული *Sylloge*, რომელიც ბასილი მინიმუსის კომენტარების ერთგვარ სახესხვაობას, ფაქტობრივად მის გავრცობილ ვერსიას წარმოადგენს – ბასილი მინიმუსის კომენტარებთან ერთად შეიცავს კიდევ ერთი ავტორის, გიორგი მოკენოსის განმარტებებსაც; შედგენილია X საუკუნის დამლევს და გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების სხვა კომენტარებთან ერთად მასში 38-ე საკითხავის კომენტარიც არის წარმოდგენილი.⁷⁴ ექვთიმე ათონელის „თარგმანების“ გარკვეული ნაწილი სწორედ ბასილი მინიმუსის კომენტარების ამ ვერსიასთან, *Sylloge*-თან ავლენს კავშირს.

„თარგმანებისა“ და *Sylloge*-ს ურთიერთმიმართების სურათი ამგვარია: ოთხმოცდაცამეტი განმარტებიდან, შესაბამისად, გრიგოლის 38-ე

⁷⁴ Sajdak, *Historia critica scholiastarum et commentatorum Gregorii Nazianzeni*, p. 296-297. 38-ე საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარი, აგრეთვე ბასილის კომენტარის *Sylloge*-ს ვერსია გამოცემულია, იხ. Schmidt (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii* (ბასილის ტექსტსა და *Sylloge*-ს შორის არსებული სხვაობანი, ძირითადად, მატება, გამოცემაში დახრილი შრიფტით არის გამოყოფილი); ციტატები ბასილის მინიმუსის კომენტარებიდან ყველგან მოგვყავს ამ გამოცემის მიხედვით.

საკითხავის ოთხმოცდაცამეტი განსამარტავი პასაჟიდან, „თარგმანებაში“ დაახლოებით ორმოცი ისეთი პასაჟია კომენტირებული, რომლებიც განმარტებულია *Sylloge*-შიც. ამ განმარტებათა შორის არის ისეთი განმარტებები, რომლებიც განსხვავებული კუთხით და თვალთახედვით იძლევა გრიგოლის ერთი და იმავე პასაჟის ახსნას. ამასთანავე, დასტურდება ისეთი საერთო ადგილები, რომლებიც ბუნებრივად შეიძლება გაჩნდეს ორ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კომენტარში იმდენად, რამდენადაც ისინი ერთსა და იმავე მასალას განმარტავს და მათ შორის მსგავსება შეიძლება დამთხვევადაც ჩაითვალოს. თუმცა ზოგიერთი ფრაზეოლოგიური თანხვედრა აშკარად მიანიშნებს *Sylloge*-სა და „თარგმანების“ უშუალო კავშირს. მაგალითად:

- არა თქუა თუ იშვა, არამედ იშვებისაო = *gennatai eipen, ouk egegnhqh.*⁷⁵

- იტყვს მოციქული, ვითარმედ მელქიზედეკ უმამო, უდედო, ნათესავ მოუწესენებელ ამისთვის, რამეთუ წერილი მისთვის არა აწესენებს, თუ ვინ იყო მამა მისი, ვითარ-იგი სხუათა წმიდათათვის, ანუთუ ოდეს მოკუდა, ანუ ვინაჲ იწყო მღვდლობად, და მიამსგავსებს მას მოციქული ძესა ღმრთისასა = *D Melcisedek w- apatwr kai; ajhtwr nooit j ah kata; to; proceiron tw/ Uiw/ tou' Qeou' afwmoiwmeno~ kata; ton jApostolon. H gar qeia grafh; genalogousa tou; wj ejnhmoneusen auton ajgenealogh-ton kataletoipen, ajl j ouje; gennhsin ouj qanaton autou' eipen ouj j oqen thn ierwsunhn eij hfei.*⁷⁶

- რამეთუ იგი ამისთვის მოვიდა ქუეყანად, რაჲთა ჩუენ აღგუამაღლნეს ზეცად = *ekeinou epi; gh~ genomenou hnei~ ajqwmien epi oujranoi~.*⁷⁷

- ესე იგი არს, ვითარმედ ნუ ჩუენისა შობისა წესენებითა ვიხარებდეთ, არამედ უფლისა ჩუენისა განწორციელებისა დღესა = *mh; thn mnhw mhn th~ cara~ th~ hmw gennhsew~, ajla; ta; tou' di j hma~ sarkwqento~ geneqia.*⁷⁸

⁷⁵ იხ. აქვე, გვ. 121, განმ. 1, l. 2; Schmidt (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 12, 1a, l. 1.

⁷⁶ იხ. აქვე, გვ. 126-127, განმ. 19, l. 2-6; Schmidt (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 18, 12, l. 6-11.

⁷⁷ იხ. აქვე, გვ. 122, განმ. 2, l. 3-4; Schmidt (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 14, 2, l. 3-4.

⁷⁸ იხ. აქვე, გვ. 144, განმ. 36, l. 3-4; Schmidt (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 34, 36, l. 1-3.

გარდა ამისა, „თარგმანებაში“ დასტურდება ორი ისეთი შემთხვევა, როდესაც განმარტება მთლიანად, თუმცა „ექვთიმესეულად“ – ანუ მეტნაკლები კლება-მატებითა და პარაფრაზით – მისდევს ბასილი მინიმუსის ტექსტს:⁷⁹

რამეთუ ვითარცა ხატი [გამოაჩინებს *add. Iber.*] პირმშოსა მას სახესა, ეგრეთვე [საზღვარი და სიტყუაჲ ~ *Iber.*] გამოაჩინებს მას, რომლისა იყოს [საზღვარ და სიტყუა ~ *Iber.*]. ხოლო საზღვარი მამისაჲ [არს *add. Iber.*] ძჳ, ვითარცა სიტყუაჲ, რომლისა მიერ გამოჩნდების მამაჲ. რამეთუ იტყვს, ვითარმედ რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ ჩემი (*Ioh. 14, 9*), და მე და მამაჲ ერთ ვართ, რამეთუ ვითარცა თვნიერ მამისა არა ითქუმის ძჳ, ეგრეთვე არცა თვნიერ ძისა იცნობების მამაჲ. და სამართლად საზღვარად და სიტყუად მამისად უწოდა ძესა, ვითარცა აღმასრულებელსა არსებისა მისისა და მომასწავებელსა, თუ რაჲ არს იგი. რამეთუ არა ითქუმის, არცა გულისწმა-იყოფების თვნიერ ძისა მამაჲ, გინა თუ საზღვარი არს და სიტყუაჲ, რომლისა მიერ დაისაზღვრა და იქმნა ყოველივე.

wšper h| eikwn to; prwtotupon, ouŧw~ mallon [de; kai; pleon *om. Iber.*] ol logo~ kai; ol ofo~, [eiŧ j ouh ol ofismo~ *om. Iber.*], dhloi' to; ou| eŧti logo~ kai; ofismo~. Oro~ de; tou' Patro~; ol Uib~, wŧ- Loŧ go~ di j ou| deiknutai ol Pathr: ol eŧwrakw~ fhsi ejney eŧwrake ton Patera (*Ioh. 14, 9*). *Sun ajlhŧoi~ gar ta; toiauta noeitai. W~ gar aŧer Uibu' ofismo~ di j ou| ginwšketai ta; pragmata ouk aŧ apodokeih Patro~;.* ouŧw~ oujde; gnwšqei h| dhladh; Pathr aŧeu Uibu. Eikotw~ ouh ofon tou' Patro~; kai; logon ton Uibn eipen [ouj monon apaqw~ wŧ- Logon eŧ Nou' proelqonta tou' Parto~, ajla; kai; *om. Iber.*] wš- sumplhrwtikon oušia~ kai; to; tiv eŧti dhlouŧta tou' Patro~. Ou~ de; gar aŧ nohqei h| lecqei h| Uif ou' aŧeu Pathr h| ofou kai; logou cwri~ di j ou| kai; paŧ olw~ wrišqh kai; gegone [genhton kai; taxei kai; logw/ tethrhtai *om. Iber.*].⁸⁰

⁷⁹ კლებისა და მატების, ასევე სიტყვათა ადგილმონაცვლეობის (~) შემთხვევები როგორც ქართულ, ისე ბერძნულ ტექტში კვადრატულ ფორჩხილებშია ჩასმული. დახრილი შრიფტით წარმოდგენილია ბერძნულისაგან განსხვავებულად ნათარგმნი ფრაზა.

⁸⁰ აქვე, გვ. 164, განმ. 85, l. 2-12; Schmidt (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 90, 128, l. 1-13.

რამეთუ უფამოდ და არა ჟამიერად იშვა მამისაგან ძვ. და ამისთვის დასაბამი არს მამაჲ, ვითარცა მიზეზი, არამედ უფამოდ [დასაბამი *add. Iber.*], რამეთუ არცა ერთი ჟამი შემოსრულ არს [შორის მამისა და ძისა *add. Iber.*], არამედ ოდესცა [იყო *add. Iber.*] მამაჲ, [იყო *add. Iber.*] ძეცა.

ajronw~ gar ajl j ouk eþ
 cronw/ eþ tou Patro~ tou Uibu`
 gennhqento~: ajrch; men eþtin ol
 Pathr, w~ aiþio~ ajl j ajrono~
 mhdeno~ mesiteusanto~ cronou:
 aþna gar Pathr, aþna Uibu`.⁸¹

„თარგმანებაში“ ბასილი მინიმუსის კომენტარის კვალი ჩანს კიდევ ერთგან; ოლონდ ამ შემთხვევაში ბასილის ტექსტი დამოუკიდებელ განმარტებად კი არ არის ჩართული „თარგმანებაში“, არამედ საკმაოდ მსხვილი ჩანართის სახით არის წარმოდგენილი უშუალოდ მაქსიმე აღმსარებლის ერთ-ერთ განმარტებაში; კერძოდ, 21-ე განმარტებაში კომენტირებულია შემდეგი ფრაზა 38-ე საკითხავიდან: *ყრმა იშვა ჩუენდა და ძე მოგუეცა ჩუენ, რომლისა მთავრობაჲ ზედა მწართა მისთა, რამეთუ ჯუარსა თანა ამაღლდების.* მაქსიმესთან განმარტებულია ამ პასაჟის მხოლოდ მეორე ნაწილი – *რომლისა მთავრობაჲ ზედა მწართა მისთა, რამეთუ ჯუარსა თანა ამაღლდების*, ხოლო ქართულში წარმოდგენილია მთლიანი პასაჟის კომენტარი; პირველი ნაწილის (*ყრმა იშუა ჩუენდა და ძე მოგუეცა ჩუენ*) განმარტების ქართულ თარგმანს შესატყვისი ბასილი მინიმუსის კომენტარში ეძებნება, ანუ გრიგოლის განსამარტავი პასაჟის იმ ნაწილის განმარტება, რომელიც არ არის მაქსიმესთან, ამოღებულია 38-ე საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარიდან და მაქსიმეს განმარტებაშია ჩართული მისი შევსების მიზნით. ეს ჩანართიც ექვთიმესეული თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული:

⁸¹ აქვე, გვ. 167, განმ. 93, l. 3-6; Schmidt (ed.), *Basilii Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 100, 145b, l. 1-4.

და კეთილად თითოეული თითოეულსა შეერთვის, შობაჲ – ყრმასა თანა, [ჩუენთჳს *add. Iber.*] ქუეყანად მოსრულსა, ხოლო მოცემაჲ – ძესა თანა და დაუსაბამოსა მას მამისაგან შობასა. [რამეთუ იშვა ჩუენდა ყრმაჲ ჩჩჳლი და სრული კაცი. ხოლო არს იგი ძე დაუსაბამოდ მამისაგან შობილი, რომელი-იგი ჩუენ, ვითარცა ყრმაჲ, მოგუეცა მჳსნელად ნარწყმედულთა ამათ *add. Iber.*]. ხოლო თუ იშვა ჩუენდა და მოგუეცა ჩუენ, ესე ამისთჳს, რამეთუ ყოველი კაცი თავისა თჳსისათჳს იშვების, რაჲთა მიიღოს ნათელი და გულისჳმისყოფაჲ ღმრთისაჲ სარგებელად თჳსა. ხოლო ქრისტე [ძე იყო თანამოსაყდრე მამისაჲ და *add. Iber.*] არა ეჳმარებოდა შობაჲ [ქუეყანასა ზედა, არცა თავისა თჳსისა იშვა *add. Iber.*], არამედ ჩუენდა იშვა და ჩუენ მოგუეცა მაცხოვრად, [რამეთუ ყოველთა კაცთა შობანი თავთა თჳსთათჳს არიან, არა სხუათათჳს. ხოლო ქრისტე ჩუენთჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს იშვა *add. Iber.*].

რაც შეეხება „თარგმანების“ დანარჩენ განმარტებებს, მათ დღეისათვის წყარო არ ეძებნება; არ არის გამორიცხული, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების ბერძნული ხელნაწერიული ტრადიციის შესწავლამ სამომავლოდ გაარკვიოს მათი წარმომავლობაც. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ამ განმარტებათა ავტორი თავად „თარგმანების“ შემდგენელიც შეიძლება იყოს.

Prosfuw~ [kai; panu proshkontw~ *om. Iber.*] ekateron ekaterw/ sunhptai. To; men egennhth, pro; to; paidion kai; thn katw gennhsin, to; de; ejdoh, pro; to; Uib;~ kai; thn afh proaiwnion ek Patro;~ eklamyin. To; de; *hmin proskeitai*, epeidh; pa~ afhqwpo~ eautw/ gennatai pro; to; fwto;~ kai; gnwsew~ Qeou' metascein eij wfeleian eautou. Cristo;~ de; mh deno;~ toutwn uparcwn epideh;~ eij hmw̄n ofelo~ gennhqe;~ hmin ejdoh Swthr.⁸²

⁸² აქვე, გვ. 134, განმ. 21, l. 6-18; Schmidt (ed.), *Basili Minimi in Gregorii Nazianzeni orationem XXXVIII commentarii*, p. 22, 16, l. 1-8.

მაშ, ვინ იმუშავა 38-ე საკითხავის კომენტარზე, ვინ არის „თარგმანების“ შემდგენელი?

საზოგადოდ, ადრინდელი ეგზეგეტიური შრომებისა და კომენტარების გამოყენება და მათზე დაყრდნობით ახალი ნაშრომების, კომპილაციური ტექსტების შექმნა ტრადიციად გასდევს ბიზანტიური ეგზეგეტიკისა და კომენტარების ისტორიას. მაგალითად, „პავლეს ეპისტოლეთა განმარტებების“ შედგენის კომპილაციურ მეთოდზე საუბრობს კირილე ალექსანდრიელი თავის ეპისტოლეში, რომელიც ერთვის მის მიერ ამ მეთოდით შედგენილ „პავლეს ეპისტოლეთა განმარტებებს“. როგორც ირკვევა, „განმარტებათა“ შედგენისას მას უსარგებლია იოანე ოქროპირის, აგრეთვე სხვა ავტორთა – გრიგოლ ღვთისმეტყველის, ბასილი დიდის, ათანასე ალექსანდრიელის და სხვათა კომენტარებით.⁸³ ინფორმაციას გრიგოლის ჰომილიათა კომენტარების შედგენისას ჩატარებული კომპილაციური სამუშაოს შესახებ გვანვდის ბასილი მინიმუსიც თავის ეპისტოლეში კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ, რომელსაც ის უძღვნის მის მიერ კომენტარებულ გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიათა კრებულს.⁸⁴ ბასილი შენიშნავს, რომ მას შეუკრებია გრიგოლის ჰომილიათა მანამდე არსებული კომენტარები, შეუმოკლებია, ნაწილობრივ გაუმარტივებია, დაურთავს საკუთარი განმარტებები და ამ სახით მიუერთმევია ის იმპერატორისათვის.⁸⁵ ბასილის კომენტართა კომპილაციური ხასიათი ამ თხზულების ხელნაწერულ ტრადიციაშიც არის ასახული. კომენტართა როგორც ბერძნულ, ისე ქართულ ხელნაწერებში ზოგიერთ განმარტებას სხვადასხვა კომენტატორთა, მათ შორის, მაქსიმეს სახელიც აქვს მინერილი.⁸⁶ ნიშანდობლივია, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების გვიანდელ ტრადიციაშიც არის დადას-

⁸³ თვალთვაძე, პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ქართული თარგმანები, გვ. 345-362.

⁸⁴ ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ისტორიიდან, გვ. 18-31.

⁸⁵ ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, გვ. 17-18.

⁸⁶ მაგალითად, ამგვარ მინიშნებებს ვხვდებით გრიგოლ ღვთისმეტყველის 21-ე საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარის ქართულ თარგმანში, რამდენიმე განმარტების დასაწყისში.

ტურებული კომენტართა შედგენისას ადრინდელი კომენტარების გამოყენების შემთხვევები.⁸⁷

ეგზეგეტიკის და კომენტარული ჟანრის ეს თავისებურება კარგად იყო ცნობილი ქართველი მწიგნობრებისათვის. საერთოდაც, ბიზანტიური მწიგნობრული ხერხების ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში დანერგვის არაერთი მაგალითი დასტურდება XI-XII საუკუნეებში შესრულებულ ქართულ თარგმანებში. ამ ეპოქის ქართველ მთარგმნელებს ქართულ მწიგნობრობაში ახალ ჟანრებთან, ახალ კონცეფციებთან ერთად ბიზანტიელ მწიგნობართა ტექსტებზე მუშაობის მეთოდებიც შემოჰქონდათ. მაგალითად: ერთი ავტორის თხზულების შევსება ექსცერპტებით იმავე თემაზე დაწერილი სხვა ავტორის ნაწარმოებებიდან, თხზულების კომპოზიციურად გადაწყობა და დალაგება ბერძენ ავტორთა ანალოგიით, საკუთარი პოზიციის გამოსხატვის საშუალებათა გამოყენება ბერძენ რედაქტორთა და გადამწერთა მიზაძვით.⁸⁸ ამავე რიგისაა კომპილაციის მეთოდი. ნიშანდობლივია, რომ ეს მეთოდი ხშირად იჩენს თავს სწორედ ექვთიმე ათონელის თარგმანებში. კომპილაციურია ექვთიმეს მიერ თარგმნილი „მცირე სჯულისკანონი“ და „წინამძღუარი“.⁸⁹ კომპილაციის მეთოდი გამოყენებულია ექვთიმეს მიერ მაქსიმე აღმსარებლის *Ad Thallasium*-ის ქართულად გადმოტანისას; მისი თარგმანი 100 თავს შეიცავს, ბერძნულისაგან განსხვავებით, რომელშიც 65 თავია წარმოდგენილი. თანაც *Ad Thallasium*-ის 100 თავიდან ექვთიმეს თარგმანში წარმოდგენილია მხოლოდ ნაწილი, დანარჩენი კი მაქსიმეს სხვა თხზულებებიდან და სხვა ავტორთა ნაწარმოებებიდან არის გადმოტანილი.⁹⁰

⁸⁷ Fromont, Lequeux, Mossay, Gregorius Florellius, commentateur de Grégoire de Nazianze au XVI siècle.

⁸⁸ ქურციკიძე (გამოც.), *ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი*, გვ. 071-072; ქურციკიძე, გრიგოლ ღვთისმეტყველის XLIII ჰომილია, გვ. 43-44; ბეზარაშვილი, მაჭავარიანი, გრიგოლ ღვთისმეტყველის II და III ჰომილიები, გვ. 277; გამყრელიძე, *ოთხმეზური* (გამოც.), *ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები*, გვ. 69-70, შენ. 76.

⁸⁹ გიუნაშვილი (გამოც.), *ექვთიმე ათონელი, მცირე სჯულისკანონი*; ჩიკვატია, ჭყონია (გამოც.), *წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი*.

⁹⁰ კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები, გვ. 168-182; Van Esbroek, Euthyme l'Hagiorite; Chantladze, Euthymius the Athone's Translation, p. 49-58.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა: ხომ არ არის გრიგოლის 38-ე საკითხავის კომპილაციური კომენტარის შემდგენელი თავად ექვთიმე ათონელი, რომელიც მუშაობს თავისი ბერძენი კოლეგების მსგავსად?

ამ მოსაზრების სასარგებლოდ შემდეგი არგუმენტების მოტანა შეიძლება: ექვთიმე ძალიან კარგად იცნობს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბასილი მინიმუსის კომენტარებს; დღეისათვის დადგენილია, რომ გრიგოლის ჰომილიების თარგმანზე მუშაობისას, ის სარგებლობდა ამ ტექსტით – გარკვეულ ინფორმაციას იღებდა ამ კომენტარებიდან და შეჰქონდა ის ღვთისმეტყველის საკითხავთა საკუთარ თარგმანებში.⁹¹ ასე რომ, არ არის გამორიცხული, „თარგმანებზე“ მუშაობისას, მას ესარგებლა ბასილის კომენტარებით, მაქსიმეს თხზულებასთან ერთად მას წინ სდებოდა ბასილი მინიმუსის კომენტართა ბერძნული ხელნაწერიც და იქიდანაც შეევსო საკუთარი თარგმანი. არ გამოვრიცხავთ, ასევე, რომ შეთხზვის პროცესში მას საკუთარი, შედარებით მარტივი განმარტებებიც ჩაერთო „თარგმანებაში“ (ვგულისხმობთ კომენტარის იმ განმარტებებს, რომლებსაც დღეს ბერძნული წყარო არ ეძებნება).

და კიდევ: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა VI საუკუნის კომენტარის, ფსევდონონეს მითოლოგიური სქოლიოების ექვთიმესეული თარგმანის ტექსტი ქართულ ხელნაწერულ ტრადიციაში წარმოდგენილია ზუსტად იმ ფორმით, რა ფორმითაც „თარგმანება“ – გრიგოლისეული ციტატა და მისი განმარტება თავსათაურებით: *ღმრთისმეტყველისაჲ ... თარგმანი*.⁹² ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ბერძნულ ხელნაწერულ ტრადიციაში, რომელიც საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი, მითოლოგიურ კომენტართა ტექსტის ამგვარი ორგანიზება არსად დასტურდება. შესაბამისად, ფსევდონონეს კომენტარების ქართულ თარგმანში გრიგოლისეული ფრაზების შეტანა და შემდეგ მათი გამიჯვნა განმარტებებისაგან მინიშნებებით – *ღმრთისმეტყველი და თარგმანი / თარგმანება* – უშუალოდ ექვთიმესაგან უნდა მომდინარეობდეს. ამიტომაც შეიძლება დავასკვნათ, რომ „თარგმანების“ ტექსტის ორგანიზების ფორმაც ექვთიმესეულია.

თუმცა დღეისათვის, როდესაც სრულად არ არის შესწავლილი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარების ბერძნული ტრადი-

⁹¹ ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, გვ. 79-82.

⁹² Otkhmezuri (ed.), *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. 154-171.

ცია, გადაჭრით მაინც ვერ ვიტყვით, ექვთიმეს მიერ სათარგმნელად ბერძნული კომპილაციური ტექსტია შერჩეული, თუ 38-ე სიტყვის კომპილაციური კომენტარი ბერძნულ მასალაზე – გრიგოლ ღვთისმეტყველის 38-ე საკითხავის რამდენიმე კომენტარზე დაყრდნობით არის შედგენილი ექვთიმეს მიერ. როგორც ცნობილია, ექვთიმე ათონელის მოღვაწეობიდან სულ რამდენიმე ათეული წლის შემდეგაც კი ეფრემ მცირე თავს იკავებდა ამგვარი დასკვნისაგან და ექვთიმეს მიერ ნათარგმნი კომპილაციური (*გამოკრებილი*) თხზულების, „წინამძღვრის“ შესახებ წერდა: *ხოლო ესე არა უწყი, თუ თვთ მამასა ეფთჳმის გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვია.*⁹³ ასეთივე სიფრთხილეს იჩენდა ეფრემი, როდესაც გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-2 და მე-3 საკითხავების მეტად სპეციფიკური ექვთიმესეული თარგმანის შესახებ შენიშნავდა: *არა ვიცით ... ანუ თვთ წმიდასა მამასა ჩუენსა ევთიმის დედაჲ ესეგუარი მიჰხუდა, ანუ თვთ რაჲმე განგებულეებით ჰყო.*⁹⁴

⁹³ რაფავა (გამოც.), *ოიანე დამასკელი, დიალექტიკა*, გვ. 69.

⁹⁴ ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 174.

თავი II

AMBIGUA AD THOMAM და AMBIGUA AD IOHANNEM გელათურ ტრაქტიკაში

Ambiguorum liber-ის ნაწილები, კერძოდ, *Ambigua ad Thomam: In epistolam S. Dionysii Areopagitae Athenarum episcopi ad Gaium monachum* (PG 91, 1052 D 9 – 1060 D 1) და *Ambigua ad Iohannem: Epistula ad Iohannem* (PG 91, 1061 A 1 – 1065 B 3), *Ex sermone de hospitalitate* (PG 91, 1065 B 4 – 1068 C 17) და *Ejusdem ex eodem sermon* (PG 91, 1068 D 1-1069 C 5) წარმოდგენილია მხოლოდ ერთ XII-XIII სს. ხელნაწერში, A-52-ში.

ხელნაწერი A-52, რომელშიც მაქსიმე აღმსარებლის *Ambiguorum liber*-ის ნაწილებია დაცული, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი კრებულია. ეს ხელნაწერი და მასში წარმოდგენილი ტექსტები, ძირითადად, მთავარი თხზულება – „თეოფილაკტე წმიდისა მთავარების-კოპოსისა ვულღარიაჲსა განმარტება იოანნის თავისა წმიდისა სახარებისაჲ“ (მოიცავს ხელნაწერის 153 ფურცელს 164-დან) – მკვლევართა მიერ გელათის საღვთისმეტყველო-სალიტერატურო სკოლაში შექმნილ თარგმანთა ავტორების იდენტიფიკაციის კვლევის სფეროშია მოქცეული. დ. მელიქიშვილის აზრით, ტერმინოლოგიური, ასევე ყოფით-ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით, „იოანეს სახარების განმარტების“ ქართული თარგმანი ახლოს დგას გელათურ სკოლაში შესრულებულ ისეთ თარგმანებთან, როგორებიცაა: მაქსიმე აღმსარებლის თხზულებები (წარმოდგენილია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცულ ხელნაწერში, გელ. 14-ში),¹ ამონიოს ერმისის შრომები და გელათის კატენებიანი ბიბლიის როგორც კიმენის, ისე კატენების ტექსტები.²

¹ გელ. 14-ის დეტალური აღწერილობა, ასევე მისი წარმომავლობის საკითხის შესახებ იხ. ხოფერია, ჩანტლაძე, მაქსიმე აღმსარებლის გელათური კრებული, გვ. 63-79.

² მელიქიშვილი, გელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის, გვ. 70-71.

მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს ძეგლები ერთი მთარგმნელის მიერ უნდა იყოს ქართულად ნათარგმნი. ე. ჭელიძე ამავე მნიგნობარს მიაკუთვნებს კიდევ რამდენიმე ტექსტის, მათ შორის – A-52-ში დაცულ მაქსიმე აღმსარებლის თხზულებების თარგმანს. აღსანიშნავია, რომ სწორედ მან დაადასტურა პირველად ამ ხელნაწერში მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-ის, კერძოდ, „იოანეს მიმართ ეპისტოლისა“ და მე-14 საკითხავის ორი კომენტარის არსებობა. ე. ჭელიძის აზრით, ეს თარგმანები ერთ ტერმინულ მთლიანობად არის წარმოჩენილი და შესრულებული უნდა იყოს არსენ იყალთოელის მოწაფის მიერ XII საუკუნის 30-იან – 50-იან წლებში.³ თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტების“ გამომცემლის, თ. ცქიტიშვილის აზრით, ამ თხზულების ქართული თარგმანი იოანე პეტრინს უნდა ეკუთვნოდეს.⁴

ხელნაწერი ორჯერ არის აღწერილი – მე-20 საუკუნის დასაწყისში თედო ჟორდანას მიერ და მე-20 საუკუნის 70-იან წლებში.⁵ ხელნაწერის შედგენილობას ეხება თ. ცქიტიშვილიც თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტების“ პუბლიკაციის შესავალ წერილში.⁶

მიმდინარე წლებში წარმოებული კვლევების, კერძოდ, მაქსიმე აღმსარებლისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული კრებულების შესწავლის შედეგად დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა A-52-ში რამდენიმე ისეთი ტექსტის გამოვლენა და იდენტიფიცირება, რომლებიც მანამდე ამ ხელნაწერში არ ყოფილა აღნუსხული.

წარმოვადგენთ A-52-ის აღწერილობას:

³ ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, გვ. 388-389.

⁴ ცქიტიშვილი (გამოც.), *თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა II*, გვ. 105-159.

⁵ Жордания, Описание рукописей и старопечатных книг Церковного Музея, с. 41. *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა*, I, გვ. 141-142.

⁶ ცქიტიშვილი (გამოც.), *თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა*, I, გვ. 8-9.

ხელნაწერი A-52 (XII-XIII სს.)

165 ფ. ფურცლის ზომა: 23,5×31; ქალღდი, გვიანდელი აკინძული და რესტავრირებული; ნაწერია ერთ სვეტად, შავი მელნით; სათაურები – სინგურით. ყდა – მუყაოზე გადაკრული ტყავი. ბოლო ფურცლები დაზიანებულია. ეტყობა დასველების კვალი, რის გამოც ბოლო გვერდების ზედა ნაწილებზე ტექსტი ზოგ შემთხვევაში გადარეცხილია.

შედგენილობა:

1. თეოფილაქტე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა ვულგარიაჲსა, განმარტება იოანნის თავისა წმიდისა სახარებისაჲ (1r-150r).

შენიშვნები: (1) თეოფილაქტე ბულგარელის *Commentarius in Iohannem*, PG 123-124; (2) ტექსტი გამოცემულია A-52-ის მიხედვით: ცქიტვიშვილი (გამოც.), *თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა*.

2. ... [სა]მებისათა და განთსებულთა თითოეულისა გუამისათა (150v-151r).

Inc. ... არიან საზოგადონი სახელნი, წმიდისა სამებისათჳს მოხუ-მულნი ...

des. ... ხოლო „მეფე“ ანუ „მეუფე“ ანუ „მამა“ თსებასა [საცნაურებ...]

შენიშვნა: (1) თავ-ბოლო ნაკლული ტექსტი სამების ჰიპოსტასთა სახელების შესახებ. ბერძნული წყარო უცნობია.

3. [მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Thomam*, ფრაგმენტი] (151r-153r).

Inc. ... და დედა ახალმკუეთელი ბუნებისაჲ შემოკრებითა წინააღმდ[გომთათ]ა.... *des.* ... სიდიდე, სიმტკიცე მამითურთ და სულით წმიდით საუკუნეთა. ამინ.

შენიშვნები: (1) მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Thomam*, PG 91, 1052 D 9 – 1060 D 1; (2) თავნაკლულია, მექანიკურად ებმის წინა ტექსტს.

4. მისივე. იოვანეს მიმართ მთავარეპისკოპოსისა კვზიკოელისა, მაქსიმე უფლისა მიმართ გახარებ (153r-154r).

Inc. იქებთან ვიდრე-მე და ნანდვლ სამართლად ...

des. ... კაცთმოყუარე მსაჯულთქუმულთა ქმნისა თქუენისა მოქენე.

შენიშვნა: (1) მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*, PG 91, 1062 A 1 – 1065 B 3.

5. გლახაკთმოყუარების ძლითისა სიტყვსაგან, ვითარმედ ვმორიდობ, ვითარცა თანმოქმედისა და ბორკილებითა და მალონებლებითა, ანუ დამაქუეებლებითა იატაკადმი არა მაქუს, ვითარ ვეველტოდი ზე-დაადგომასა, ანუ ვითარ არა დავვარდე ღმრთისაგან დამძიმებული (154r-155r).

Inc. არა იგივედ გულისხუმა-იყოფების ...

des. ... რომელ არს თავისუფლება სულისა მონაყოფად ვნებათა ზედწოდებულისა.

შენიშვნა: (1) მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*, PG 91, 1065 B 4 – 1068 C 17.

6. ვითარმედ სევიროს, იგივეყოფად მეტყუელი ბუნებასა და გუამსა, შერევნა-ჰყოფს შერებებასა და განწვალება-განყოფილებასა, რომლითა იჩუნების ოთხებისა მიმართ პირთაჲსა განმარჩეველად სიტყუასა სამებისასა და ორობისა მიმართ ღმრთეებათაჲსა განმკუეთელად საადუმლოსა ერთობისასა და მგმობრობით განმწდეულ ყოვლისავე არსებითისა მყოფობისა ქრისტესისა (155r-156r).

Inc. ხოლო სევიროს საკუთრად იგივედ არსებისა და გუამისა...

des. ...თანა მოკუდა რწმენათა.

შენიშვნები: (1) მაქსიმე აღმსარებელი, *Epistola*, PG 91, col. 568 C 3 – 572 B 2; (2) დასტურდება მაქსიმე აღმსარებლის თხზულებათა შემცველ კრებულში: გელ. 14 (XII ს.), 248v-250r, იხ. ხოფერია, ჩანტლაძე, მაქსიმე აღმსარებლის გელათური კრებული, გვ. 76.

7. მისივე სიტყვსაგან, ვითარმედ: „რაჲ არს ჩემ ძლითი სიბრძნე და რაჲ – დიდი ესე საადუმლოჲ, რომელსა ჰწნებავს ჩუენ, ღმრთისა ნაწილად მყოფთაჲ და ზენაჲთ დადინებულთაჲ, რაჲთა არა ღირსებისათჳს აღზუავებულთა და განმცხრომთა შეურაცხ-ვყოთ ამგებელისაჲ ბრძოლასა შინა სხეულისმიმართსა და წყობასა მისსა მიმართ ხედვითა მარადის, და შეუღლვითი უძღურებაჲ საწურთელ-ყოფად პატივისა“ (156r-v).

Inc. ამათ სიტყუათა მიმთხუელნი ვიეთნიმე ...

des. დამყარებისა და დავანებისა აღძრულთა სიტყვერთა.

შენიშვნები: (1) მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*, PG 91, 1068 D 1-1069 C 5; (2) ტექსტი არ არის დასრულებული.

8. შეისწავე განყოფილება ნვალებათაჲ (156v).⁷

შენიშვნა: სავარაუდოდ, ქართველი მნიგნობრის მიერ შედგენილი მარგინალური შენიშვნა, ე. წ. *შეისწავე*, რომელმაც გადაწერის პროცესში აშიიდან ხელნაწერის ცენტრალურ ნაწილში გადაინაცვლა.

9. წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ. პასქაჲსათჳს და დაყოვნებისათჳს (156v).

Des. ... საღმრთოდ შობადთასა მოქმედად კეთილად და მო...

შენიშვნები: (1) გრიგოლ ღვთისმეტყველის პირველი ლიტურგიკული სიტყვა; ტექსტი ნაკლულია, უნდა აკლდეს ერთი რვეული (156v-ზე მთავრდება მორიგი რვეული და იწყება შემდეგი), რომელიც მთლიანად დაიტევდა გრიგოლის პირველ საკითხავს. (2) ეფრემ მცირის თარგმანი; გამოცემულია: *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. I.

10. თარგმანებაჲ ნიშანთა ამათ ადგილ-ადგილ ღმრთისმეტყუელსა შინა პოე[...] (157r).

Inc. მზისთუალის სახე ესე ნიშანი ...

des. ... უჴმდეს შესწავებაჲ მკითხველსა.

შენიშვნები: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ხელნაწერებში დადასტურებული ოთხი მარგინალური ნიშნის (*მზისთუალი*, *ვარსკულავი*, *შუენიერი*, *შეისწავე*) განმარტებითი სქოლიო, რომელიც ეკუთვნის VI საუკუნის ანონიმ ავტორს; ნათარგმნია ეფრემ მცირის მიერ; დასტურდება, ასევე, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის შემცველ კრებულში – *Jer.* 43, 4v. სქოლიო რამდენჯერმე არის გამოცემული: ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 150; Otkhmezouri, *Les signes marginaux dans les manuscrits géorgiens de Grégoire de Nazianze*, p. 341; თვალთვაძე, *ეფრემ მცირის კოლოფონები*, გვ. 41. ოთხმეზური, კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციებში, გვ. 125-126. სქოლიოს ბერძნული წყაროს შესახებ იხ. Sinko, *De traditione orationum Gregorii Nazianzeni*, II, p. 4-5; Sakkelion, *Patmiakh; Biblioghkh*, p. 19; Lambros, *Ta palaiografika; shmeia kai; ol Kaisarei; Ἱερα-*, p. 256; Бенешевич, *Описание греческих рукописей*, с. 201; Sinko, *De traditione orationum Gregorii Nazianzeni*, I, p. 90-91. Lefherz, *Studien zu Gregor von Nazianz*, p. 124-131. სქოლიოს შემცველი ბერძნული ხელნაწერების შესახებ იხ. Astruc,

⁷ 150v-156v-ზე წარმოდგენილ ტექსტებს თ. ცქიტიშვილი თეოფილაქტე ბულგარელისეულად მიიჩნევს, იხ. ცქიტიშვილი (გამოც.), *თეოფილაქტე ბულგარელი, განმარტება იოანეს სახარებისა*, I, გვ. 7.

Remarque sur les signes marginaux de certains manuscrits de S. Grégoire de Nazianze; Mossay, Le signe héliaque, p. 275.

11. [იამბიკო აკროსტიქი კიდურწერილობით „გეორგი“] (157r).

Inc. განწმედილ სადგურ შუდმადლთა სულისათა ...

des. იამბიკონად მიგიძღუანებ თავედოვნად.

შენიშვნები: გრიგოლ ღვთისმეტყველისადმი მიძღვნილი 6-სტრიქონიანი ლექსი; დასტურდება, ასევე, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის შემცველ კრებულში – *Jer.* 43, 4v; უნდა მომდინარეობდეს გრიგოლის იმ ბერძნული ხელნაწერიდან, რომლიდანაც ითარგმნა გრიგოლის საკითხავები. აკროსტიქიანი ლექსების მოთავსება გრიგოლის კრებულის დასაწყისში (აკროსტიქში უმეტესწილად კრებულის დამკვეთის სახელია ხოლმე წარმოდგენილი) გრიგოლის ბერძნულ ხელნაწერებში დადასტურებული მოვლენაა, იხ. Somers, *Histoire des collections complètes des discours de Grégoire de Nazianze*. თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს. ლექსი გამოცემულია: ბრეგაძე, *გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, გვ. 150; *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. I, p. xl.

12. წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ, ივლიანეს მიმართ განმასწორებელისა (157r-161v).

შენიშვნები: (1) გრიგოლ ღვთისმეტყველის მე-19 ლიტურგიკული სიტყვა; (2) ეფრემ მცირის თარგმანი; გამოცემულია: *Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica*. II, p. 157-223.

13. წმიდათა შორის მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ. სიტყუა შობისათჳს მაცხოვრისა (161v-164v).

Des. ... დაგლახაკნების, რამეთუ დაგლახ...

შენიშვნები: გრიგოლ ღვთისმეტყველის 38-ე ლიტურგიკული სიტყვა. ეფრემ მცირის თარგმანი, გამოცემულია: *Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica*. III. ტექსტი ბოლონაკლულია.

ზოგადი შენიშვნები:

I. ძირითად ტექსტში ხელნაწერის ხელითა და იმავე მეღვინით შეტანილია მცირე სწორებანი (13v, 15v, 21r, 22v და სხვ.) ტექსტი კარგად არის ორგანიზებული სასვენი ნიშნებით; გვხვდება მძიმე, ერთი, ორი და სამი წერტილი. ხშირია სიტყვაზე მახვილების დასმის შემთხვევები. რთული სიტყვების შემადგენელი ნაწილები შეერთებულია, უმეტესწილად, ერთი

ან ორი, ერთმანეთზე გადაბმული, რკალით⁸; ბიბლიური ციტატები აშიაზე მონიშნულია ობელოსით (37v, 38v, 39v, 40v, 41v, 45v, 48v, 51v, 55v და სხვ.).

II. ხელნაწერის აშიებზე ვხვდებით მარგინალურ ნიშნებს: *იხილე* (14r, 44v, 52r, 59r, 74r, 77r, 138r და სხვ.), *შეისწავე* (46r, 127r და სხვ.), *შუენიერი* (77r და სხვ.);⁹ დასტურდება, ასევე: *დანიშნე* (43r, 47r, 50v), *შთაიგემე შთამართ* (38r), *შთაიხილე შუენიერი* (50r), *აღსერე* (138v);¹⁰ უფრო ვრცელი შენიშვნებია: *შთაიხილე აღყვანებითიცა თარგმანება შუენიერი ფრიად, ფრიად* (36r); *იხილე შუენიერი აღყვანებითი და განიგემე კეთილად; ესეცა შუენიერი აღყვანებითი, განიგემე გულისჭმისყოფით, მკითხველო* (76r). ამ ნიშნებითა და შენიშვნებით მონიშნულია ძირითადი ტექსტის ის პასაჟები, რომლებიც გამოირჩევიან მხატვრულობით, ან აქვთ განსაკუთრებული შინაარსობრივი (სალვთისმეტყველო თუ ეთიკური) დატვირთვა.¹¹

III. აშიებზე დასტურდება, ასევე, რამდენიმესტრიქონიანი „შეისწავეს“ ტიპის მარგინალური შენიშვნები, რომლებიც ხან მთავრულით, ხან ნუსხურითაა შესრულებული და უმეტესწილად არ იკითხება.

IV. 155v-164v-ზე, აშიებზე, მოთავსებულია ტექსტი, რომელიც თითქმის გადარეცხილია და არ იკითხება. რამდენიმე მონაკვეთის მიხედვით, რომელთა ამოკითხვაც მეტ-ნაკლებად მოხერხდა, შეიძლება ითქვას, რომ ტექსტს აქვს კითხვა-მიგების ფორმა. ერთგან იკითხება ფრაზა: *რასა მოასწავებს იწრუსალიმი? ხოლო იწრუსალიმი ხილვად გამოითარგმანების მშკდობისად* (159r); ამ ფრაზის შესატყვისი უნდა იყოს იერუსალიმის განმარტება მაქსიმე აღმსარებლის თხზულებიდან „თალასეს მიმართ“:

⁸ დეტალურად ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 64.

⁹ მარგინალურ ნიშანთა ეს ჯგუფი დასტურდება წმინდა მამათა თხზულებების შემცველ ადრინდელ ხელნაწერებში, განსაკუთრებით, შავი მთის მწიგნობრულ სკოლასთან დაკავშირებულ ნუსხებში, იხ. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, გვ. 122.

¹⁰ აღნიშნული ლექსიკური ერთეულები მარგინალურ ნიშნებად გელათის სალვთისმეტყველო სკოლის ხელნაწერებში დასტურდება. მარგინალურ შენიშვნებად ამ ტერმინთა გამოყენებას გელათურ ხელნაწერებში ადასტურებს ედიშერ ჭელიძე.

¹¹ მარგინალურ ნიშანთა სისტემა ქართულ ხელნაწერებში ბერძნული ხელნაწერების ანალოგიით არის დამკვიდრებული, იხ. Otkhmezouri, *Les signes marginaux dans les manuscrits géorgiens*.

ofasi~ gar eijrhnh~ Ierousalhm ermhneuetai (PG 90, 477 A 11). შესაბამისად, სავარაუდოდ, ხელნაწერის აშიებზე (155v-164r) წარმოდგენილი ტექსტი უნდა იყოს ნაწილები მაქსიმეს ცნობილი თხზულებიდან - *Quaestiones ad Thalassium*.

ამგვარად, ხელნაწერი შეიცავს ბიზანტიური ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, თეოფილაქტე ბულგარელის ეგზეგეტურ თხზულებას, რომელსაც ბოლოში ერთვის ადრექრისტიანული მწერლობის ორი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლის, მაქსიმე აღმსარებლისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებანი თუ თხზულებათა ნაკვეთები.

რა შეიძლება ითქვას კრებულის ბოლო ნაწილზე, მაქსიმესა და გრიგოლის ტექსტებსა და მათ ფუნქციაზე მოცემულ ხელნაწერში?

A-52-ში დაცული გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფრემ მცირისეული თარგმანები – 1-ლი (დასაწყისი, ფრაგმენტი), მე-19 და 38-ე საკითხავები, ასევე მარგინალურ ნიშანთა განმარტებითი სქოლიო და იამბიკო აკროსტიქი კიდურწერილობით „გეორგი“ გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული საკითხავის ეფრემ მცირის თარგმანების შემცველი კრებულის შემადგენელი ნაწილებია. ამ ტიპის კრებული დღეისათვის რამდენიმეა ცნობილი,¹² რომელთაგან შედგენილობის თვალსაზრისით ყველაზე სრულია Jer: 43 (XII ს.). ამ ხელნაწერში, კრებულის დასაწყისში წარმოდგენილ ეფრემ მცირის „ეპისტოლეს კვირიკე ბერის მიმართ“, მოსდევს სწორედ იამბიკო აკროსტიქი, ხოლო მარგინალურ ნიშანთა განმარტებითი სქოლიო დასტურდება ზანდუკის ბოლოს, რომელიც, თავის მხრივ, იამბიკოს მოჰყვება. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ტექსტი დღემდე მხოლოდ Jer: 43-ით იყო ცნობილი.

A-52-ის ე. წ. გრიგოლისეული ნაწილი უშუალოდ არ უნდა მომდინარეობდეს Jer: 43-დან, მათ შორის არც შუალედური ხელნაწერის არსებობაა სავარაუდებელი, რადგან მარგინალურ ნიშანთა განმარტებითი სქოლიოს სათაური – „თარგმანებაჲ ნიშანთა ამათ ადგილ-ადგილ ღმრთისმეტყუელსა შინა პოე[...]“, რომელიც ამ ტექსტს აქვს A-52-ში, Jer: 43-ში არ დასტურდება. A-52-ის ე. წ. გრიგოლისეულ ნაწილში ტექსტები არ არის ისე ორგანიზებული, როგორც გრიგოლის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანის კრებულში, სადაც მთავარი (გრიგოლის საკითხავები)

¹² ესენია: Jer: 43, Jer: 15, Jer: 13, A-109, გელ.-9, A-1490, ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

და მეორეხარისხოვანი მასალა (დამატებები – არაგრიგოლისეული ტექსტები) ერთმანეთისაგან გამიჯნულია როგორც ადგილმდებარეობით, ისე ფორმით; კერძოდ, *Jer.* 43-ში მარგინალურ ნიშანთა განმარტებით სქოლიოს მინანერის სახე აქვს და წვრილი ნუსხურით არის დაწერილი; ხოლო იამბიკოს *Jer.* 43-ში ლექსის ფორმა აქვს. ორივე ტექსტი, როგორც აღვნიშნეთ, კრებულის დასაწყისში, საკითხავების წინ არის მოთავსებული და მათგან გამოყოფილი. გრიგოლისეული კრებულისაგან განსხვავებით, A-52-ში სქოლიოც და იამბიკოც გაბმული ტექსტის სახით არის ჩართული უშუალოდ გრიგოლის საკითხავებს შორის. A-52-ში არ არის დაცული არც გრიგოლის საკითხავების ტრადიციული რიგი. როგორც ცნობილია, გრიგოლის 16 საკითხავის ეფრემისეული კრებული შობის ლიტურგიკულ ციკლს მისდევს; მის შემცველ ხელნაწერებში დასტურდება საკითხავთა სტაბილური თანამიმდევრობა, რომელიც მე-19 და 38-ე საკითხავებით იწყება და რომელშიც პირველ საკითხავს მე-12 ადგილი უჭირავს; A-52-ში გრიგოლისეული ნაწილი კი იწყება პირველი საკითხავით, რომელიც ბოლონაკლულია; მას მოსდევს მე-19 და 38-ე საკითხავები.

რაც შეეხება მაქსიმესეულ ტექსტებს: აღსანიშნავია, რომ A-52-ში წარმოდგენილი მაქსიმეს ხუთი ტექსტიდან (ოთხი *Ambiguorum liber*-იდან და ერთი ეპისტოლე) მხოლოდ ეპისტოლე (*ვითარმედ სვეიროს ...*) დასტურდება დღეისათვის ცნობილ გელათური თარგმანების შემცველ ხელნაწერში (გელ. 14). ცალკე საკითხია 155v-164v-ს აშიებზე წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც, სავარაუდოდ, მაქსიმეს *Quaestiones ad Thalassium*-ის ქართული თარგმანი უნდა იყოს. ეს თხზულება ქართულად ორჯერ არის ნათარგმნი – X საუკუნის ბოლოს ექვთიმე ათონელის მიერ და XII საუკუნეში გელათელი მთარგმნელის მიერ (ეს უკანასკნელი დაცულია ხელნაწერში გელ.-14). ძნელი სათქმელია, ამ ორიდან რომელია A-52-ის აშიებზე მოთავსებული ტექსტი; უფრო მოსალოდნელი გელათურია, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ეს იყოს სხვა, ამ ორი თარგმანისაგან განსხვავებული ტექსტი. რაც შეეხება მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem*-ისა და *Ambigua ad Thomam*-ის ნაწილებს, ისინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ A-52-ით არის ჩვენამდე მოღწეული. შესაბამისად, მაქსიმესეული ტექსტები A-52-ში გადანერვილია დღეისათვის დაკარგული, ჩვენთვის უცნობი ხელნაწერიდან, რომელიც შესაძლოა, ამ თხზულებას სრული სახით შეიცავდა.

ხელნაწერში მაქსიმესელი ნაწილი, ისევე როგორც გრიგოლისეული, არ ტოვებს მონესრიგებულს, ორგანიზებული სახით წარმოდგენილი ტექსტების შთაბეჭდილებას. ნაკვეთი *Ambigua ad Thomam*-იდან თავნაკლულია და მექანიკურად ებმის ანონიმურ ტექსტს. *Ambigua ad Iohannem*-ის ტექსტები – „ეპისტოლე იოანეს მიმართ“ და გრიგოლის მე-14 საკითხავის ორი კომენტარი (ეს უკანასკნელი, ბოლონაკლული) განყვეტილია მაქსიმეს ეპისტოლით მწვალეზლობის შესახებ (*ვითარმედ სევიროს ...*); მაქსიმეს ტექსტებს შორის მოქცეულია ასევე ანონიმური ტექსტი „შეისწავე განყოფილება წვალეზათა“. ამ სახის „შეისწავეები“, როგორც წესი, ქართველ მწიგნობრებს ეკუთვნის და წარმოდგენილია ხოლმე არა ხელნაწერის ცენტრალურ ნაწილში, როგორც ეს A-52-შია, არამედ აშიაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ განსაკუთრებული შინაარსობრივი ერთიანობა, ერთი მხრივ, კრებულის ძირითად ტექსტსა და კრებულის ბოლო ნაწილებს შორის, მეორე მხრივ, თავად ბოლო ნაწილში – მაქსიმესა და გრიგოლის თხზულებებს შორის, არ ჩანს. მართალია, მაქსიმე აღმსარებლის *Ambiguorum liber* გრიგოლის თხზულებათა კომენტარებს წარმოადგენს, მაგრამ A-52-ში წარმოდგენილია გრიგოლის მე-14 საკითხავის მაქსიმეს კომენტარი, ხოლო კრებულში გრიგოლის 1-ლი, მე-19 და 38-ე საკითხავებია დაცული; იმ რამდენიმე ფრაზის მიხედვით, რომელთა ამოკითხვაც ხერხდება ხელნაწერის ბოლო ნაწილის აშიებიდან, ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არის არც გრიგოლის თხზულებები და აშიებზე მოთავსებული ტექსტი – მაქსიმეს *Quaestiones ad Thalassium* – წმინდა წერილის განმარტებები.

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამგვარი სტრუქტურის კრებული ბერძნულ ნიადაგზე ყოფილიყო შედგენილი; გრიგოლისა და მაქსიმეს X-XIII საუკუნეების ბერძნული ხელნაწერები მონოგენურია და მათი თხზულებების შერევა, ფაქტობრივად, არ დასტურდება. შესაბამისად, A-52-ისთვის წყარო ქართული ხელნაწერი თუ ხელნაწერებია.

საფიქრელია, რომ A-52-ის შედგენისას გადამწერს ძირითადი ტექსტის – თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების კომენტარის“ – ხელნაწერთან ერთად, ხელთ ჰქონდა კიდევ ორი ქართული ხელნაწერი, რომლებიც შეიცავდნენ გრიგოლისა და მაქსიმეს თხზულებათა ქართულ თარგმანებს. ამათგან ერთი ხელნაწერი იყო გრიგოლის 16 ლიტურგიკული საკითხავის ეფრემ მცირის თარგმანების შემცველი კრებული, ხოლო მეორე – მაქსიმეს თხზულებების (მათ შორის – *Ambiguorum liberis*) შემცველი დღეისათვის უცნობი კრებული. A-52-ში ფრაგმენტულად,

ქოტურად წარმოდგენილი მასალის მიხედვით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ გადამწერს უნდა ესარგებლა გრიგოლისა და მაქსიმეს საკმაოდ ძველი, დაზიანებული, შესაძლოა, დაშლილი, გარკვეულწილად ფრაგმენტული ხელნაწერებით (ეს განსაკუთრებით მაქსიმეს ხელნაწერზე შეიძლება ითქვას); სწორედ მათი ფრაგმენტებისა და ნაწილების გადარჩენა-შენარჩუნების მიზნით, A-52-ის გადამწერმა მათ თავი მოუყარა მის მიერ გადამწერილ თეოფილაქტეს „იოანეს სახარების განმარტების“ ხელნაწერის ბოლოს.

ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება: იკვეთება ერთი პალეოგრაფიული დეტალი, რითაც ხელნაწერში წარმოდგენილი უფრო ადრინდელი ტექსტები – გრიგოლისეული საკითხავების ეფრემისეული თარგმანები – განირჩევა A-52-ში დაცული უფრო გვიანდელი ტექსტებისაგან – გელათური თარგმანებისაგან. ვგულისხმობთ ამ ტექსტებში რთული სიტყვების – კომპოზიტების – წარმოდგენის განსხვავებულ ფორმებს. კერძოდ, A-52-ის ეფრემისეულ ტექსტებში კომპოზიტები გრაფიკულად სამი ნიშნით არის აღნიშნული: რკალი (⸗), ასოს მოკვეცის ნიშანი (´) (იმ შემთხვევაში, თუ კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი იკვეცს ემფატიკურ -ა-ს) და მკვეთრი მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე (˘). გელათურ ტექსტებში კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები მხოლოდ რკალით ან ორმაგი რკალით არის გაერთიანებული, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილის ბოლოს -ა მოკვეცილია.

კომპოზიტის სამი ტექნიკური ნიშნით გამოსახვა უშუალო კავშირშია ეფრემისეული თარგმანების შემცველ და, ზოგადად, შავ მთაზე გადამწერილ ხელნაწერთან. გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ლიტურგიკული სიტყვის ეფრემისეული თარგმანის შემცველ ხელნაწერებში დასტურდება ეფრემის სქოლიო სიტყვათა კომპოზიტად ქცევის (*შედგმის*) შესახებ. ამ სქოლიოს მიხედვით, სიტყვათა *შედგმის ჯელოვნება* ტექსტში კომპოზიტის შემდეგი ნიშნებით წარმოდგენას გულისხმობს: ორი სიტყვის შემაერთებელი რკალი – *სკნებმა* (⸗), ასოს მოკვეცის ნიშანი – *იოტა* (´) და მახვილი (˘) – *ოქსია*.¹³ ეფრემის სქოლიოში განხილულია სიტყვათა

¹³ მარგინალურ შენიშვნაში განხილული ნიშნები და მათი აღმნიშვნელი ტერმინები, ცხადია, ბერძნულიდან მომდინარეობს და კავშირშია ბერძნულ დიაკრიტიკულ ნიშანთა სისტემასთან. ამის შესახებ დეტალურად იხ. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, გვ. 150-165.

შედგმის ორი სახე: (1) კომპოზიტის პირველ კომპონენტს (*შენადგამს*) ბოლო ხმოვნის მოკვეცის ნიშნად ზევით უზის იოტა, ხოლო ქვეშ – შემაერთებელი ნიშანი, *სუნემბა*; (2) კომპოზიტის შემადგენელი კომპონენტები იოტას გარეშე, *სუნემბით* უკავშირდება ერთმანეთს, როდესაც ხმოვნის მოკვეცა არ ხდება.

მართლაც, ეფრემის თარგმანების შემცველ ხელნაწერებში სიტყვათა შედგმის ეს წესი მეტ-ნაკლებად თანამიმდევრულადაა გატარებული¹⁴ (ზოგ შემთხვევაში *შედგმულ* სიტყვას აკლია ხოლმე რომელიმე ნიშანი, უფრო ხშირად *ოქსია*). A-52-ის ეფრემისეულ ტექსტებში, შავი მთის ხელნაწერების მსგავსად, *სიტყვათა შედგმის* წესი სრულად, სამივე ნიშნის გამოყენებით არის გატარებული.

გელათური, როგორც მთარგმნელობითი, ისე ხელნაწერული ტრადიცია იცნობს სიტყვათა შედგმის ამ წესს, თუმცა გელათური წარმომავლობის ხელნაწერებში ამ ნიშანთა ხმარების წესი გამარტივებულია. უმეტესწილად დაკარგულია ხოლმე იოტა და *ოქსია*, ზოგჯერ იცვლება *სუნემბას* გრაფიკული მოხაზულობა – რკალი ორმაგდება, ან სამმაგდება.¹⁵ ასეთივე ვითარებაა A-52-ის გელათურ თარგმანებშიც.

¹⁴ ეფრემ მცირეს *სიტყვათა შედგმის* ხერხისათვის ყველაზე ხშირად მიუმართავს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების თარგმნისას. შედგმის ნიშნები გრიგოლის თხზულებათა კრებულებიდან იმ ხელნაწერებშია ყველზე დიდი რაოდენობით, რომლებშიც ნიშანთა განმარტებაა დაცული, კერძოდ, ესენია: *Jer. 13, Jer. 15, Jer. 43*; ნიშნები დასტურდება, ასევე, A-109-შიც. გრიგოლის საკითხავთა გარდა, ეს ნიშნები ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ თხზულებათა შემცველ არაერთ კრებულში ჩანს გამოყენებული. ესენია: S-1276 – ჰომილეთიკურ-აგიოგრაფიულ თხზულებათა კრებული, კერძოდ, მისი პირველი ნაწილი (XI საუკუნის ბოლო), რომლის რედაქტორად და ერთ-ერთ გადამწერად ეფრემ მცირეა მიჩნეული, იხ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი; ეს ნიშნები დასტურდება ასევე შემდეგ ხელნაწერებში: A-162 (XI ს., მეტაფრასული კრებული, შეიცავს ეფრემ მცირის თარგმანებს), S-384 (XI-XII სს., შეიცავს ეფრემ მცირის თარგმანებს), Q-1158 (XI ს., სამოციქულოს თარგმანება, რედაქტირებულია ეფრემ მცირის მიერ), ოთხმეზური, ერთი გრამატიკული ხასიათის შენიშვნის შესახებ, გვ. 105-117.

¹⁵ ამ სკოლის ხელნაწერების შესახებ იხ. იოანე სინელის “კლემაქსის” გელათური თარგმანის შემცველი ხელნაწერები - A-39, S-2568; ბეზარაშვილი, *გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიის ქართული ვერსია*, გვ. 117-122; ბეზარაშვილი, იოანე სინელის კლემაქსის უცნობი ქართული ვერსია, გვ. 129-154.

**კომპოზიციები ეფრემის
თარგმანებში**

შვდთ` მადლთა (157r),
არ` დაცარიელებადთაგან (162v),
მის` გარემოთაგან (162v),
ზეშთ` აღმავალი (162v),
ქუეყნის` ზედათა (164r),
ზესთ` ამათისა (163r).

**კომპოზიციები გელათურ
თარგმანებში**

ნილის` საზომი (5r),
თან` მედლესასნაულედ (34r)
თან` მეარსეობასა (34v), ზედ`
ეძიებენ (44r), თანმოქმედებდეს
(52r), თან` მონათესვეობაჲ (64v),
თან` დადვა (103r), არ` მცირედ
(106v), მამის` მითხოილი (140v),
თან` მეზუნებობისა (151r),
ზეშთ` ბუნებისაებრი (152v),
თან` შერწყუმისა (152v).

ამგვარად, ეფრემისეულ ტექსტებს A-52-ში შენარჩუნებული აქვთ ის სახე, რომელიც მათ ჰქონდათ იმ ხელნაწერში, საიდანაც ისინი გადმოიწერა. ჩანს, შედარებით ადრეული თარგმანების გადანერისას, გადამწერი ცდილობდა დაეცვა ის წესები, რომლებიც წარმოდგენილი იყო დედანში.

დაბოლოს, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელნაწერის აშიაზე წარმოდგენილი ტექსტი ძირითადი ტექსტის კომენტარს წარმოადგენს, ხოლო გელათურსა და ეფრემისეულ თარგმანებს აშიაზე (155v-164r) ახლავს ტექსტი, რომელსაც მათთან შინაარსობრივი კავშირი არა აქვს. მაშ, რატომ მოათავსა A-52-ში გადამწერმა ამგვარი ტექსტი – მაქსიმეს *Quaestiones ad Thalassium* – ხელნაწერის აშიაზე? თანაც იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მაქსიმეს ხელნაწერულ ტრადიციებში ეს თხზულება ყოველთვის ხელნაწერის ცენტრალურ ნაწილშია მოთავსებული, ეს მოვლენა რთული ასახსნელი ხდება, თუმცა ერთი ვარაუდი მაინც გაგვიჩნდა: გრიგოლის 16 საკითხავის ეფრემისეულ კრებულებში გრიგოლის ტექსტს აშეებზე ახლავს გრიგოლის საკითხავების X საუკუნის მნიგნობრის, ბასილი მინიმუსის კომენტარები, რომლებიც ქართულად ასევე ეფრემის მიერ არის ნათარგმნი. სრულიად მოსალოდნელია, რომ A-52-ის გადამწერს, გრიგოლის ეფრემისეული თარგმანების გადანერისას, ხელთ ჰქონოდა სწორედ გრიგოლის კომენტარებიანი ხელნაწერი, და თუ კი მისი მიზანი თავის ხელნაწერში გრიგოლის 16-სიტყვიანი კრებულის არქაული, ძველი სახის შენარჩუნება იყო, გრიგოლის საკითხავთა კომენტარების დაზიანების გამო (რაც სრულიად მოსალოდნელია

აშიაზე მოთავსებული ტექსტისათვის) მას ამ კომენტარების ნაცვლად, მათი ანალოგიით, გრიგოლის ტექსტებისათვის სხვა ტექსტი დაერთო აშიაზე. თავის მხრივ, ხელნაწერის აშიის გამოყენება მასალაზე განუღებულ ეკონომიასაც არ გამოორიცხავს. მართალია, ხელნაწერი გადანერილია ქალაქებზე, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენად დეფიციტური იყო, ან იყო თუ არა საერთოდ დეფიციტური იმ დროს და იმ გარემოში ქალაქი.

ასე გვესახება გელათელი მწიგნობრის – ბიბლიოფილისა და სიძველეთა მოყვარულის მიერ A-52-ის გადანერისას განუღებული სამუშაო.

თავი III

ათონური და გელათური თარგმანების თავისებურებებისათვის

მაქსიმე აღმსარებელი ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო რთული და მძიმე ენისა და სტილის მქონე ავტორადაა მიჩნეული. ჯერ კიდევ ბიზანტიელი მნიგნობრები იძლეოდნენ მაქსიმეს სტილის საკმაოდ მკაცრ შეფასებას: ჩახლართული წინადადებები, ინვერსიებით გატაცება, დაუხვეწავი, ზედმეტი სიტყვებით გადატვირთული ფრაზები; ავტორი, რომელიც არ ცდილობს გარკვევით გამოთქვას თავისი აზრები, არ ცდილობს დაატკბოს მკითხველის სმენა – ასე ახასიათებს ფოტიოსი მაქსიმეს თხზულების, *Ad Thalassium*-ის სტილს, თუმცა იქვე დასძენს, რომ მაქსიმეს ნაწერებში ყველგან გამოკრთის მისი ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა და ქრისტეს სიყვარული.¹ ანა კომნენეს აზრით, მაქსიმეს განყენებულ აზროვნებას და სიღრმეს გაშმაგებამდე შეუძლია მიიყვანოს მკითხველი. კაპადოკიელი მამებისაგან განსხვავებით, მაქსიმე სრულიად გულგრილია სიტყვის, ლიტერატურული ფორმის მიმართ. იგი თითქოს მხოლოდ თავის თავს ესაუბრება, არ ცდილობს, თავისი აზრი გასაგები გახადოს სხვებისათვის. ანტიკური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი ცოცხალი საუბრის ინტონაცია, რომელიც მსმენელს გულისხმობს და რომელიც ჯერ კიდევ ცოცხლობს პატრისტიკაში, მაქსიმესთან შეცვლილია განდევნილის ინტონაციით, რომელსაც მხოლოდ მეორე განდევნილი თუ გაუგებს.²

მაქსიმეს თხზულებათა თანამედროვე მკვლევრები მიიჩნევენ, რომ მაქსიმეს თხზულებათა კრიტიკული გამოცემა – გარკვეული დეტალების შესწორება, პუნქტუაციის შეტანა, კრიტიკული აპარატის დართვა – შედარებით ნათელს გახდის ამ ავტორის ტექსტებს მკითხველისათვის,

¹ *Bibliothecae Codices* 192, PG 103 645 B-C.

² Аверинцев, Философия VIII-XII вв., с. 38.

თუმცა ისინიც მთლიანად ვერ უარყოფენ მაქსიმეს პროზის განსაკუთრებულ სირთულეს.³ აღსანიშნავია, რომ მაქსიმეს სტილის სირთულეს განაპირობებს მისი აზროვნების სპეციფიკა – მუდამ დაძაბული, დამუხტული, კონცენტრირებული აზრი, რომელშიც ჭვრეტა მეტია, ვიდრე დასკვნები.⁴

მაქსიმეს *Ambigua*, ისევე როგორც მაქსიმეს თხზულებათა უმეტესობა, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სიღრმით, საკმაოდ კომპლექსური სტილით, შესაბამისად, რთული სინტაქსითა და ტერმინოლოგიით გამორჩეული ტექსტია. ექვთიმე ათონელი მისთვის ჩვეულ თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდს – *კლება-მატებას* – მიმართავს *Ambigua*-ს იმ ნაწილების თარგმნისას, რომლებიც გრიგოლ ღვთისმეტყველის 38-ე საკითხავის „თარგმნებაშია“ ჩართული.⁵ *Ambigua*-ს გელათური თარგმანი კი გელათის მთარგმნელობითი სკოლისათვის დამახასიათებელი ზუს-

³ Laga, Maximus as a Stylist in Quaestiones ad Thalassium, p. 145.

⁴ Флоровский, Византийские Отцы V-VIII вв., с. 197.

⁵ ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის, „კლება-მატების“ შესახებ ეფრემ მცირე საუბრობს თავის კოლოფონებში. მაგ., იხ. რაფავა (გამოც.), *იოანე დამასკელი, დიალექტიკა*, გვ. 67. იხ. ასევე, კეკელიძე, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში; მისივე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში; ქურციკიძე (გამოც.), *ბასილი კესარიელის სწავლათა ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი*; მისივე, ისევე ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ; მისივე, გრიგოლ ღვთისმეტყველის 43-ე ჰომილიის ექვთიმესეული თარგმანის თავისებურება; მელიქიშვილი, რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე; Van Esbroek, Euthyme l’Hagiorite; გამყრელიძე, *ოთხმეზური (გამოც.), ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული თარგმანები*; ბეზარაშვილი, მაჭავარიანი, გრიგოლ ღვთისმეტყველის II და III ჰომილიები; ბეზარაშვილი, ისევე ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან, გვ. 133-148; მისივე, დიდი კომპოზიციური ცვლილებების ახალი ნიმუშები, გვ. 207; მისივე, დინამიკური ეკვივალენტის ტიპის თარგმანის მახასიათებლები, გვ. 269-324; Otkhmezuri (ed.), *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*; *ოთხმეზური, მაქსიმე აღმსარებლის Ambigua ad Iohannem ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*; ხოფერია, *მაქსიმე აღმსარებლის „პიროსთან სიტყვისგების“ ძველი ქართული თარგმანი*; Otkhmezuri, Euthymius the Athonite and Commentaries on Gregory of Nazianzus’ Writings, p.183-194; კობიაშვილი, ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი; ჩიკვატია, ჭყონია (გამოც.), *წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი*; ზვიადაძე (გამოც.), *წმ. გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათვის და საღმრთოჲსა მოქალაქობისა და სხვ.*

ტი, სიტყვასიტყვითი (ლიტერალური) მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული.⁶

მართალია, ჩვენამდე *Ambigua*-ს ტექსტის განსხვავებული ნაწილების ექვთიმესეული და გელათური თარგმანებია მოღწეული, მაგრამ მაინც შესაძლებლად გვესახება, ერთმანეთის პარალელურად განვიხილოთ მათი შინაარსობრივი თუ ენობრივი მიმართება ბერძნულთან.

• **ქართული თარგმანების შინაარსობრივი მიმართება ბერძნულთან**

Ambigua-ს ექვთიმესეულ თარგმანში უმცირეს სათარგმნ ერთეულად, უმეტეს შემთხვევაში, წინადადებაა აღებული; ცალკეული წინადადების მცირე გავრცობითა თუ შეკვეცით, რაც მაქსიმეს სტილის დახვეწასა და რთული სინტაქსური კონსტრუქციების ქართული წყობით გადმოტანას ემსახურება, მოცემულია წინადადების შინაარსობრივი თარგმანი. თუმცა დასტურდება გარკვეული შინაარსობრივი ცვლილებებიც, რომლებსაც ექსპოზიციური მიზანი აქვს – შედარებით დიდი მოცულობის მატება-გავრცობა, კლება, წინადადებისა თუ ფრაზის გამარტივება პარაფრაზის გზით, ან, ზოგ შემთხვევაში, განსხვავებული შინაარსით გადმოტანა.⁷ ეს

⁶ გელათურ მთარგმნელობით სკოლასთან დაკავშირებით იხ.: მელიქიშვილი, გელათური სკოლა და ქართული მეცნიერული ენის განვითარების საკითხები, გვ. 213-245; მისივე, გელათის სალიტერატურო სკოლა (XII ს.); მისივე, გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა (აკადემია), გვ. 5-25; მისივე, გელათური სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალობის საკითხისათვის, გვ. 65-73; მისივე, *ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან*; მისივე, შავი მთიდან გელათამდე, გვ. 566-569; მისივე, ტერმინოლოგიური სიტყვანარმოების ზოგადი პრინციპები და ფილოსოფიურ ტერმინთა სისტემატიზაცია გელათის სკოლაში, გვ. 189-216. *ქელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*; ხოფერია, *მაქსიმე აღმსარებლის „პიროსთან სიტყვსებების“ ძველი ქართული თარგმანები*; მისივე, თავისუფალ და ზუსტ თარგმანთა ზოგიერთი თავისებურებანი ერთი ტექსტის ორი ქართული თარგმანის მიხედვით, გვ. 117-138.

⁷ ქართული ტექსტის ყველანაირი ცვლილება ბერძნულთან მიმართებით ასახულია სამეცნიერო აპარატში, რომელიც ერთვის *თარგმანების კრიტიკულად დადგენილ ტექსტს: Sancti Gregorii Nazianzeni opera. Versio Iberica, III*; იხ. ასევე, აქვე, გვ. 176-186.

ძირითადად ის ხერხებია, რომლებიც ექვთიმეს თარგმანების შესწავლის შედეგად არის გამოვლენილი მკვლევართა მიერ.⁸

ექვთიმესეული შინაარსობრივი ჩანართები ძირითადად თეოლოგიური ხასიათისაა. ისინი განმარტებით ფუნქციას ასრულებენ ქართულ თარგმანში:

- Qeou` (1284 A 6) – ღმერთი, *add.* რომელ-იგი არს მიზეზი ყოველთა არსთაჲ (21, l. 51).

- ton Qeon (1289 B 12) – ღმერთი ... *add.* ხატად თვსად შექმნითა (91, l. 6).

- pl hqunesqai (1289 B 2) – განმრავლდების *add.* და იგი თავადი მარადის შეუცვალებელად ერთ არს (52, l. 28-29).

ექვთიმე თარგმანში სიცხადის შეტანის მიზნით მიმართავს აზრის ვარიაციას – ერთი აზრის ორჯერ, სხვადასხვა ფორმით გამოთქმის ხერხს. ექვთიმე ჯერ თარგმნის მაქსიმეს ფრაზას, ხოლო შემდეგ იმავე აზრს, რაც ნათარგმნ ფრაზაშია, იმეორებს განსხვავებული ფორმით, ახლა უკვე თავისი სიტყვებით:

- twñ gennhtikwñ kleiqrwn th~ tekoush~ mh; ajoigentwn (1276 B 2) – საკრველნიმცა იგი შობისა მშობლისანი არა განიწსნნეს, *add.* არცა ბჭენიცა ქალწულებისანი განეხუნეს (20, l. 19).

- ol Qeo~ oupe; potev ti uparcwn ginwsketai (1288 B2) – არა საცნაურ არს ღმერთი, *add.* არცა იცნობების, თუ რაჲ არს (43, l. 4-5).

ექვთიმესთან ვხვდებით, ასევე, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ტერმინთა განმარტებებს:

- to; aqenhton (1288 B 9) *add.* „დაუბადებელობაჲ“ სახელი არს ღმრთისაჲ ... *add.* რამეთუ არა დაბადებულ არს (43, l.10-12)

- to; aqarcon (1288 B 10) *add.* „დაუსაბამოებაჲ“ სახელი არს მისი, *add.* რამეთუ არა აქუს დასაბამი (43, l. 12-13).

- to; aqeirown (1288 B 10) *add.* „დაუსაბამოებაჲ“ სახელი არს მისი, *add.* რამეთუ არა ეგების მისდა მიწთომაჲ (43, l. 13-14).

⁸ ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა იხ. აქვე, გვ. 50, სქ. 88.

- *ajswmaton* (1288 B 10) *add.* „უწორცობა“, *add.* რამეთუ ჯორც არა ასხენ (43, *l.* 14).

ექვთიმესთან თავს იჩენს მაქსიმეს ფრაზაში კუთვნილებითი ნაცვალსახელების ჩართვის შემთხვევები, რაც აზრის დაზუსტებას, დაკონკრეტებას უწყობს ხელს. ექვთიმესთან დასტურდება ნაცვალსახელთა ჩართვის ათზე მეტი შემთხვევა, მაგალითად:

- *poieitai thn eufesin* (1277 B 12) – იქმს პოვნასა *add.* მისსა (20, *l.* 78).

- *mhden to; parapan ajloiouhte~ th~ fusew~* (1280 D 7-8) – და არარაჲ შევიცვალთ ყოვლითურთ ბუნებისაგან *add.* ჩუენისა (20, *l.* 148).

- *epanagontwn th~ yuch~* (1292 B 11-12) – მოაქცინენ სულნი *add.* მათნი (95, *l.* 28).

თარგმანში წარმოდგენილია ამა თუ იმ ბერძნული სიტყვის ალტერნატიული მნიშვნელობებით – სინონიმური წყვილით – გადმოტანის არაერთი მაგალითი, რაც ექვთიმეს მთარგმნელობითი პრაქტიკისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ნიშანდობლივია, რომ სინონიმური წყვილი, რომლის საშუალებითაც არის ხოლმე გადმოტანილი ერთი ენიდან მეორეზე ესა თუ ის პოლისემიური სიტყვა, ამომწურავად და ზუსტად გადმოსცემს მის მნიშვნელობებს, ანუ სინონიმური წყვილი სიტყვის გარკვეული განმარტებაა; ჩვენ შემთხვევაში ალტერნატიული თარგმანი მაქსიმეს ტექსტის სტილისტური დახვეწის საშუალებად არის ქცეული. ალტერნატიული თარგმანის მეშვეობით მაქსიმეს მძიმე წინადადება ქართულში, ბერძნულთან შედარებით, უფრო გაშლილი, მსუბუქი და დინამიურია.

- *lambanonto~* – მიიღოს და შეინანევროს
- *kaqaran* – წმიდა და უცოდველ
- *ajreyia~* – შეუცვალეხელად და მიუდრეკელად
- *ajrepton* – მიუდრეკელად და შეუცვალეხელად
- *afanisaai* – აღვოცად და უჩინო-ყოფად
- *diafqeiretai* – იტანჯვის და მოკუდების

ექვთიმესთან ვხვდებით ტექსტის ბიბლიიდან მოყვანილი ციტატებით გამდიდრების, ბიბლიის დამონმების ჩამატების რამდენიმე ნიმუშსაც, რომლებიც მეტ სიცხადეს სძენს კონტექსტს. ესეც ექვთიმეს თარგმანებში ხშირად დადასტურებული მოვლენაა:

- უკუეთუ მცნებანი მისნი დავიცვნეთ, ვითარცა თავადი ითხოვდა მამისაგან, ვითარმედ: „მნებავს, რაათა სადაცა მე ვიყო, ესენიცა იყვნენ“ [Ioh. 17, 24] (20, l. 140-142).

- და უფროჲსად სუფევდა ვეშაპი იგი, რომელსა აქუს ძალი თვისი უპესა ზედა, სიტყჳსა მისებრ წერილისა [Job. 40, 11] (101, l. 66).

ექვთიმეს თარგმანში დასტურდება დიდაქტიკური ხასიათის ჩანართიც, რომელიც ასევე დამახასიათებელია ექვთიმესეული თარგმანებისათვის. ეს პასაჟი ორგანულად არის ჩასმული მაქსიმეს ტექსტში, რის საშუალებასაც ექვთიმეს თავად მაქსიმეს ტექსტის მოცემული პასაჟის თემა და ინტონაცია აძლევს, რომელიც ასევე დიდაქტიკურ სტილშია შესრულებული:

- suntribente~ (1292 D 7) *add.* არამედ ისწრაფეთ, რაათა მოაქციოთ თქუენდავე სათნოებისა იგი კიდობანი და ესრეთ მხიარულნი იმღერდეთ წინაშე მისსა, ესე იგი არს, ჰმადლობდით ღმერთსა საქმესა მას ზედა (95, l. 53-55).

რაც შეეხება მცირე კლებას: ექვთიმეს თარგმანში მაქსიმეს გრძელი, ჩახლართული წინადადებები განტვირთულია ისეთი სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებებისაგან, რომელთა წინადადებიდან ამოღება ძირითად აზრს არ ცვლის. მაგალითად, ექვთიმეს თარგმანში შეინიშნება ზმნისზედების გამოტოვების ოცამდე შემთხვევა: pantelw~, pampan, pantw~, eġarmoniw~, pantelw~, iġrw~, aġal ogw~, kalw~, sof w~, stocastikw~, deontw~, pistw~, euġseb~ და სხვ.

ექვთიმეს თარგმანში ყურადღებას იმსახურებს პასაჟი, რომლის შესატყვის მაქსიმესულ ტექსტში საუბარია ღვთაების დახასიათების ორ მეთოდზე, კატაფატიკასა და აპოფატიკაზე. *Ambigua ad Iohannem*-ში („თარგმანების“ მიხედვით, 43-ე განმარტებაში) მაქსიმე განმარტავს შემდეგ პასაჟს გრიგოლის 38-ე საკითხავიდან: ouk eġ twñ kat j auġon aġl j eġ twñ peri; auġon – [ღმერთი შეიცნობა] არა თუ მსგავსებისაგან ბუნებისა მისისა, არამედ საქმეთაგან, რომელნი არიან გარემო მისა (ექვთიმეს თარგმანი). მაქსიმეს თეორიულ განსჯას ამ საკითხთან დაკავ-

შირებით ექვთიმე ანაცვლებს საილუსტრაციო მასალით, მაგალითების მოხმობით, რათა ქართველ მკითხველს მარტივად აუხსნას აპოფატურ-კატაფატური ანტითეზის არსი:

Enantiw~ ouh tai~ katafasesi kei-
menwn twh apofasewn, eplax ajl-
hrai~ peri; Qeon filikwh sumplex
kontai kai; ajlhwn antiparalam-
banontai: ouh ail men apofasei~
to; mhv ti eihai, ajlav ti mh; ei-
nai shmainousai to; Qeion, peri; tov
ti eihai to; touto mh; oi, ehountai
tai~ katafasesin, ail de; katafa-
sei~ to; monon oti est, tipote de;
toutov est mh; dhlouai, peri; tov
ti mh; eihai to; touto oi ehountai
tai~ apofasesi, pro~ men ajlh-
la~ deiknousai thv ej antiqesew-
ejantiothta, peri; de; ton Qeon
tw/ eij- ajlhla twh akrwn kata;
periptwsin tropw/ thv oikeyiothta
(1288 C 2-12).

რამეთუ რომელნიმე სახელნი მის-
ნი, ვითარმედ: „დამბადებელი“,
„სახიერი“, „კაცთმოყუარე“, „მსა-
ჯული“, „ყოვლისმპყრობელი“ და
ყოველნივე ესევითარნი მოას-
ნავებენ, ვითარმედ არს ღმერთი.
ხოლო თუ რაა არს, არა საცნაურ-
ჰყოფენ ბუნებასა მისსა. და კუალ-
ად მეორისა კერძისა სახელნი, ვი-
თარმედ: „დაუსაბამო“, „დაუბადე-
ბელი“, „უწოროცო“, „მიუნთომე-
ლი“, რაა არა არს, მას გკრუნებენ.
ხოლო ყოვლით კერძო, თუ რაა არს
ბუნებაა მისი, არასადათ საცნაურ
არს, არამედ გარემო მისა მყოფთა
საქმეთაგან და სახეთა, რაა არა
არს, მას ვისნავებთ, და ვითარმედ
არს ღმერთი ჭემმარიტად (43, l. 19-
28).

როგორც ვხედავთ, ექვთიმეს თარგმანში მაქსიმესთან დადასტურე-
ბული ტერმინების – katafasi--ისა და apofasi--ის შესატყვისებს ვერ
ვხვდებით, აქ აპოფატუკა-კატაფატუკა აღწერითი ფორმით არის მოწო-
დებული. ჩანს, ექვთიმეს თარგმანის შესრულების დროისათვის ქართულ
მთარგმნელობით ტრადიციაში ამ ცნებათა ქართული ტერმინოლოგიური
შესატყვისები ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული.⁹ ნი-
შანდობლივია, რომ გრიგოლის „შობის“ საკითხავის ამ პასაჟის ბასილი
მინიმუსის კომენტარის ეფრემ მცირისეულ თარგმანში უკვე დასტურ-

⁹ ნა(რ)თქუმა დასტურდება ბიბლიის წიგნთა ადრეულ თარგმანებში, მაგრამ
მას არა აქვს აპოფატუკის, როგორც ღმერთის დახასიათების მეთოდის, მნი-
შვნელობა, იხ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 533.

დება *katafasi*--ისა და *apofasi*--ის შესატყვისი ქართული ტერმინები: *ნათქუმა* და *უკუთქუმა*, ასევე *ნაიტყვს* და *უკუიტყვს*.¹⁰

აპოფატურ-კატაფატური ანტითეზა წარმოდგენილია *Ad Thomam*-ის გელათურ თარგმანშიც. *apofas-* ფუძიდან ნაწარმოები ტერმინები *apofasi-* და *apofaskomeno-* ქართულად გადმოტანილია, როგორც *უკუთქუმა* და *უკუთქუმული*; გელათელი მთარგმნელისათვის ცნობილია ამ ტერმინის სხვა ქართული შესატყვისიც – *განჩინება*. რაც შეეხება *katafasi*--ს, ის გადმოტანილია ორგვარად, როგორც *ნათქუმა* / *ნათქუმული* და *დათქუმა* / *დათქუმული*. აპოფატურ-კატაფატური ანტითეზის წარმოდგენილი ტერმინებით გადმოტანა საზოგადოდ გელათური სკოლის თარგმანების მახასიათებელია.¹¹

მაქსიმეს კომენტარის ექვთიმესეულ თარგმანში დასტურდება, აგრეთვე, საკმაოდ მსხვილი მონაკვეთების ჩართვისა და გამოტოვების შემთხვევები. ქართულად არ არის გადმოტანილი მაქსიმეს ტექსტის საკმაოდ დიდი ნაწილები „თარგმნების“ 91-ე და 95-ე განმარტებებში. ქართული თარგმანის 21-ე განმარტების დასაწყისში კი ვხვდებით მოზრდილ ჩანართს, რომელიც წარმოადგენს ფრაგმენტს გრიგოლის 38-ე საკითხავის შესაბამისი პასაჟის ბასილი მინიმუსის კომენტარიდან.¹²

ამგვარად, ექვთიმეს თარგმანი მაქსიმეს ტექსტის მეტ-ნაკლებად მთარგმნელისეული გააზრებაა, რაც თავად ექვთიმეს მიერ ექსპლიციტურადაც არის გამოხატული ორ ჩანართში:

- ესე არს ძალი ამის სიტყვსაჲ, ვითარცა მე ძალისაებრ ჩემისა გულისწმა-ყვაჲ (20, l. 167-168).
- ვითარ მე ვჰგონებ (52, l. 5).

შესაბამისად, ტექსტიდან უმეტესად ამოღებულია ის სიტყვები და ფრაზები, რომლებშიც მაქსიმეს პიროვნული მიმართება ჩანს ტექსტის მიმართ: *wl oiimai, fhmiy legw de, malista moi, moi y legw* და *მისთ*.

¹⁰ 38-ე საკითხავის ბასილი მინიმუსის კომენტარის 54-ე განმარტება: და ამას უკუ-იტყვს, ვითარმედ: არა ჴორც არს, ხოლო ამას ნა-იტყვს, ვითარმედ: რაჲცა-იგი არს, უეჭუელად არს. რამეთუ რაჲ არა არს, თქუა, ხოლო რაჲ-იგი არს, ესე ვერღარა თქუა. გარნა ამით ხოლო ნათქუმაცა ყო და უკუთქუმაცა, ვითარმედ ჴორც არა არს. ხოლო რაჲცა-იგი არს, უეჭუელად არს (პასაჟი განმარტებიდან, მთლიანი ტექსტი გამოცემული არ არის).

¹¹ ჭელიძე, ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, გვ. 646-648.

¹² ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 48.

ექვთიმეს თარგმანში ვხვდებით ორ ისეთ ლექსიკურ ერთეულს, რომელთა შესატყვისი დღეისათვის ცნობილ ბერძნულ ტექსტში არ დასტურდება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ისინი იყო იმ ბერძნულ ხელნაწერში, რომელიც ხელთ ჰქონდა ექვთიმეს მასიმიეს ტექსტის თარგმნისას. 21-ე განმარტებაში ჩამოთვლილია ამქვეყნიური სიკეთენი, რომლებსაც მეფენი ანიჭებენ პატივის ნიშნად თავიანთ ქვეშევრდომებს: *რომელსამე პატივსა აქუს მიღებაჲ წრმლისაჲ და სხუასა – მანიაკისაჲ, გინათუ კოდიკელთაჲ*. დღეისათვის ცნობილ ბერძნულ ტექსტში და *სხუასა – მანიაკისაჲ* არ დასტურდება. ნაკლებადაა საფიქრელი, ექვთიმეს საკუთარი ინიციატივით ჩაერთო ბერძნულენოვანი ლექსიკური ერთეული და საერთოდაც ამ სახის დამატებითი ინფორმაცია ტექსტში. ბერძნული ვარიანტული ნაკითხვით უნდა იყოს, ვფიქრობთ, განპირობებული ლექსიკური ერთეულის *μυχαμῖς*-ის (*საშუალებით, ხრიკებით, მაქინაციით*) თარგმანი *ბრძოლასა შინა*. როგორც ჩანს, ექვთიმესეული თარგმანის ბერძნულ დედანში აქ იყო *μαχ-* ძირიდან ნაწარმოები სიტყვა (*μαχῖ, μάχιμα – ბრძოლა, ვიბრძვი*), რის შედეგადაც ქართულ თარგმანში *μυχαμῖς*-ის შესატყვისად გაჩნდა *ბრძოლასა შინა* (101, l. 38-39).

Ambigua-ს გელათური თარგმანი შინაარსობრივად ზედმიწევნით, თითქმის სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს. უმცირესი სათარგმნი ერთეული აქ სიტყვაა, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია ლიტერალური თარგმანებისათვის. ცვლილებები, რომლებიც ქართულ თარგმანში ბერძნულთან მიმართებით იჩენს თავს, მაგალითად, ფრაზათა გადანაცვლება თუ განსხვავებული ლექსიკური ერთეულის გაჩენა, იმ ბერძნული დედნიდან უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ხელთ ჰქონდა გელათელ მთარგმნელს.¹³ დასტურდება ასევე რამდენიმე ბერძნული ფრაზის გამოტოვების შემთხვევა, რაც ასევე ბერძნული წყაროს სპეციფიკით, თუ მექანიკური გამოტოვებით უნდა აიხსნას ქართველი მთარგმნელის ხელთ არსებულ ბერძნულ დედანსა თუ ქართულ ხელნაწერში.

ყურადღებას იპყრობს რამდენიმე სიტყვის თავზე ხელნაწერის გადამწერის ხელით დაწერილი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მათ სინონიმურ წყვილებს წარმოადგენენ:

განჩინებაჲ (*apofasi~*) – უკუთქუმაჲ (151r, l. 24)

პერიფრასი (*perifراسი~*) – გა[რე]თქ(უ)მ(ა)ჲ (152r, l. 10)

მთარგმანებელადცა (*exhght hჟ*) – გამომეძიე[ბელი] (153v, l. 9)

¹³ მაგალითები იხ. გელათური თარგმანის სამეცნიერო აპატარში.

როგორც ცნობილია, ბიზანტიური ხელნაწერი წიგნის აშიაზე ტექსტის ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის გასწვრივ მისი სინონიმური წყვილის წარმოდგენა არცთუ იშვიათი მოვლენაა. ზოგ შემთხვევაში ეს გადამწერ-რედაქტორის მიერ სხვა ხელნაწერიდან გადმოტანილი განსხვავებული ვარიანტული ნაკითხვაა ხოლმე, რომელიც სპეციფიკური ნიშნით † არის დანიშნული. აშიაზე განსხვავებული, სქოლიოს აღმნიშვნელი ნიშნებით (ჰ † ◊ ∞ ⊖ “ და მისთ.) წარმოდგენილია ხოლმე ის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც ახსნა-განმარტებითი დანიშნულება აქვს. მაგალითად, ამ ტიპის სინონიმური წყვილები დასტურდება ბასილი დიდის თხზულებათა შემცველ X საუკუნის ბერძნულ ხელნაწერში – *NCM-Gr.* 33/48;¹⁴ ბასილის არქაული (ატიკური) ლექსიკური ერთეულების გასწვრივ, აშიებზე, მათი ბიზანტიური ბერძნული სინონიმებია წარმოდგენილი; განმარტებითი ფუნქციის ამ სიტყვებს სასწავლო-საგანმანათლებლო დანიშნულება, ზოგჯერ კი ლექსიკური სავარჯიშოების მიზანიც აქვს.¹⁵ ნიშანდობლივია, რომ ბერძნულ მწიგნობრულ ტრადიციაში დადასტურებული ეს მოვლენა თავს იჩენს ქართულ ხელნაწერებშიც, კერძოდ, გელათური წარმომავლობის კრებულებში, რომლებიც სწორედ თავიანთი სასწავლო-საგანმანათლებლო ხასიათით გამოირჩევიან. მაგალითად, ამგვარ სინონიმურ წყვილებს ვხვდებით A-52-ის ძირითადი ტექსტის, თეოფილაქტეს „იოანეს სახარების განმარტების“ აშიებზე: *ირწმუნე / ისწავე* (98r), *განმკუთეთელი / განმწუალებელი* (149r) და სხვ. ასევე იოანე სინელის „კლემაქსის“ პეტრე გელათელისეული თარგმანის აშიებზე (A-39) სხვადასხვა ტიპის მარგინალურ შენიშვნებთან ერთად დასტურდება სინონიმური წყვილებიც, მაგალითად: *განვნათლდეთ, ესე იგი არს, მეცნიერ ვიქმნნეთ* (147r), *ნუ აღიღებვი – ესე იგი არს, ნუ აღჰზუავენები* (189v), *ჟამ ერთ – ესე იგი არს მცირედ ჟამ* (203v), *გამოთხოად ჯმნასა იტყვს* (209v) და სხვ. ჩვენს ხელნაწერში, მართალია, ტექსტის ლექსიკური ერთეულების სინონიმური წყვილები აშიებზე არ არის მოთავსებული, მაგრამ, ვფიქრობთ, ისინიც განმარტებით ფუნქციას ასრულებენ, ან, შესაძლოა, ლექსიკური სავარჯიშოს თუ ძიების ნიმუშებს წარმოადგენენ.

აποφ asi- მაქსიმეს ტექსტში ხუთჯერ არის გამოყენებული, რომელიც გელათურ თარგმანში ოთხჯერ ეტიმოლოგიურად (სიტყვის თარგმნა მისი

¹⁴ დაცულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (*NCM*) ბერძნული ხელნაწერების კოლექციაში; აღწერილია ე. გრანსტრემის მიერ, Гранстром, Греческие рукописи Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, გვ. 191-194.

¹⁵ Bezarashvili, Otkhmezuri, Education and Scholarship in Byzantium, p. 220-237.

შემადგენელი ნაწილების, ამ შემთხვევაში – წინდებულისა და სიტყვის ძირის მნიშვნელობით)¹⁶ არის გადმოტანილი – უკუ-თქუმა (apof asi~), ხოლო ერთხელ – ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში უკვე დამკვიდრებული ტერმინით – განჩინება.¹⁷ სწორედ მის თავზე, ვფიქრობთ, ლექსიკური გაერთმინებელიანების მიზნით, ან უბრალოდ, სასწავლო დანიშნულებით, წერია მისი სინონიმური ფორმა უკუთქუმა. რაც შეეხება სინონიმურ წყვილს eḫght h* – მთარგმანებელი / გამომედიე[ბელი], აქაც ტექსტში წარმოდგენილი მთარგმანებელი ქართული მნიგნობრული ტრადიციისათვის კარგად ცნობილი ლექსიკური ერთეულია, ხოლო გამო-მედიე[ბელი] ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგიური თარგმანია (eḫght h* – ბერძნული ზმნიდან eḫ-hgeōmai). დაბოლოს, საყურადღებოა perifrasi~ – პერიფრასი – ტრანსლიტერაციით, უთარგმნელად გადმოტანილი ბერძნული ლექსიკური ერთეული, რომელსაც თავზე აწერია ქართული შესატყვისი, კერძოდ, მისი ეტიმოლოგიური თარგმანი – გა[რე]-თქ(უ)მ(ა)ე (perif rasi~). ამგვარად, ტექსტში წარმოდგენილ ლექსიკურ ერთეულთა პარალელურ ეტიმოლოგიურ თარგმანს, ვფიქრობთ, მიზანმიმართული, სავარაუდოდ, სასწავლო დანიშნულება უნდა ჰქონდეს ტერმინთა თარგმნისა და წარმოების სფეროში.

ყურადღებას იპყრობს ერთადერთი მარგინალური შენიშვნა, რომელშიც განმარტებულია ძირითად ტექსტში უთარგმნელად გადმოტანილი ტერმინული მნიშვნელობის ბერძნული ლექსიკური ერთეული – drastiko* [1060 B 2] – დრასტიკი¹⁸ – თვითმოქმედი, თვითმოძრავი.¹⁹ მარგინალურ შენიშვნაში მოცემულია შემდეგი განმარტება: „დრასტიკ[ოდ] იგი ითქუმის რ(ომელ)ი თვთ თ[ვს] შ(ორი)ს [...] (153r). drastiko*-ის შესატყვისი ქართულ ფილოსოფიურ ტექსტებში არის მყოფობითი, ყოფითი, თვთქმნითი, მაქმნეველი (ეფრემ მცირე), საქმიერი, საქმითი (არსენ

¹⁶ ტერმინი „ეტიმოლოგია“ ამ მნიშვნელობით გამოყენებულია მთარგმნელობით მეთოდსა და პრაქტიკაზე არსებულ ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში, Brock, Aspects of Translation Technique in Antiquity, p. 84-86; ოთხმეზური, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარების ისტორიიდან, გვ. 58.

¹⁷ „განჩინება“ apof asi~-ის შესატყვისად დასტურდება იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში, იხ. მელიქიშვილი, ხარანაული (გამოც.), ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი, I, გვ. 83.

¹⁸ იხ. აქვე, Ad. Th. I. 149.

¹⁹ განმარტება მოგვყავს ს. გორგაძის გამოცემიდან: გორგაძე (გამოც.), ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა.

იყალთოელი), *საქმიერობითი* (გელათური თარგმანები).²⁰ drastikov – დრასტიკოჲ ფორმით, მოქმედის პარალელურად, დასტურდება ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისას“ პეტრინისეულ თარგმანში,²¹ სადაც მოცემულია ამ ტერმინის განმარტებაც: *დრასტიკოდ უკუე ითქუმის, რომელი თჳს-შორის მიდრკებოდეს.*²² ამ განმარტებას უნდა ეხმაურებოდეს სწორედ A-52-ის აშიაზე წარმოდგენილი შენიშვნა.

ყურადრებას იმსახურებს ასევე მაქსიმეს ტექსტის ერთ-ერთი პასაჟის გასწვრივ, აშიაზე მოთავსებული მარგინალური ნიშანი: *განიგემე* (152r) (*დატკბი, ისიამოვნე*). ამ ნიშანს არცთუ იშვიათად ვხვდებით გელათურ ხელნაწერებში. ის ბერძნულ ხელნაწერებში ხშირად დადასტურებული მარგინალური ნიშნის *wraion*-ის ეკვივალენტია. შავი მთის წარმომავლობის ხელნაწერებში ამ ნიშნის შესატყვისია *შუენიერი*. შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში *შუენიერი*თ, ძირითადად, საკითხავთა ის პასაჟებია აღნიშნული, რომლებიც მხატვრულობით გამოირჩევა.²³ ჩვენს ხელნაწერში *განიგემე* ახლავს პასაჟს, რომელშიც მხატვრული ხერხია გამოყენებული:

– ან უკუთქუმასა საღმრთოთა და კაცობრივთა ურთიერთასმიმართისა განწვალებისასა შეერთებისა ნათქუმა-მყოფელი ბრძენი ბუნებითსა განყოფილებასა შეერთებულთასა არ უმეცარ იყო.²⁴

²⁰ ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, I, გვ. 643; მელიქიშვილი, ხარანაული (გამოც.), *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი*, II, გვ. 27.

²¹ გორგაძე (გამოც.), *ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისას*, გვ. 96; ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, I, გვ. 643-644; ეს განმარტება ნემესიოს ემესელის თხზულებიდან შესულია სულხან-საბას ლექსიკონში, იხ. აბულაძე (გამოც.), *სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული*, I, გვ. 224.

²² ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, I, გვ. 644.

²³ ამ მარგინალური ნიშნის ფუნქციის განმარტება მოცემულია VI საუკუნის ბერძნულ სქოლიოში, რომელიც ეფრემ მცირის მიერ არის ნათარგმნი: *Toi shmeion touto tetaktai to: wraion eji toi~ cwrioi~, eji oi~ h| fraxi~ kekallwpistai h| to: nohma ekhnqistai h| kai; ajnofotera uperairetai - სასწაული ესე „შუენიერისა“ განწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა მეტყუელებაჲ შეიმკვებოდის, ანუ გულისწმისსაყოფელობაჲ აღყუავენბოდეს, ანუ ორივე ზეშთა აღემატებოდის; ამ და სხვა მარგინალური ნიშნების შესახებ შუა საუკუნეების ბერძნულ და ქართულ ხელნაწერებში იხ. ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში*, გვ. 122-126.*

²⁴ იხ. აქვე, *Ad Th.*, I. 72-74.

ამ პასაჟში მაქსიმე და მის კვლად მთარგმნელიც დიდი ოსტატობით ოპერირებს ანტითეატური წყვილებით: უკუთქუმა – ნათქუმა, საღმრთო – კაცობრივი, განწვალება – შეერთება, განყოფილება – შეერთებული. სწორედ მარგინალური ნიშნით – განიგემე – მიპყრობილია ამ პასაჟისაკენ მკითხველის ყურადღება. ნიშანი, შესაძლოა, ბერძნული ხელნაწერიდან არის გადმოსული ქართულში wraion-ის შესატყვისად. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს ქართველი მთარგმნელისა თუ მნიგნობარი გადამწერის მინაწერი, რომლისთვისაც კარგად არის ცნობილი მისი დანიშნულება და რომელიც მისი საშუალებით გამოხატავს საკუთარ ემოციურ დამოკიდებულებას მაქსიმეს მხატვრული პასაჟის მიმართ.

• ქართული თარგმანების ენობრივი მიმართება ბერძნულთან

ექვთიმესეული თარგმანი შესრულებულია სადა, მწყობრი ენით. სიტყვათა რიგი წინადადებაში და მისი სტრუქტურა, უმეტესწილად, ძველი ქართული ენის ნორმებს ექვემდებარება; მაქსიმეს საკმაოდ კომპლექსური სინტაქსური პერიოდებისაგან აგებული პასაჟები ექვთიმეს ქართულისათვის დამახასიათებელი, ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციებით აქვს გადმოტანილი. გელათური თარგმანი ორიგინალის ენის საკმაოდ დიდ გავლენას განიცდის. ელინიზებულია ნათარგმნი ტექსტის სინტაქსი – თარგმანში ვხვდებით ბერძნულისათვის ბუნებრივ მიმღეობურ, უზმნო, ინფინიტიურ და პასიურ კონსტრუქციებს, თუმცა რიგ შემთხვევაში აშკარად შეინიშნება სინტაქსური კონსტრუქციების „გაქართულების“ ცდა, მაგალითად, მთარგმნელის მიერ ზოგ შემთხვევაში ბერძნული პასიური კონსტრუქცია ქართულისათვის ბუნებრივი აქტიური ფორმითაა გადმოტანილი, ასევე უშემასმენლო წინადადებაში ჩამატებულია ხოლმე ზმნა, უმეტესწილად – „ყოფნა“.²⁵

როგორც თავისუფალი და ზედმინვენითი თარგმანების შემთხვევაშია მოსალოდნელი, ექვთიმესა და გელათელი მნიგნობრის თარგმანებში მიდგომა მაქსიმე აღმსარებლის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ტერმინებისა და, ზოგადად, ლექსიკის მიმართ, სრულიად სხვადასხვაგვარია. ექვთიმესათვის ამოსავალია მოცემული კონტექსტის გათვალისწინებით ლექსიკურ ერთეულში ნაგულისხმები მნიშვნელობის გადმოცემა. ამისა-

²⁵ იხ. გელათური ტექსტის გამოცემის სამეცნიერო აპარატი.

თვის ექვთიმე ქართული ენის არსებულ ფონდში ეძებს შესატყვისებს, ან მიმართავს შესიტყვევებს, ხოლო გელათელი მთარგმნელი, როგორც საზოგადოდ გელათის სკოლის მწიგნობრები, შემოქმედებით მიდგომას ავლენს მაქსიმეს ტერმინული მნიშვნელობის მქონე სიტყვების გადმოცემისას, მაქსიმალურად იყენებს ქართული ენის შესაძლებლობებს ტერმინთა შესაბამისობების ძიებისას, უფრო ზუსტად, შექმნისას – მასთან „ქართული ტერმინები ... მათის საბადლო ბერძნული ტერმინების გეგმით არიან ნაწარმოები ქართული ძირებიდან“.²⁶

მაგალითად, ფილოსოფიური ტერმინის *epergeia*-ს და ამავე ფუძიდან ნაწარმოები ტერმინების (*epergwñ*, *epergew*) შესატყვისი ლექსიკური ერთეულები გელათურ თარგმანში წინდებულიანი კომპოზიტებია: *შორისქმნაჲ, შორისქმნილი, შორისმოქმედი, შორისმოქმედება* (*epi* – *შორის*, *erg-* – *ქმნ-ა, ქმედ-ება*), ანუ ბერძნული ლექსიკური ერთეული ნათარგმნია ეტიმოლოგიურად, მისი შემადგენელი ნაწილების მიხედვით; ტექსტში პარალელურად დასტურდება ამ ტერმინის ტრადიციული შესატყვისიც – *მოქმედება*.²⁷ *epergeia*-ს ეტიმოლოგიურ თარგმანს ვხვდებით მაქსიმე აღმსარებლის სხვა შრომების, ასევე თეოდორიტე კვირელისა და ამონიოსის ნაშრომთა ქართულ თარგმანებშიც.²⁸ ექვთიმესთან *epergeia* გადმოტანილია, როგორც *საქმე*.²⁹

საზოგადოდ, წინდებულიანი კომპოზიტები გელათელი მწიგნობრის მიერ კალკირებულადაა ნათარგმნი, ამასთანავე, შესაბამისობა ბერძნულ და ქართულ წინდებულებს შორის ძირითადად დაცულია: *ap̄ti*-/ნაცვალ-, *sun*-/თან-, *epi*-/ზედ-, *uper*-/ზეშთ. ექვთიმესთან ამგვარი რეგულარობა მეტ-ნაკლებად თავს იჩენს *sun*- თანდებულიანი სიტყვების თარგმ-

²⁶ ს. გორგაძის მიერ ჩამოყალიბებული ეს განსაზღვრება ზუსტად გამოხატავს გელათური ტერმინთარმოების არსს, იხ. გორგაძე (გამოც.), *ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა*, გვ. XVI.

²⁷ *epergeia*-ს შესატყვისად *მოქმედება* დასტურდება ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის და სხვ. თარგმანებში, იხ. მელიქიშვილი, ხარანაული (გამოც.), *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი*, I, გვ. 234-235.

²⁸ ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, I, გვ. 396-397; მელიქიშვილი, ხარანაული (გამოც.), *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი*, II, გვ. 188-189.

²⁹ *საქმე* *epergeia*-ს შესატყვისია ექვთიმეს სხვა თარგმანებშიც, იხ. მელიქიშვილი, ხარანაული (გამოც.), *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი*, გვ. 26.

ნისას: sunepairw – თანა-ამალლება, sunezeugmenh – თანა-მეულლე, sunuyousqai – თანა-ამალლება-ე, sunnomo~ – თანა-სამწყსო-ე, თუმცა არა ყოველთვის, მაგალითად: sundetikw – შემაერთებელ-ი. წინდებულისანი სახელები ექვთიმესთან უმეტესად გადმოტანილია შინაარსობრივად, კონტექსტის გათვალისწინებით, ან შესიტყვებებით: epignwsi~ – მეცნიერება-ე, epinoia – ბუნება-ე /კაცობრივი ბუნება, episunagwghw – შეერთება-ე, uþerfuw~ – უზეშთაეს ბუნებისა.

გარდა წინდებულისანი კომპოზიტებისა, როგორც გელათურ, ისე ათონურ თარგმანებში დასტურდება ბერძნული კომპოზიტების ეტიმოლოგიური თარგმანის საკმაოდ დიდი რაოდენობა. კომპოზიტურ ბერძნულ ლექსიკურ ერთეულთა შემადგენელი კომპონენტები ქართულად მეტყველების სხვადასხვა ნაწილებით არის გადმოტანილი, რომლებსაც, ქართული ენის ნორმების საჭიროების მიხედვით, ზოგ შემთხვევაში ადგილები აქვს შენაცვლებული. რეგულარობის პრინციპი კომპოზიტთა თარგმნისას გელათელი მთარგმნელის მიერ ყოველთვის დაცული არ არის. მაგალითად, კომპოზიტების megal oþnoia-სა და poluþnou--ის განსხვავებული კომპონენტები ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულითაა გადმოტანილი – დიდ-გონებაობა-ე, დიდ-გონება-ე, თუმცა ამ შემთხვევაში მთლიანობაში შენარჩუნებულია მისი მნიშვნელობა. უზუსტობას იჩენს გელათელი მთარგმნელი ისეთი ტერმინული მნიშვნელობის კომპოზიტის თარგმნისას, როგორც არის: auþotelhw – ყოვლადსრული. auþto-ს შესატყვისად კომპოზიტურ სიტყვებში ელინოფილურ თარგმანებში სისტემატურად დადასტურებულია თვით-.

ექვთიმეს თარგმანში წარმოდგენილი კომპოზიტების დიდი ნაწილი ექვთიმემდეა დადასტურებული ქართულ თარგმანებში. აღსანიშნავია კომპოზიტური ლექსიკური ერთეული უხუადმინიჭებლობა-ე, რომლითაც გადმოტანილია aþaqodwron (გულუხვობა) – hapax legomenos – იშვიათად, ფაქტობრივად, მხოლოდ მაქსიმესთან დადასტურებული კომპოზიტი.³⁰

როგორც ცნობილია, გელათელი მთარგმნელები ტერმინთა შექმნისას ხშირად მიმართავენ ბრუნვის ფორმებს. ამ თვალსაზრისით მაქსიმეს ტექსტის მთარგმნელიც გამონაკლისს არ წარმოადგენს. მაგალითად, ამა თუ იმ ტერმინული მნიშვნელობის მქონე სიტყვების პარალელურად, თარგმანში ხშირად დასტურდება ამ სიტყვათაგან ნაწარმოები აბსტრაქ-

³⁰ Lampe, *A Patristic Greek Lexicon*, p. 4, col. 1.

ტული, -ობ/-ებ სუფიქსის მქონე ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მოქმედებითი ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილი. ამ ფორმით, უმეტესწილად, გადმოტანილია ის ბერძნული სახელები, ზოგ შემთხვევაში კი ნაზმნარი ფორმები, რომლებიც, თავის მხრივ, ნაწარმოებია -t-, -tik-, -istik-, -wd- სუფიქსების დართვით:

qewria (ხედვა-ა): qewrh-tik-ოჲ – მხედველ-ობ-ით-ი

plhrwḗa~ (აღმავსებელ-ი): plhrw-tik-ოჲ – აღმავსებლ-ობ-ით-ი

kinoumeno~ (მოძრავ-ი), kinhsi~ (ძრვა-ა): kinh-t-ოჲ – მოძრავ-ობ-ით-ი, მოძრავ-ი; kinh-tik-ოჲ – მძრველ-ობ-ით-ი, მოძრავ-ობ-ით-ობა-ა

carakthr (ტყვარ-ი): carakthr-istik-ოჲ – დამტყვრველ-ობ-ით-ი

paq̄o~ (ვნება-ა): paqh-t-ოჲ, paqh-tik-ოჲ – ვნებულ-ებ-ით-ი

praḡma (საქმე-ა): prak-tik-ოჲ – საქმ-ით-ი (დასტურდება ასევე საქმიერ-ი).

kainoჲ (ახალ-ი): kainhw – ახლ-ობ-ა-ა; kainoჲt-h~ – ახლ-ობ-ით-ი, ახლ-ობ-ა-ა.

oṽsiḗa (არს-ებ-ა-ა): oṽsi-wd-h~ – არსებ-ით-ი

ანალოგიური ფორმის ბერძნული ლექსიკური ერთეულები ექვთიმეს მიერ მიმღეობის ფორმით არის გადმოტანილი;

sundew: sunde-tik-ოჲ – შემაერთებელ-ი

nekrow: nekrow-tik-ოჲ – მომაკუდინებელ-ი

aḗairew: aḗaire-tik-ოჲ – მომკლველ-ი

carakthr-istik-ოჲ – გამომსახველ-ი

ამასთანავე, ექვთიმეს თარგმანში ერთმანეთისაგან არ არის ხოლმე გამიჯნული ერთი და იმავე ბერძნული ძირიდან ნაწარმოები სხვადასხვა ფორმის ლექსიკური ერთეულები, რომლებსაც სხვადასხვა ტერმინოლოგიური დატვირთვა აქვთ:

diaḡnwsī-, diaḡnos-tik-ოჲ – მეცნიერება-ა

gennhsi~, gennhqeiv~, gennh-tik-ოჲ – შობა-ა

ერთადერთი ტერმინი, რომელიც ექვთიმესთან მოქმედებითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, არის ბუნებ-ით-ი (fus-ik-ოჲ), რომელიც ამავე ფორმით დასტურდება გელათურ თარგმანშიც.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ექვთიმეს თარგმანშიც არის მცდელობა, ხაზი გაესვას აბსტრაქტულ ცნებებს. მაგალითად, საშუალო სქესის არტიკლის დართვის შედეგად მაქსიმესთან გაარსებითებული ზედსართავი სახელები, რომლებსაც აბსტრაქტული მნიშვნელობა აქვთ, ექვთიმეს -ება/-ობა სუფიქსიანი აბსტრაქტული სახელებით გადმოაქვს, მაშინ, როდესაც იმავე ძირის მქონე ზედსართავს ზედსართავადვე თარგმნის: to; aḡraqon – სახიერ-ება-ე / aḡraqo~ – სახიერი, to; aḡarcon – დაუსაბამო-ება-ე / aḡarco~ – დაუსაბამო, to; apeiron – მიუნთომელ-ობა-ე / apeiro~ – უზომო, to; aḡswmaton – უჯორცო-ება-ე / aḡswmato~ – უჯორცო. ექვთიმეს თარგმანში ამგვარადვეა გადმოტანილი მაქსიმეს მიერ ხშირად გამოყენებული -tḡt (-th-) სუფიქსიანი ე. წ. თვისების სახელები (*nomine qualitatis*), რომლებიც ასევე ზედსართავი სახელების ძირებიდანაა ნაწარმოები და ისინიც აბსტრაქტულ ცნებებს გამოხატავენ. ამ ტიპის სახელებიც ექვთიმეს აბსტრაქტული არსებითი სახელებით გადმოაქვს, ხოლო იმავე ძირის ზედსართავები – ზედსართავებით: teleo~ – სრულება / teleio~ – სრული; aḡraqo~ – სახიერება / aḡraqo~ – სახიერი.

გელათურ თარგმანში დასტურდება ტერმინული მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულის ვითარებით ბრუნვაში წარმოდგენის სამი (*ყოფად-ი* – meḡlon, *გრძნობად-ი* – aiḡqto~, *ტრეპტო* – ქცევად-ი), ხოლო ექვთიმესთან – ერთი (*წარმართებად-ი* – aḡomeno~) შემთხვევა.

გელათელი მთარგმნელი ტერმინთა საწარმოებლად ხშირად იყენებს სუფიქსებს: *სხეულ-იან-ი* – swmatiko~, *სხეულის-მიმართ-ი* – pro~ to; swma; uliko~ – ნივთ-იერ-ი; *კაც-ობრივ-ი* – aḡaqrwpoth~, aḡqrpino~; ექვთიმესთან ეს უკანასკნელი შესიტყვებით არის გადმოტანილი: *ბუნება* *კაცთა*; ექვთიმესთან ტერმინის სუფიქსით წარმოების ხერხი მხოლოდ ერთხელ დასტურდება: *დასაბამ-იერ-ი* (aḡrch).

გელათელი მთარგმნელი ხშირად მიმართავს -ებრ სუფიქსს. მაგალითად, ზმნიზედის ტრადიციული ფორმების პარალელურად: *ჭეშმარიტად*, *ჭეშმარიტებით* (aḡ hqw~), გელათურ თარგმანში ვხვდებით -ებრ-ით ნაწარმოებ ზმნიზედებსაც: *მამაც-ებრ* (aḡdrikw~), *ახლ-ებრ* (kainw~), *ღმრთე-ებრ* (qeikw~), *ღმერთმამაც-ებრ* (qeandrikw~), *მბრძოლ-ებრ* (pol emikw~), *ახლ-ებრ* (kainw~), *ღმრთე-ებრ* (qeikw~) და მისთ; ზოგ შემთხვევაში -ებრ სუფიქსი ბერძნული kata~ს ეკვივალენტია, მაგალითად: *არსებისა-ებრ* (kat puḡian), *ბუნებისა-ებრ* (kata; fusin), *ღმრთე-ებრ* (kata; Qeon), *ძალისა-ებრ* (kata; dunamin) და სხვ. რაც შეეხება ზმნიზედის წარმოებას ექვთიმესთან, ის უმთავრესად მიმართავს მისი წარმოების ტრადიციულ, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვაში ჩასმულ ფორმებს: *განურყუ-*

ნელ-ად (ajumantw~), გონიერ-ად (noerw~), ზემთბუნების-ად (uþerf uww~), განურჩევლობ-ით (ajdiakritw~), ზედმინვენულობ-ით (episthmonw~), ღირსებ-ით (ajkiw~) და სხვ.

გელათელი მთარგმნელი დიდ ყურადღებას უთმობს ზედსართავი სახელის ხარისხს. ბერძნულში შედარებით და აღმატებით ხარისხში წარმოდგენილი ზედსართავები მას უმეტესწილად აღმატებითი ხარისხის ფორმით – უ-ეს მანარმოებლით გადმოაქვს: უ-გამოცდილ-ეს-ი – dokimwtato~, უ-გულისმოდგინ-ეს-ი – proqumotero~, უ-მოსწრაფ-ეს-ი – spoudaiotero~, უ-რიტორ-ეს-ი – rhtorikwtato~, უ-რჩეულ-ეს-ი – kreittwn, kallisto~, უ-ფილოსოფოს-ეს-ი – filosofwtato~. 10-მდე შედარებითი და აღმატებითი ხარისხის ზედსართავიდან ექვთიმეს თარგმანში მხოლოდ ორია გადმოტანილი ხარისხის ფორმით: უ-ზეშთა-ეს-ი – ajkrotato~, უდარ-ეს-ი – ceirwn.

რაც შეეხება უთარგმნელად – ტრანსლიტერაციით – გადმოტანილ ბერძნულ სიტყვებს, ექვთიმესთან ისინი ნაკლებად გვხვდება; გელათურ თარგმანში, ჩვენ მიერ უკვე განხილული ორი ტერმინის (დრასტიკი, პერიფრასი) გარდა, დასტურდება კიდევ რამდენიმე უთარგმნელად გადმოტანილი სიტყვა, რომელთაგან ტერმინული დატვირთვა აქვს sceþi~–ისა (თვისებრივი კავშირი, მიმართება) და მისი უარყოფითი ფორმის aþceto~–ის შესატყვისებს: სქესი და უსქესო. როგორც ცნობილია, ეს ტერმინები ამ ფორმით არის გადმოტანილი გელათელი მწიგნობრების ტექსტებში, ასევე ამონიოს ერმისის შრომათა ქართულ თარგმანში. გელათელებამდელი მთარგმნელები ამ ტერმინს თარგმნიან როგორც თვსება-ჲ (ეფრემ მცირე) და განუჭრელი თვსება-ჲ (არსენ იყალთოელი).³¹ გელათურ თარგმანში მოულოდნელობას არ წარმოადგენს ბერძნული ლექსიკური ერთეულის lexi~–ის (სიტყვა, საუბარი, სტილი) შესატყვისად ლექსი-ს დადასტურება; ჯერ კიდევ გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ეფრემისეულ თარგმანებში lexi~–ის შესატყვისად, სიტყუა-ს პარალელურად, ვხვდებით ლექსს.³² ეს სიტყვა დასტურდება იოანე და-

³¹ ჭელიძე, *ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია*, I, გვ. 393-394; მელიქიშვილი, ხარანაული (გამოც.), *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი*, II, გვ. 78, I, გვ. 183.

³² lexi~ – *სიტყუაჲ*, *Oratio* 41, 15, 64; *ლექსი*, *Oratio* 16, 2, 4 (ვსარგებლობთ გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ქართული თარგმანების სალექსიკონო მასალით, რომელიც ჯერ გამოქვეყნებული არ არის);

მასკელის „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ როგორც ეფრემისეულ, ისე არსენისეულ თარგმანებში, ასევე გელათურ ტექსტებში.³³ გელათურ თარგმანში ყურადღებას იქცევს ზუსტი, ზედმიწევნითი კალკირების შემთხვევები: *ეკკლისია* – *ekklhsia*, *ელლინებრივი* – *Ellhniko-* (მდრ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავებში *Ellhniko-*-ის ექვთიმესეულსა და ეფრემისეულ თარგმანებს: *სანარმართოე* (ექვთიმე), *ელლენებრი* (ეფრემი) (*Oratio* 39, 1, 1);³⁴ გელათურ თარგმანში საყურადღებოა ასევე ბერძნული ძირებიდან ქართული აფიქსებით ნაწარმოები აღმატებითი ხარისხის ფორმები – *უ-ფილოსოფოს-ეს-ი* (*filosofwtato-*), *უ-რიტორ-ეს-ი* (*rhtorikwtato-*) და მიმღეობა – *დამორფვილ-ი* (*morfoufmeno-*); *morf-* ძირიდან ნაწარმოები სიტყვები ტრანსლიტერაციის საშუალებით არის გადმოტანილი ამონიოს ერმისისა და ნემესიოს ემესელის ნაშრომთა თარგმანებში, ასევე მაქსიმე აღმსარებლის „პიროსის მიმართ სიტყვისგების“ გელათურ ტექსტშიც (*მორფ-ი*, *მორფოან-ქმნა*).³⁵

ცალკე შევჩერდებით ტრანსლიტერაციით გადმოტანილ ბერძნულ ლექსიკურ ერთეულზე, ყოფითი შინაარსის მქონე სიტყვაზე – *limhn* – *ლიმენ-ი* (*ყურე. ნავსადგომი*). ამ ბერძნულ სიტყვას ძველ ქართულ ენაში, ცხადია, შესატყვისი აქვს; გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა ქართულ თარგმანებში ის გადმოტანილია როგორც *ნავთსაყუდელი* (ექვთიმე) და *ნავთსადგური* (ეფრემი) – (*Oratio* 11, 1, 1).

უცხოური სიტყვების უთარგმნელად გადმოტანის შესახებ თეორიული მოსაზრება აქვს გამოთქმული ეფრემ მცირეს. მისი შენიშვნით, უთარგმნელად უნდა გადმოვიდეს ის უცხოური სიტყვები, რომლებსაც ეკვივალენტი ქართულ ენაში არ ეძებნება,³⁶ თუმცა ეფრემთან ეს წესი

იხ. ასევე, ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 775-776.

³³ მელიქიშვილი, ხარანაული (გამოც.), *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი*, I, გვ. 199.

³⁴ Ellhn-ის გადმოტანის შესახებ წინათონურ, ათონურ და ელინოფილურ თარგმანებში იხ. ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 450-451.

³⁵ მელიქიშვილი, ხარანაული (გამოც.), *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი*, I, გვ. 231.

³⁶ *Cod. A-689*, 238v; სარჯველაძე, *ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი*, გვ. 203. მაგალითად, *sfaira*-სა და *hmisfaira*-ს შესატყვისის ქართულში ვერ მოძიების გამო, ეფრემი მათ თარგმნის, როგორც *სფერი*, *კერ-*

ზოგ შემთხვევაში დარღვეულია.³⁷ რატომ აკეთებს ეფრემი ამას, ან რატომ არ თარგმნა გელათელმა მთარგმნელმა ბერძნული სიტყვა *ლიმენი*?

ამ კუთხით საყურადღებოა ეფრემის ერთ-ერთი მარგინალური შენიშვნა, რომელშიც ის საუბრობს ბერძნული სიტყვის *ეპიტაფიის* უთარგმნელად გადმოტანის მიზეზზე გრიგოლ ღვთისმეტყველის „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ სათაურში:

– შეისწავე, რამეთუ *ეპიტაფია* ბერძულისაგან ქართულად *საფლავსა ზედად* გამოითარგმანების. ხოლო მე, ვინაჲთგან სხუაჲ, თესაგან განკუთნვილი ძალი აქუნდა, ამისთვის ბერძულიცა სიტყუა დავჰწერე და ძალიცა მისი.³⁸

ამგვარად, ეფრემს ლექსიკური ერთეული *epitafio*- ბერძნულად იმიტომ გადმოუტანია, რომ ამ სიტყვისთვის *სხუა* – უცხო, თავისებური ძალი შეენარჩუნებინა. კლასიკური რიტორიკის თეორიის მიხედვით, *ძალი* – *dunami* – რიტორიკული ტერმინია, რომელიც კლასიკური რიტორიკული ფორმის მშვენიერებას აღნიშნავს.³⁹ შესაბამისად, სიტყვას *ეპიტაფია* ეფრემი თავისი თარგმანის, ამ შემთხვევაში, ჰომილიის სათაურის დასამშვენებლად იყენებს; ბერძნულ სიტყვას ტექსტში რიტორიკული ორნამენტის დანიშნულება, მხატვრული ფუნქცია აქვს მინიჭებული, ის ტექსტს განსაკუთრებულ ელფერს, უცხოურ ჟღერადობას, ამაღლებულობის, მნიგნობრულობის ეფექტს ჰმატებს.

კიდევ ერთი მაგალითი: ეფრემის მიერ ბერძნულთან განსაკუთრებული სიახლოვით ნათარგმნ, რიტორიკული ორნამენტებით საკმაოდ დატვირთულ ტექსტში – ბასილი მინიმუსის ეპისტოლეში კონსტანტინე პორფიროგენეტის მიმართ – ვხვდებით დედნიდან უთარგმნელად გადმოტანილ ერთადერთ სიტყვას – *უეპაფროდიტო* *ἡεραφροδιτο* (*მშვენიერებამოკლებული, უშნო*). აქაც, ვფიქრობთ, ტექსტის რიტორიკული ეფექტის გასაძლიერებლად ეფრემმა სიტყვის უთარგმნელად გადმოტანის ხერხს მიმართა.⁴⁰

ძოსფერი და შენიშნავს: „ხოლო მე, ვინაჲთგან ძუელითგანი სახელი ქართულად ვერაჲ ვპოე ვისგან, იგივე ბერძული *სფერი* დავდევე“, იხ. ოთხმეზური, ეფრემ მცირე და „ბერძულად სასწავლელი“ სიტყვები.

³⁷ Otkhmezuri (ed.), *Pseudo-Nonniani in IV orationes Gregorii Nazianzeni commentarii, Versio Iberica*, p. Lii.

³⁸ Cod. A-292, f. 180 - გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავთა ეფრემისეული თარგმანების კრებული.

³⁹ ბეზარაშვილი, *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა*, გვ. 379.

⁴⁰ ოთხმეზური, *კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელო-*

იგივე ვითარებაა ჩვენს ტექსტშიც. ლიმენი წარმოდგენილია მაქსიმეს ეპისტოლეში კიზიკოსის მთავარეპისკოპოსის, იოანეს მიმართ – ეპისტოლარული ჟანრისათვის დამახასიათებელი მხატვრული ტროპებით საკმაოდ დატვირთულ ტექსტში. ის ერთ-ერთ მხატვრულ სახეშია მოქცეული: საუბარია საღმრთო სათნოებით გამორჩეულ პიროვნებებზე, რომლებსაც *მსგავსად ნავისა, ზედმინევენულობით ჰმართებთ ტვრთსა თანა სარწმუნოებისასა და სიკეთესა საღმრთოჲსა ცხოვრებისასა ლიმენად მიმართ საღმრთოჲსა ნებისად*. შუა საუკუნეების მხატვრულ ტექსტებში *ნავის / ნავით ნავსაყუდელში დაბრუნება* ფართოდ გავრცელებული ტოპოსია. მას ხშირად მიმართავენ წმინდა მამები თავიანთ ჰომილიებში, სადაც ნავსაყუდელში დაბრუნება ამქვეყნიური შფოთისაგან განდგომის და სულიერი სიმშვიდის მოპოვების მხატვრული სახეა.⁴¹ ამ ტოპოსს ვხვდებით ასევე ქრისტიანული აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის სხვადასხვა ეროვნების გადამწერთა კოლოფონებში; აქ ნავის ნავსაყუდელში შეცურება ნაშრომის დასრულების – გადამწერის მძიმე შრომის დამთავრების მეტაფორაა.⁴² ვფიქრობთ, სწორედ ამ მხატვრული სახის გამოსაკვეთად, თარგმანში მაქსიმეს ეპისტოლის მაღალი სტილის შესანარჩუნებლად არის ბერძნულიდან უთარგმნელად გადმოტანილი მხატვრული სახის ერთ-ერთი ელემენტი.

ამგვარად, როგორც მოსალოდნელი იყო, გელათური თარგმანი საკმაოდ ელინიზებულია; გელათელ მთარგმნელს გეზი სპეციალური სამეცნიერო ენის შექმნისა და ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისაკენ აქვს მიმართული, ექვთიმე კი ცდილობს მის მიერ ნათარგმნი ტექსტი რაც შეიძლება გასაგები და მისაღები გახადოს ქართველი მკითხველისათვის. ხოლო მეტ-ნაკლები სიზუსტე, რომელიც თავს იჩენს ექვთიმესთან ტერმინთა გადმოტანისას, განპირობებული უნდა იყოს თავად მაქსიმეს ტერმინთარმოების სპეციფიკით. შედეგად, ამ ტექსტის ფარგლებში ექვთიმესთან იკვეთება ტერმინული სიზუსტისკენ სწრაფვის ნიშნები, რაც მოგვიანებით ელინოფილური თარგმანების მთავარ მახასიათებლად იქცევა.

ბით ტრადიციაში, გვ. 67.

⁴¹ Guignet, *St. Grégoire de Nazinaze et la rhétorique*, p. 144-145; მსგავსი მხატვრული სახეებისათვის (*სადგური, ზღუა*) გრიგოლ ნოსელის თხზულების – *ქალწულებისათვის და საღმრთოჲსა მოქალაქობისა* – ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში იხ. ზვიადაძე (გამოც.), *წმ. გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათვის და საღმრთოჲსა მოქალაქობისა*, გვ. 207-208.

⁴² McCollum, *The Rejoicing Sailor and the Rotting Hand*, p. 67-93.

დასკვნა

ამრიგად, ათონურ და გელათურ ხელნაწერ ტრადიციაში მაქსიმე აღმსარებლის *Ambigua ad Iohannem* და *Ambigua ad Thomam* ნაკვეთებისა თუ ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი.

ნაკვეთები *Ambigua ad Iohannem*-იდან, რომლებიც ექვთიმე ათონელის მიერ არის ნათარგმნი, წარმოდგენილია კომენტარული ხასიათის კომპილაციურ თხზულებაში „თარგმანებაჲ ძნიად გულსწყმისსაყოფელთა სიტყუათა ქრისტეს შობის საკითხავისათა“, რომელიც ერთვის გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავს ამ ავტორის საკითხავთა ექვთიმესეული თარგმანების კრებულებში.

„თარგმანების“ შემცველი X საუკუნის დამლევის ერთ-ერთი ხელნაწერის, *Ivir. geo.* 68-ის კვლევის შედეგად გამოიკვეთა თვალსაზრისი, რომ ეს არის მთარგმნელის, ექვთიმე ათონელისა და ათონის სკოლის გადამწერების თანამშრომლობის ამსახველი ხელნაწერი; ხელნაწერის ძირითად ტექსტში არაფორმალური ხელით შეტანილი ჩანართები, რომლებიც შინაარსობრივად და ფუნქციით ექვთიმეს სხვა თარგმანებში გამოვლენილი ექვთიმესეული ჩანართების იდენტურია, ასევე იმავე არაფორმალური ხელით შესრულებული ექვთიმეს პირადი მოსახსენებელი, რომლის ანალოგიური მოსახსენებლები დადასტურებულია ექვთიმეს თარგმანების შემცველ ხელნაწერებში, გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ *Ivir. geo.* 68 წარმოადგენს მთარგმნელისა და პროფესიონალ გადამწერთა მიერ შესრულებული ერთობლივი მუშაობის პროდუქტს, ანუ გადამწერთა მიერ სპეციალურად სწორებისა და რედაქტირებისათვის დანერგულ ტექსტს, რომელზედაც ტექსტების მთარგმნელის, ექვთიმე ათონელის მიერ ჩატარებულია სარედაქციო სამუშაო. გრიგოლის 38-ე საკითხავისა და მისი კომენტარის ქართული თარგმანი ექვთიმეს მიერ ზეპირი გზით შექმნილი ტექსტები უნდა იყოს, რომლებიც ექვთიმეს თანაშემწეთა მიერ მთარგმნელის კარნახით არის ჩაწერილი და შემდეგ – რედაქტირებული ექვთიმეს მიერ; *Ivir. geo.* 68-ში წარმოდგენილ ტექსტებში თავს იჩენს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ზეპირი გზით შექმნილი, კარნახით ჩაწერილი ტექსტებისათვის. ეს არის მექა-

ნიკურ შეცდომათა (*lapsus calami*) სიუხვე და განსაკუთრებული ორთოგრაფიულ-ფონეტიკური სიჭრელე.

მაქსიმე აღმსარებელის *Ambigua ad Iohannem*-სა და *Ambigua ad Thomam*-ს იცნობს გელათური ტრადიციაც. ფრაგმენტები *Ambigua ad Iohannem*-იდან – ეპისტოლე იოანეს მიმართ და გრიგოლ ღვთისმეტყველის „გლახაკთმოყუარების“ საკითხავის ორი პასაჟის კომენტარი, ასევე, *Ambigua ad Thomam*-დან – დიონისე არეოპაგელის „გაიოსის მიმართ ეპისტოლის“ კომენტარის ფრაგმენტი – დასტურდება XII-XIII საუკუნეების გელათურ კრებულში, A-52-ში. არ არის გამორიცხული, რომ ორივე თხზულება სრულად იყო ნათარგმნი გელათის მნიგნობრულ სკოლაში. ამ თვალსაზრისის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს A-52-ის სტრუქტურის, კერძოდ, მისი ბოლო ნაწილის შედგენილობის კვლევა. ამ ნაწილის ფრაგმენტული ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ A-52-ის გადამწერს ამ კრებულის შედგენისას ხელთ უნდა ჰქონოდა რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო მაქსიმეს თხზულებების, მათ შორის – *Ambiguum liber*-ის სრული ტექსტის შემცველი დაზიანებული, დაშლილი კრებული.

რაც შეეხება ამ ტექსტების მიმართებას ბერძნულთან, ექვთიმე ათონელი მისთვის ჩვეულ თავისუფალ მთარგმნელობით მეთოდს – *კლება-მატებას* – მიმართავს *Ambigua*-ს იმ ნაწილების თარგმნისას, რომლებიც „თარგმანებაშია“ მოქცეული. *Ambigua*-ს გელათური თარგმანი კი გელათის მთარგმნელობითი სკოლისათვის დამახასიათებელი ზუსტი, სიტყვასიტყვითი (ლიტერალური) მთარგმნელობითი მეთოდით არის შესრულებული. ექვთიმეს თარგმანი *სიჩჩოებაში* მყოფ ქართველ მკითხველზეა ორიენტირებული და მისი მიზანია, მაქსიმეს რთული, საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ხასიათის ტექსტი მკითხველს გასაგები ფორმით მიანოდოს; გელათური თარგმანი, რომელშიც მაქსიმეს ტექსტის ყველა აზრობრივი თუ ენობრივი დეტალი და ნიუანსია ასახული, განსწავლულ, გამოცდილ (*გამგონე*) მკითხველს გულისხმობს. ყოველივე ეს განაპირობებს ექვთიმესეული ტექსტის ექსპოზიციურ, ხოლო გელათური თარგმანის სამეცნიერო ხასიათს.



დიდ მადლობას ვუხდით აკად. მზექალა შანიძეს, ასევე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომლებს, ქ-ნ ლალი ჯღამაიას და ქ-ნ ლია კიკნაძეს, რომლებიც გაეცნენ ჩემი ნაშრომის ერთ-ერთი თავის (*ხელნაწერი Ivir: geo.* 68) სამუშაო ვარიანტს; მათ მიერ მოცემულმა შენიშვნებმა და რჩევებმა დიდი დახმარება გამინია ამ თავის დახვეწასა და მასალით გამდიდრებაში. მაღლიერებით მინდა მოვიხსენიო წიგნის სამეცნიერო რედაქტორი, ქ-ნი ნინო მელიქიშვილი ნაშრომის რედაქტირებისა და საყურადღებო რჩევებისათვის, ასევე ნაშრომის რეცენზენტი, პროფ. დამანა მელიქიშვილი, რომლის მხარდაჭერისა და გამხნეების გარეშე ნამდვილად ვერ გავზედავდი მაქსიმე აღმსარებლის *Ambiguorum liber*-ის საკმაოდ რთული ტექსტების გელათური თარგმანის კვლევას; აქვე საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ გელათური თარგმანის კვლევისას უდიდესი დახმარება გამინია ქ-ნი დამანასა და ანა ხარანაულის მიერ გამოცემულმა *ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებულმა ლექსიკონმა* (ტ. I, II, თბილისი, 2010), ნაშრომმა, რომელმაც უდავოდ ახალ საფეხურზე აიყვანა გელათური სკოლის მთარგმნელობითი ტრადიციის შესწავლა. მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ თანამშრომელს, ნათია მიროტაძეს, რომელიც დამეხმარა გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავისა და „თარგმანების“ ტექსტების ხელნაწერებთან შედარებაში. მაღლიერი ვარ 2013-2015 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის – „შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია“ – მაგისტრანტებისა, რომლებთან საუბრებსა და დისკუსიებშიც დაიხვეწა ჩემი ნაშრომის არაერთი ნაწილი.

ღრმა პატივისცემა და მაღლიერება მინდა გამოვხატო ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის მცველის, მამა თეოლოგოსისა და ივირონის მთელი საძმოს მიმართ, რომლებმაც მომანოდეს ფოტომასალა და მომცეს უფლება, გამომექვეყნებინა ივირონის მონასტერში დაცული ხელნაწერის (*Ivir: geo.* 68) ფოტოები. დიდი მადლობა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს, ზურაბ სამარლანიშვილს, ივირონის ხელნაწერის ფოტოების მოპოვებაში განუული დახმარებისათვის.

MAXIMUS THE CONFESSOR'S *Ambiguorum liber* IN THE GEORGIAN TRANSLATION TRADITION

The works of Maximus the Confessor one of the most important Byzantine church fathers of the 7th century was introduced into Georgian ecclesiastic literature in the end of the 10th century by the translations of the famous Georgian scholar of Mt. Athos, Euthymius the Athonite. He had translated the most significant writings by Maximus: the exegetical writing *Quaestiones ad Thalassium*, the polemical work *Disputatio cum Pyrrho*, etc. These translations are preserved in over a dozen Georgian manuscripts of the medieval epoch. After Euthymius the works by Maximus Confessor were translated by anonymous translators of the Gelati literary school, the representatives of ultrahellenophile translation tradition that emerged in the 12th c. in the monastic center of Gelati (West Georgia). These translations are preserved mainly in the two 12th-13th century Georgian manuscripts: *Kutaisi-14* and *NCM A-39*.

We cannot definitely say whether Maximus the Confessor's one of the most important work *Ambiguorum liber* which consists of *Ambigua ad Iohannem* (*CPG Supplementum* 7705 [2]) and *Ambigua ad Thomam* (*CPG Supplementum* 7705 [1]) had been fully translated into Georgian, but it is evident that this work was familiar to medieval Georgian scholars and readers.

Passages from *Ambigua ad Iohannem* are included in the writing which is entitled: *Commentary by Our Father Maximus the Confessor on the Difficult Passages from Oratio in Nativitatem*. It is appended to *Oratio* 38 (*In Nativitatem*) by Gregory the Theologian (4th c.) in Georgian manuscripts; the translation belongs to Euthymius the Athonite. Passages from *Ambigua ad Iohannem*, namely the *Epistle to Iohannem* and two explanations to *De pauperum amore* (*Oratio* 14) by Gregory the Theologian, also the passage from *Ambigua ad Thomam* – the fragment of the explanation on Dionysus the Areopagite's *Epistola* IV. *Eidem Gaio Monacho* are attested in the 12th-13th century manuscript *NCM A-52*. The translation has been done by the anonymous Georgian translator of the Gelati literary school.

I. *Ambigua ad Iohannem* in the Athonite translation tradition

Manuscripts consisting the writing *Commentary on the Difficult Passages from Oratio in Nativitatem* are collections including the sermons by Gregory the Theologian translated into Georgian by Euthymius the Athonite. These manuscripts are: *Ivir. geo.* 68 (a. 1002-1005), *NCM A-1* (a. 1030), *P* (St.-Petersburg)-3 (a. 1040), *NCM S-383* (XI c.), *NCM S-413* (XI c.), *NCM A-87* (XI c.), *NCM A-80* (XIII c.), *NCM A-518* (a.1708).

Ms. Ivir. geo. 68

The manuscript from the Iviron Monastery *Ivir. geo.* 68 is particularly interesting, since it brings to light new aspects of translation process and manuscript production on Mt Athos. The texts of *Ivir. geo.* 68 has been edited – words and phrases written in an informal handwriting are inserted in the large distances between lines and in wide margins of the manuscript. The evocative inscription *Pray for poor Euthyme* (39v) written by the same informal hand is also attested in the manuscript. The inscription, marginal and interlinear additions to the main texts in *Ivir. geo.* 68 must have been personally made by Euthymius the Athonite. This is confirmed by: (I) dating the manuscript to the end of the 10th century (before 1002) and showing that it is contemporary of Euthymius; (II) analyzing the inscription –*Pray for poor Euthyme* – it appears that he used the same formulaic to refer to himself in his own, autograph manuscripts; (III) analyzing contents of additions considering Euthymius' *sensus de sensu* translation method – the interlinear and marginal additions made in *Ivir. geo.* 68 are analogous in terms of functions and contents to additions in Euthymius' translations of other medieval texts. Hence, *Ivir. geo.* 68 represents the collaboration of a translator and scribes (the main text is written by two professional scribes); the manuscript was specifically written by scribes to be corrected and edited by the translator.

The Georgian translations of Gregory the Theologian's *Oratio* 38 and the *Commentary* could be considered to be orally translated texts. In *Ivir. geo.* 68 two stages of the medieval text production are presented: (1) translating the text *impromptu* and dictating it to scribes who record it, and (2) editing. This is the path that, according to medieval sources, was undertaken by orally composed and dictated text. *Ivir. geo.* 68 contains characteristics of medieval texts that were dictated to scribes. These are the abundance of mechanical errors (*lapsus calami*) and exceptional orthographic and phonetic diversity. It is noteworthy that all orthographic-phonetic "errors" of *Ivir. geo.* 68 are corrected – almost in all other 11th-

12th cc. manuscripts including *Oratio* 38 and its *Commentary*, they are substituted with regular forms of Old Georgian language. Apparently, the orthography of these texts was extensively edited as they were copied and spread around.

The Structure of the Commentary

The structure of the *Commentary* is as follows: The phrases (the *lemmata*) to be explained are selected from Gregory the Theologian's *Oratio* 38 and are preceded by the note *ღმრთისმეტყველისაჲ* (*from the Theologian*); the *lemmata* are followed by the explanations. The phrases selected for explanation from *Oratio* 38 in the *Commentary* are 101 in number. In the title of the *Commentary* Maximus the Confessor is named as the author of the work.

In the Greek text of *Ambigua ad Iohannem*, eight passages from Gregory's *Oratio* 38 are commented by Maximus. When collating this text with Euthymius' translation, it appeared that in the 101 explanations of Euthymius all eight explanations by Maximus have their equivalents. Maximus' *Ambigua ad Iohannem* may therefore be considered to be one of the sources of the Georgian translation of *Commentary* on *Oratio* 38. These explanations are: 20 = PG 91, col.1273 D; 21= PG 91, col. 1281; 23=PG 91, col. 1285 B; 43= PG 91, col. 1288 A; 52= PG 91, col. 1288 D; 91= PG 91, col. 1289 B; 95= PG 91, col. 1289 D; 101= PG 91, col. 1297 C.

Both by their volume (Maximus' eight explanations constitute half of the entire text) and content (through its theological and philosophical depth and significance), these eight explanations are the most important parts of Euthymius' translation. This could be the reason why in the title of the work Maximus is referred as the author of the whole *Commentary* on *Oratio* 38.

On the other hand, some of the explanations of the *Commentary* on *Oratio* 38 are connected with the commentaries on Gregory the Theologian's sermons composed by the 10th century Byzantine scholar Basilus Minimus (i.e. a particular version of the commentaries, the so-called *Sylloge*, a collection of the second half of the tenth century consisting of commentaries by Basilus Minimus and George Mokenos). Phraseological coincidences are revealed in this work and several explanations of the *Commentary* on *Oratio* 38: explanation 1, l. 3 = Basilus Minimus: 1a, l. 1 (Schmidt ed., *Basilii Minimi...*); explanation 19, l. 2-6 = Basilus Minimus: 12, l. 6-11 (Schmidt ed., *Basilii Minimi...*); explanation 2, l. 3-4 = Basilus Minimus: 2, l. 3-4 (Schmidt ed., *Basilii Minimi...*); explanation 36, l. 3-4 = Basilus Minimus: 36, l. 1-3 (Schmidt ed., *Basilii Minimi...*); explanation 85, l. 2-12 = Basilus Minimus: 128, l. 1-13; explanation 93, l. 3-6 = Basilus Minimus: 145b, l. 1-4; explanation

21, l. 6-18 = Basilus Minimus: 16, l. 1-8. This clearly demonstrates the influence of Basilus Minimus' writing on the *Commentary* on *Oratio* 38.

The presence of the traces of the tenth-century work in the *Commentary* on *Oratio* 38 gives us grounds to determine the date of its origin. As far as one of the sources of the *Commentary* on *Oratio* 38 is the *Sylloge* version, which was composed in the second half of the tenth century, it means that the *Commentary* on *Oratio* 38 itself could not be composed earlier than the end of the tenth century. Today it is difficult to say who compiled the *Commentary* on *Oratio* 38 – an anonymous Greek scholar or Euthymius.

II. *Ambigua ad Thomam* and *Ambigua ad Ioannem* in the Gelati translation tradition

ὁ Parts of *Ambiguorum liber*, namely *Ambigua ad Thomam: In epistolam S. Dionysii Areopagitae Athenarum episcopi ad Gaium monachum* (PG 91, 1052 D 9 – 1060 D 1), *Ambigua ad Iohannem: Epistula ad Ioannem* (PG 91, 1061 A 1 – 1065 B 3), *Ex sermone de hospitalitate* (PG 91, 1065 B 4 – 1068 C 17) and *Ejusdem ex eodem sermon* (PG 91, 1068 D 1-1069 C 5) are presented in the 12th-13th cc. Georgian manuscript *NCM* A-52. The main writing of the collection which occupies ff. 1-150. is *Commentary on John's Gospel* by Theophylact Bulgarian (PG 123, 1133-1143). The texts of *Ambiguorum liber* are placed in the end of the manuscript. The last folios are occupied by the Georgian translations of Gregory the Theologian's *Orationes*: 1, 19, 38. Parts of *Ambiguorum liber* and *Commentary on John's Gospel* by Theophylact Bulgarian are translated into Georgian by anonymus translator of Gelati literary school; Gregory the Theologian's sermons are rendered into Georgia by famous Georgian translator of Black Mountain Ephrem Mtsire.

In our opinion, besides the manuscript of *Commentary on John's Gospel* by Theophylact Bulgarian, the scribe coping cod. *NCM* A-52 had two Georgian manuscripts which included the Georgian translations of Gregory the Theologian's 16 liturgical sermons and Maximus the Confessor's writings (*Ambiguorum liber* among them). The fragmentary material – parts of the collection of 16 liturgical sermons by Gregory the Theologian and pieces of Maximus' writings - gives ground for supposition that the manuscripts which were employed by the scribe coping the last folios of *NCM* A-52 were unbind and quite damaged. The aim of the scribe coping the fragments of the writings by Maximus and Gregory the Theologian in the end of the manuscript, was to collect and survive them for further use.

III. Character of the Athonite and the Gelati translations

Maximus the Confessor is considered to be the author with one of the most complicated language and style in the history of Byzantine literature. Even Byzantine scholars have expressed a strong opinion about Maximus' style. *He is an author, who makes no effort to express his ideas clearly, which makes it difficult to understand him, and he does not try to please the reader's ear* (Photius). The complexity of Maximus' style is conditioned by a specific character of his thinking - always tense, charged with energy, concentrated ideas where contemplation overwhelms judgment and conclusions.

Those parts of the *Commentary on Oratio 38* whose equivalents are found in Maximus' *Ambigua ad Iohannem* and Basilii Minimus' commentaries are made by the free translation method which was defined by the 11th c. scholar Ephrem Mtsire as a method of *omission and insertion*. In order to refine the style of the translation, Euthymius introduced definite changes into the text, so that the Georgian reader might understand the ideas of this complicated author. Grounds for this is provided by the exegetical character of *Commentary on Oratio 38*, because the first and foremost goal of such a type of work is explanation and interpretation in order to bring the idea to the reader.

In the Georgian text of the *Commentary on Oratio 38* a sentence is considered to be the smallest unit of translation. In spite of minor extensions or abbreviations of the sentences by Euthymius, their content is still obtained. In the translation some cases are attested of rendering a Greek word with its alternative meaning or inserting a verb. There are also some examples of enriching the text with Biblical quotations and confirmations from the Bible; additionally, there are cases of supplying the names and titles of Biblical characters and fathers of the church with deferential epithets. In the translation of the *Commentary*, Euthymius has also omitted and inserted lengthy passages, e.g. in his translation of explanations 91 and 95 large parts of Maximus' text are omitted, while at the beginning of explanation 21 a long interpolation is inserted. In this case Basilii Minimus' writing is again used as a source; there are two possibilities here: the Greek compiler of the *Commentary*, while combining the commentaries of Maximus and Basilii Minimus (*Sylloge* version), inserted a passage from Basilii's commentaries into explanation 21 of the *Commentary*. The second possibility is that, while translating the *Commentary*, Euthymius inserted into Maximus' text a passage from Basilii's commentary. The practice of inserting an excerpt from one author's work into another's writing was very characteristic of Euthymius. It is noteworthy that together with the above observed practice,

Euthymius also used a literal translation technique while translating the *Commentary on Oratio* 38. This is particularly obvious in the rendering of certain Greek terms into Georgian. The literal translation of certain terms must have been conditioned by the specific nature of Maximus' term-formation.

The Gelati translation of the texts of *Ambiguorum liber* is a literal, word for word translation which reproduces all the details of the Greek original. All the peculiarities of *ad verbatim* translation method are presented in this translation; these are abundance and variety of neologisms, complex word order and sentence structure which is unusual for Georgian language, etc. The unit of translation is the word; the translator strives to render each Greek word by its closest formal equivalent, forming terms by means of Georgian roots and word-forming affixes.

The aim of Euthymius the Athotite's free translation was enlightening Georgian reader inexperienced in reading of complicate theological-philosophical writings. According to Ephrem Mtsire the Georgian reader *nourished by Euthymius with milk and greens*, in the end of the 11th century was already prepared *to eat solid food* – to comprehend medieval texts of theological and philosophical character. Thus, the Gelati *ad verbatim* translation of *Ambiguorum liber*'s texts are intended for the well-educated reader; this kind of reader is called a *curious* [reader], *lover of learning* in medieval Georgian colophons.

Although Maximus the Confessor's *Ambiguorum liber* is presented in fragments in Georgian manuscripts, it is obvious that this writing was quite important text for Georgians, as far as two medieval Georgian translation schools of different epochs and of different translation methodology were interested in this writing.

திருச்சிதம்பரம்

ტექსტუალისათვის

I. ექვთიმე ათონელის თარგმანი

წარმოვადგენთ გრიგოლ ღვთისმეტყველის „შობის“ საკითხავისა და მისი კომენტარის ექვთიმე ათონელისეული თარგმანების დიპლომატურ-ინტერპრეტაციულ გამოცემას (*edizione diplomatico-interpretativa*), რომელიც ეფუძნება *Ivir. geo.* 68-ს; გამოცემა ზედმინვენით მისდევს ხელნაწერს; ტექსტში ჩარევა მინიმალურია, კერძოდ: (ა) გაშლილია ქარაგმები; (ბ) შეტანილია სასვენი ნიშნების თანამედროვე სისტემა; (გ) გასწორებულია მექანიკური შეცდომები (*lapsus calami*) – დიტოგრაფიის, გრაფემათა მექანიკური გამოტოვებისა და უადგილოდ ჩართვის შემთხვევები.¹ *Ivir. geo.* 68-ის ნაკლები ადგილები (ხელნაწერი თავ-ბოლო ნაკლებია, ფოტოგრაფირების ხარვეზის შედეგად აკლია 58v-59r, 109r-v) შევსებულია ტექსტების კრიტიკული გამოცემების მიხედვით (*Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica.* III, p. 50-118; p. 121-219). გამოცემაში *Ivir. geo.* 68-ის ნაკლები ადგილები აღნიშნულია შემდეგი ნიშნებით: ► ◄. გაშლილი შრიფტით წარმოდგენილია *Ivir. geo.* 68-ის რედაქტირებისას ექვთიმე ათონელის მიერ ტექსტში ჩამატებული სიტყვები თუ ფრაზები.

Ivir. geo. 68-ის სპეციფიკის, განსაკუთრებით ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებების თვალნათლივ წარმოჩენის მიზნით, ტექსტებს ერთვის სამეცნიერო აპარატი, რომელშიც ამ თხზულებათა შემცველი დანარჩენი ხელნაწერების კითხვა-სხვაობებია წარმოდგენილი.

